186
1972

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1972 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი — ოქტომბერი 1972 წ.

12003

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

89. საქართველოს სს რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

90. რესპუბლიკის საღამოს (ცვლიანი) სკოლების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

91. ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

92. საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

93. შენობა-ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისას მერქნის [illegible] ებათა შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. [illegible] სახ. [illegible] ბიბლიოთეკა

94. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მისაბმელიანი ტრაქტორებით შაქრის ჭარხლის გადაზიდვის ტარიფების დამტკიცების შესახებ.

95. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მოსახლეობის სეზონური მიგრაციის მდგომარეობის შესახებ.

96. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა დებულებების დამტკიცების შესახებ.

97. საბჭოთათ მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე გადასულ კოლმეურნეობის ყოფილ წევრთა შრომის სტაჟის გამოთვლისა და პენსიის დანიშვნის წესის დებულების დამტკიცების შესახებ.

98. საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ" ინსტრუქციაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

99. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 21 ივლისის № 542 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

100. მივლინებათა მოწესრიგების შესახებ.

101. ნადირობის წესების დარღვევასთან ბრძოლის გაძლიერების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

102. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

103. სამინისტროებში, უწყებებსა და სამეურნეო მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

104. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 ნოემბრის № 557 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

105. საქართველოს სს რესპუბლიკაში ბოსტნეულის შესყიდვის ახალი ფასების დაწესების შესახებ.

106. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილების (ბიუროს), მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

89 საქართველო სს რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში.

ამჟამად საქართველოს სსრ 18 უმაღლეს სასწავლებელში მზადდება 157 ძირითადი სპეციალობის კადრები, რომლებიც ესაჭიროება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას. ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ორგანიზებულია უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადება 14 ახალი სპეციალობის მიხედვით, მათ შორის თვითმფრინავმშენებლობის, საინფორმაციო-საზომი ტექნიკის, მართვის ავტომატიზებულ სისტემათა, გამოყენებითი მათემატიკის, ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობის, რადიოკავშირისა და რადიომაუწყებლობის, მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობისა და სხვა დარგებში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგრეთვე შეფარდება წარმოებას მოწყვეტით და მოუწყვეტლივ სპეციალისტთა მომზადების ფორმებს შორის. თუ 1960 წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა მისაღები კონტინგენტის საერთო რაოდენობიდან დღის განყოფილებაზე მიღება შეადგენდა 36,9 პროცენტს, 1970 წელს იგი გაიზარდა 58,2 პროცენტამდე, ხოლო ხუთწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს, რომ უმაღლეს სასწავლებელთა დღის განყოფილებებზე მიღებამ 1975 წლისათვის საერთო რაოდენობის 61 პროცენტზე მეტი შეადგინოს.

მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული ახალგაზრდების ხარჯზე სპეციალისტთა მომზადებაში დადებითი როლი შეასრულა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან შექმნილმა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის მოსამზადებელმა განყოფილებებმა.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სტუდენტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ ბოლო წლებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა შენობა-ნაგებობების ახალი კომპლექსები. აგებულია და საექსპლოატაციოდ არის გადაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტების ახალი კორპუსი. ამჟამად შენდება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და

თვითმფრინავმშენებლობის ფაკულტეტების სასწავლო კორპუსები, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო კორპუსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის, იზოტოპებისა და ფოტოსინთეზის ლაბორატორიათა კორპუსები და ა. შ. 1971 წელს დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის პირველი რიგის მშენებლობა.

სტუდენტთა მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 29,1 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი საერთო საცხოვრებელი უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის.

მაგრამ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვენ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას. წარმოების სწრაფი ზრდისა და მისი განუწყვეტელი ხელახალი ტექნიკური აღჭურვის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალისტთა უნარს განჭვრიტონ დარგისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები, კვალიფიციურად გადაწყვიტონ შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის ამოცანები.

ამასთანავე სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას ხელს უშლის რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა თეორიული და პროფესიული ცოდნის დონე არ შეეფერება მეცნიერებისა და წარმოების გაზრდილ მოთხოვნებს. ჯერ კიდევ ნელა მუშავდება და ინერგება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის თანამედროვე მეცნიერული მეთოდები, აგრეთვე სწავლების ტექნიკური საშუალებანი. სტუდენტებს ყოველთვის როდი უყენებენ მაღალ მოთხოვნებს სწავლის ხარისხისა და დისციპლინის დაცვის მხრივ. სრულყოფას საჭიროებს უმაღლესი განათლების დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფორმები.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები ჯერ კიდევ სუსტად არიან დაკავშირებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, საჭირო ყურადღებას არ აქცევენ აქტუალური მეცნიერული და ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტას.

სპეციალისტთა მომზადების, განაწილებისა და გამოყენების დაგეგმვას კვლავ ახასიათებს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი. ახალგაზრდა სპეციალისტებზე სამინისტროთა და უწყებათა მიერ წარმოდგენილი განაცხადები ხშირად არ ასახავენ მათზე არსებულ რეალურ მოთხოვნილებას. ახალგაზრდა სპეციალისტებზე არსებული პერსპექტიული მოთხოვნილების გაანგარიშებანი მუშავდება საჭირო დასაბუთებათა, წარმოების ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა და ამა თუ იმ დარგის განვითარების თავისებურებათა რეალური გათვალისწინების გარეშე. რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებანი უმაღლეს სასწავლებლებს არ უწევენ არსებითს დახმარებას მათი მატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალური ბაზის განმტკიცებაში, ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა სპეციალისტებზე.

რესპუბლიკაში ინჟინერთა კადრების მომზადება მეტწილად ხდება მხოლოდ ერთს უმაღლეს სასწავლებელში — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც 26 ათასზე მეტი სტუდენტი ეუფლება 70-ზე მეტ სპეციალობას. აღნიშნული ინსტიტუტის ესოდენ დიდი კონტინგენტითა და სპეციალობათა სიმრავლით გადატვირთვა აფერხებს საჭირო სპეციალობათა კადრების მომზადების შემდგომ გაფართოებას.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და სხვა უწყებანი, რომლებსაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები, ყოველთვის ღრმად როდი წვდებიან უმაღლეს სასწავლებელთა საქმიანობას, არ ახორციელებენ ჯეროვან კონტროლს სპეციალისტთა მომზადების ხარისხისადმი, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ უწევს სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელს.

საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტები, თბილისის, ქუთაისისა და გორის საქალაქო კომიტეტები, თელავის რაიკომი ყოველთვის როდი ახდენენ საჭირო გავლენას მასწავლებელთა კადრების შერჩევასა და განაწილებაზე, არ ზრუნავენ, რომ გააძლიერონ მათი პასუხისმგებლობა ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიაზე განლაგებულ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და „ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 ივლისის № 535 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. „ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 ივლისის № 535 დადგენილება დაეგზავნოს შესაბამის ორგანიზაციებსა და უწყებებს სახელმძღვანელოდ.

2. დაევალოთ საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, თბილისის, ქუთაისისა და გორის საქალაქო კომიტეტებს, თელავის რაიკომს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გაძგებლობაშია უმაღლესი სასწავლებლები, გააძლიერონ კონტროლი უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისადმი, მათი ყურადღება მიაპყრონ სკკპ XXIV ყრილობის მი-

ერ უმაღლესი სკოლის განვითარების დარგში დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებას, სახალხო მეურნეობისათვის, მეცნიერებისა და კულტურისათვის კადრების მომზადების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად; მიაღწიონ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საფუძვლებს, მიიღონ ღრმა თეორიული და პროფესიული მომზადება, გამოიმუშაონ მაღალი მორალური თვისებები, ისწავლონ მუშაობა ადამიანებთან, გახდნენ პარტიის პოლიტიკის აქტიური გამტარებლები; შთაუნერგონ სპეციალისტებს მუდმივი ლტოლვა მიღებული ცოდნის გამდიდრებისა და განახლებისაკენ, და ეს აქციონ მთელი მათი ცხოვრებისა და საქმიანობის გარდუვალ წესად.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

ა) გამუდმებით აამაღლოს წამყვან პედაგოგიურ მუშაკთა როლი სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში, სისტემატურად განაახლოს ყველა სასწავლო დისციპლინის შინაარსი, აქტიურად დანერგოს სტუდენტთა სწავლების ახალი პროგრესული მეთოდები ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ყოველი ღონისძიებით განავითაროს ცოდნის შემოქმედებით დაუფლების ფორმები;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით შეიმუშაოს სპეციალისტთა მომზადების პროფილების დაზუსტების წინადადებანი, ამასთან გაითვალისწინოს, რომ ეს პროფილები შეესაბამებოდეს თანამედროვე წარმოებისა და ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადების მოთხოვნებს;

გ) აამაღლოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების სასწავლო-აღმზრდელობითი და მეცნიერულ-მეთოდური მუშაობის დონე, სრულად გამოიყენოს მათი შესაძლებლობანი სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და იდეური რწმენის ჩამოყალიბებისათვის; უზრუნველყოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მაღალი ხარისხი, სტუდენტთა მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაშრომების, სკკპ დოკუმენტების ღრმა შესწავლა, გამოუმუშაოს სტუდენტ ახალგაზრდებს კლასობრივი მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი, ანტიმარქსისტულ შეხედულებათა დასაბუთებული კრიტიკის უნარი; გააუმჯობესოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კადრების მომზადება, გააძლიეროს მათი პასუხისმგებლობა ახალგაზრდა სპეციალისტთა კომუნისტური აღზრდისათვის;

დ) სპეციალისტთა მომზადების გეგმების პროექტების შემუშავებისას გაითვალისწინოს უმაღლეს სასწავლებლებში დღისით სწავლების შემდგომი უპირატესი განვითარება;

შეადგინოს სპეციალობათა ნუსხა, რომლის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადება საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სისტემაში;

საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებში მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს იმ პირებს, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არჩეული სპეციალობის მიხედვით;

ე) გააუმჯობესოს უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი განყოფილებების საქმიანობა და მიიჩნიოს ისინი მატერიალური წარმოების სფეროში მომუშავე ახალგაზრდებით სტუდენტთა შევსების მნიშვნელოვან ფორმად;

ვ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უზრუნველყოს სახელმძღვანელოების, სასწავლო-მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოების დროულად მომზადება და გამოცემა, განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიმართულებათა მიხედვით, იმ ტირაჟით, რაც დააკმაყოფილებს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა მოთხოვნილებას;

ზ) დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობითა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით შეიმუშაოს წინადადებანი ისეთი სისტემის შესაქმნელად, რომ უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალურ ფაკულტეტებზე კადრების გადამზადება მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ, პერსპექტივიან მიმართულებათა მიხედვით წარმოებდეს იმ სტუდენტთა რიცხვიდან, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, და წარმოუდგინოს ეს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

თ) სამინისტროებთან, უწყებებთან და საწარმოებთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებანი; მიამაგროს უმაღლეს სასწავლებლებს საბაზო საწარმოები, საწარმოო გაერთიანებანი, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, კულტურის დაწესებულებანი, სადაც სტუდენტები გაივლიან საწარმოო პრაქტიკას;

ი) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატთან ერთად შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის სპეციალისტ-პედაგოგთა და მეცნიერ მუშაკთა მომზადების გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე მათი განაწილებისა და გამოყენების რეკომენდაციები;

კ) წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი უმაღლეს სასწავლებელთა რექტორების საბჭოს შექმნის საკითხზე მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო დაამტკიცებს დებულებას ამ საბჭოების შესახებ.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ დარგობრივ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით დიდ მეცნიერებსა და სახალხო მეურნეობის წამყვან სპეციალისტებს მიაღებინონ მონაწილეობა ყველაზე უფრო აქტუალურ მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა მიხედვით ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებაში, სადიპლომო დაპროექტებისა და სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ასპირანტთა ხელმძღვანელობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ აღნიშნული სპეციალისტების მოწვევა ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება საშტატო შეთავსებათა პირობებში (უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლის 0,5 ან 0,25 განაკვეთით), ამასთან საშტატო შეთავსება არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა საშტატო თანამდებობათა საერთო რაოდენობის 2 პროცენტს.

5. საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებმა, თბილისის, ქუთაისისა და გორის საქალაქო კომიტეტებმა, თელავის რაიკომმა უმაღლეს სასწავლებელთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების და კოლექტივების საქმიანობა წარმართონ მომავალ სპეციალისტთა მომზადების და კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, განამტკიცონ პარტიული გავლენა უმაღლეს სასწავლებელთა ყველა რგოლში, გააძლიერონ ყურადღება პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და სტუდენტთა საუკეთესო ნაწილის ხარჯზე უმაღლეს სასწავლებლებში პარტიული რიგების შევსებისათვის; აამაღლონ უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული ორგანიზაციების როლი სტუდენტთა მეცნიერული, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ შეურიგებლობის სულისკვეთებით მათს აღზრდაში; შთაუნერგონ სტუდენტებს ორგანიზებულობა და დისციპლინიანობა, შეურიგებლობა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისადმი, მაღალი ზნეობრივი და მორალურ-ეთიკური თვისებები, განავითარონ სტუდენტი ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, გამოუმუშაონ მათ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის ჩვევები.

6. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმონ უმაღლეს სასწავლებელთა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას; უმაღლეს სასწავლებელთა პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრონ იმას, რომ სტუდენტებსა და მასწავლებლებს შეუქმნან საჭირო პირობები სწავლის, შრომისა და დასვენებისათვის, გააუმჯობესონ მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება; უზრუნველყონ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი განვითარება, სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების იდეური დონის ამაღლება.

7. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გააქტიუროს უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სტუდენტთა კომუნისტური აღზრდისათვის, მრავალფეროვანი გახადოს სტუდენტ ახალგაზრდობაზე კომკავშირული ორგანიზაციების იდეური და მორალური ზეგავლენის ფორმები და საშუალებანი, შთაუნერგოს მას სწავლის, კოლექტივსა და ყოფაცხოვრებაში ქცევის მაღალი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა; გააძლიეროს ყურადღება თავდაცვით-მასობრივ და სპორტულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, გააუმჯობესოს სტუდენტთა საბჭოების საქმიანობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო საცხოვრებლებში, სტუდენტთა სამშენებლო რაზმების შტაბების მუშაობა.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, კულტურის სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან, ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან, ცეკავშირის გამგეობასთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1972 წლის 1 დეკემბრამდე შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი რესპუბლიკის საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისა და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

*
* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ რესპუბლიკის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, უმაღლესი სკოლის ყველა მუშაკი, საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები იხელმძღვანელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, ყველაფერს იღონებენ რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ჩურკინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 5 სექტემბერი, № 472.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 535

1972 წლის 18 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საბჭოთა უმაღლესი სკოლა ძირითადად წარმატებით ახორციელებს მთელი სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების უმნიშვნელოვანეს ამოცანას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებაში, მზარდ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე. უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობს ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერ მუშაკთა ერთ მესამედზე მეტი. უკანასკნელ წლებში გაფართოვდა უმაღლეს სასწავლებელთა ქსელი, გაიზარდა სტუდენტთა მიღება, განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიმართულებათა მიხედვით. დადებით როლს ასრულებენ უმაღლეს სასწავლებლებთან შექმნილი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის მოსამზადებელი განყოფილებანი. მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, სტუდენტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა, მოითხოვენ სპეციალისტთა სწავლებისა და აღზრდის შემდგომ სრულყოფას. წარმოების სწრაფი ზრდისა და მისი განუწყვეტელი ტექნიკური ხელახალი აღჭურვის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალისტთა უნარს განჭვრიტონ დარგისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები. კვალიფიციურად გადაწყვიტონ შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის ამოცანები.

სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა აღმოიფხვრას უმაღლესი სკოლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა თეორიული და პროფესიული ცოდნის დონე არ შეესაბამება მეცნიერებისა და წარმოების გაზრდილ მოთხოვნებს. ჯერ კიდევ ნელა მუშავდება და გამოიყენება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის თანამედროვე მეცნიერული მეთოდები, აგრეთვე სწავლების ტექნიკური საშუალებანი. ცალკეულ სასწავლო გეგმებში, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ჯეროვნად არ არის ასახული მეც-

ნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. სტუდენტებს ყოველთვის როდი უყენებენ მაღალ მოთხოვნებს სწავლის ხარისხისა და დისციპლინის დაცვის მხრივ. სრულყოფას მოითხოვს უმაღლესი განათლების დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფორმები.

ბევრი უმაღლესი სასწავლებელი, ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან, სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებთან, საჭირო ყურადღებას არ აქცევს აქტუალური მეცნიერული და ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტას. სერიოზული ხარვეზებია ასპირანტურის მუშაობაში, ჩვენი ქვეყნის შორეული რაიონების უმაღლესი სასწავლებლებისათვის მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადებაში.

სპეციალისტთა მომზადების, განაწილებისა და გამოყენების დაგეგმვა სრულად როდი უპასუხებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს. ზოგიერთი დარგობრივი სამინისტრო და უწყება უმაღლეს სასწავლებლებს არ უწევს არსებითს დახმარებას მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, თანამედროვე სალაბორატორიო მოწყობილობით აღჭურვაში. ნაკლებ მზრუნველობას იჩენს ახალგაზრდა სპეციალისტებისადმი.

უმაღლესი განათლების ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, რომელთაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, საკმაოდ ღრმად არ წვდებიან უმაღლეს სასწავლებელთა საქმიანობას, ჯეროვან კონტროლს არ უწევენ სპეციალისტთა მომზადების ხარისხს, სუსტად ამუშავებენ უმაღლესი სკოლის განვითარების პერსპექტიულ პრობლემებს.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები ყოველთვის როდი ახდენენ საჭირო გავლენას მასწავლებელთა კადრების შერჩევასა და განაწილებაზე, უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უმაღლეს სასწავლებელთა ღონისძიებანი წარმართონ უმაღლესი სკოლის განვითარების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკისათვის საჭირო კადრების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად. მიაღწიონ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები ფლობდნენ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საფუძვლებს, ჰქონდეთ ღრმა თეორიული და პროფესიული მომზადება, გააჩნდეთ მაღალი მორალური თვისებები და შეეძლოთ მუშაობა ადამიანებთან, იყვნენ პარტიის პოლიტიკის აქტიური გამტარებლები. უმაღლესი სკოლა მოწოდებულია შთაუნერგოს სპეციალისტებს მუდმივი ლტოლვა მიღებული ცოდნის გამდიდრებისა და განახლებისაკენ, რაც უნდა იქცეს მთელი მათი ცხოვრებისა და საქმიანობის გარდუვალ წესად.

2. ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით შეიქმნას უმაღლესი სკოლის საბჭო სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და მის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს უმაღლესი სასწავლებლების მქონე სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სრულიად საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრები, აგრეთვე სტუდენტობის წარმომადგენლები. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაამტკიცოს აღნიშნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობა. უმაღლესი სკოლის საბჭოს ყურადღება მიექცეს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციათა შემუშავებას, სპეციალისტთა მომზადების პერსპექტიული დაგეგმვის, მათი განაწილებისა და გამოყენების, მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს.

3. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ უმაღლეს სასწავლებელთა დიდ ცენტრებში შეიქმნას უმაღლეს სასწავლებელთა რექტორების საბჭოები, რომელთაც დაეკისროს უმაღლეს სასწავლებელთა საქმიანობის კოორდინაცია, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის, იდეურ-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების დადებითი გამოცდილების განზოგადება და გავრცელება. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ამ საბჭოების დებულება, ამასთან გაითვალისწინოს სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობა მათში.

4. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობა უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის, დაწესდეს, რომ უმაღლეს სასწავლებელთა რექტორებს მათი საქვეუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად (გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასწავლებელთა ხელმძღვანელებისა) დანიშნავენ და გაათავისუფლებენ თანამდებობიდან დადგენილი წესით ზემდგომი ორგანოები სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

5. სპეციალისტთა მომზადების მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1972-1974 წლების განმავლობაში განახორციელოს ღონისძიებანი უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების

სრულყოფისათვის იმ მიმართულებით, რომ გაძლიერდეს სტუდენტთა მომზადება ზოგადმეცნიერულ და ზოგადტექნიკურ დისციპლინებში და მოეწყოს პრაქტიკა მეცნიერებისა და წარმოების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, გაუმჯობესდეს სპეციალისტთა მომზადება შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის, საინჟინრო ფსიქოლოგიის, სამრეწველო ესთეტიკისა და ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის დარგში.

გამუდმებით აამაღლონ წამყვან მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაკთა როლი სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში. სისტემატურად განაახლონ ყველა სასწავლო დისციპლინის შინაარსი, უფრო აქტიურად დანერგონ სტუდენტთა სწავლების ახალი, პროგრესული მეთოდები ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ყოველმხრივ განავითარონ ცოდნის შემოქმედებითი დაუფლების ფორმები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით დააზუსტონ სპეციალისტთა მომზადების პროფილები და შეუსაბამონ ისინი თანამედროვე წარმოების მოთხოვნებს, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადებას.

6. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორებმა აამაღლონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების სასწავლო-აღმზრდელობითი და მეცნიერულ-მეთოდური მუშაობის დონე, უფრო სრულად გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და იდეური აწყმენის ჩამოყალიბებაში. უზრუნველყონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მაღალი ხარისხი, სტუდენტთა მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაშრომების, სკკპ დოკუმენტების ღრმა შესწავლა, გამოუმუშაონ სტუდენტ ახალგაზრდობას კლასობრივი მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი, ანტიმარქსისტულ შეხედულებათა დასაბუთებული კრიტიკის უნარი. გააუმჯობესონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინების მასწავლებელთა კადრების მომზადება, აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა ახალგაზრდა სპეციალისტთა კომუნისტური აღზრდისათვის.

7. დაევალოთ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ უმაღლესი განათლების საღამოს და დაუსწრებელი სწავლების გზით სპეციალისტთა მომზადება. გადასინჯონ იმ სპეციალობათა ნუსხა, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება კადრების მომზადება საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების გზით. განამტკიცონ კათედრები მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით. უმაღლეს სასწავლებელში წარმოებას მოუწყვეტლივ შესვლის დროს უზრუნველყონ უპირატესობის მინიჭება იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არჩეული სპეციალობის მიხედვით.

განამტკიცონ და გააუმჯობესონ უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი განყოფილებების საქმიანობა, რომლებიც წარმოადგენენ მა-

ტერიალური წარმოების სფეროში მომუშავე ახალგაზრდებით სტუდენტთა შეგსების მნიშვნელოვან ფორმას.

8. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტთან ერთად უზრუნველყონ სახელმძღვანელოების, სასწავლო-მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოების, განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიმართულებათა ხაზით დროულად მომზადება და გამოცემა იმ ტირაჟით, რაც დააკმაყოფილებს უმაღლეს სასწავლებელთა მოთხოვნილებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და სტუდენტები უზრუნველყოფილ იქნენ მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციით, რომელიც შეიცავს საბჭოური და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლეს ცნობებს.

9. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით შეიმუშაოს ისეთი სისტემა, რომ უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალურ ფაკულტეტებზე მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ პერსპექტივიან მიმართულებათა მიხედვით კადრების გადამზადება ხდებოდეს უმაღლესი განათლების, პრაქტიკული მუშაობის სტაჟისმქონე სპეციალისტთა რიცხვიდან, და შესაბამისი წინადადება წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

10. დაევალოთ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გაუმჯობესების ღონისძიებანი. მიამაგრონ უმაღლეს სასწავლებლებს საბაზო საწარმოები, საწარმოო გაერთიანებანი, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, კულტურის დაწესებულებანი სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გასავლელად.

დაწესდეს, რომ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი საჭირო პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავების მიზნით განაწილების ადგილის მიხედვით საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გადიან სტაჟს ერთ წლამდე ვადით, რომლის განმავლობაში ასრულებენ თანამდებობრივ მოვალეობებს და ხელფასს იღებენ საშტატო განრიგის მიხედვით. სტაჟის გავლის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროთ იმ დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გამგებლობაშიც არის ეს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სრულიად საკავშირო პროფსაბჭოსთან, სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად დაამტკიცოს დებულება ახალგაზრდა სპეციალისტთა სტაჟის გავლის შესახებ.

11. საჭიროდ იქნეს მიჩნეული ამაღლდეს უნივერსიტეტთა როლი ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაში და გახდნენ ისინი უმაღლესი სკოლის წამყვან სასწავლო-მეთოდურ ცენტრებად. უნივერსიტეტთა ღონისძიებანი წარიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათათვის კვალიფიციურ პედაგოგთა კადრებისა და მეცნიერ მუშაკთა მოსამზადებლად, ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგში გამოკვლევათა შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი უნივერსიტეტში სპეციალისტთა მომზადების, მათი განაწილებისა და გამოყენების გაუმჯობესებისათვის, ხოლო იმ საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებენ, წარმოუდგინონ წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

12. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს 1973 წლის 1 იანვრისათვის წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უმაღლესი სკოლის ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებანი, რომლებშიაც გათვალისწინებული იქნება უმაღლესი სასწავლებლებისათვის სასწავლო-სალაბორატორიო მოწყობილობისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა წარმოების გაფართოება, სასწავლო პროცესში კინოს, რადიოსა და ტელევიზიის დანერგვა, უმაღლესი სასწავლებლების უზრუნველყოფა უახლესი ხელსაწყოებითა და მოწყობილობით, ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკით.

დარგობრივმა სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ ზომები, რათა უმაღლესი სასწავლებლები დროულად აღიჭურვოს სამეცნიერო და სასწავლო მოწყობილობით, განმტკიცდეს მათი მატერიალური ბაზა.

13. უმაღლესი სკოლის მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების, განაწილებისა და მათი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით:

ა) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სრულიად საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაოს ახალი დებულება პროფესორთა და მასწავლებელთა თანამდებობების დაკავების წესის შესახებ, რომელშიაც გაითვალისწინოს მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონისადმი გაზრდილი მოთხოვნები, უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა თანამდებობების დაკავების საკითხთა კომისიის როლი სტუდენტებთან მასწავლებელთა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შეფასებაში;

ბ) მოეწყოს 1973 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტები ბელორუსიისა და ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან ხუთ თვემდე სწავლების ვადით და 400 მსმენელის საერთო კონტინგენტით;

გ) უმაღლეს სასწავლებელთა შტატებში შემოღებულ იქნეს სტაჟიორ მასწავლებელთა თანამდებობანი ერთი წლის სტაჟის გავლის ვადით ასპირანტურაში მიღების გეგმის შემცირების ხარჯზე, ამასთან მიეცეს მათ ხელფასი თვიურად 100 მანეთი სასტიპენდიო ფონდის ანგარიშში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ იმ სამინისტროთა და უწყებათა წარდგენით, რომელთაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, ყოველწლიურად დააწესონ სტაჟიორ მასწავლებელთა მიღების გეგმა. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცოს დებულება სტაჟიორ მასწავლებელთა შესახებ;

დ) გაფართოვდეს ჩვენი ქვეყნის შორეული რაიონების უმაღლეს სასწავლებლებში კვალიფიციურ მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაკთა მივლინების პრაქტიკა ლექციების კურსის წასაკითხად, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფასა და მეცნიერულ გამოკვლევათა მოწყობაში დახმარების გასაწევად.

14. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად განახორციელოს ჰუმანიტარულ უმაღლეს სასწავლებელთათვის მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების გაფართოებისა და სრულყოფის ღონისძიებანი. აამაღლოს უმაღლეს სასწავლებელთა რექტორების პასუხისმგებლობა ჰუმანიტარულ სპეციალობათა ასპირანტურის მუშაობის ეფექტიანობისათვის, მისი თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის; მოაწყოს ასპირანტთა მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის მეთოდიკის ღრმა შესწავლა.

15. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, დარგობრივ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით ჩააბან დიდი მეცნიერები და სახალხო მეურნეობის წამყვანი სპეციალისტები ყველაზე აქტუალურ მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა მიხედვით ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებაში, სადიპლომო დაპროექტებისა და სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ასპირანტების ხელმძღვანელობაში. ცალკეულ შემთხვევებში მოიწვიონ აღნიშნული სპეციალისტები საშტატო შეთავსების პირობებით (უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლის განაკვეთის 0,5 ან 0,25 ოდენობით), საშტატო შეთავსება არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის საშტატო თანამდებობათა საერთო რაოდენობის 2 პროცენტს.

16. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის ყურადღება მიექცეს მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების ატესტაციის ხარისხის გაუმჯობესებას, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მომპოვებელთა სამეცნიერო და პედაგოგიური მომზადების დონისადმი მოთხოვნების ამაღლებას, სამეცნიერო საბჭოების მუშაობის კონტროლის გაძლიერებას.

17. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერულ გამოკვლევათა თეორიული დონისა და ეფექტიანობის ამაღლება სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესების ამოცანებთან მჭიდრო კავშირში. კომპლექსურ პრობლემათა მეცნიერული დამუშავება განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებსა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებსა, დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე. უფრო აქტიურად დანერგოს მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგები მატერიალური წარმოების სფეროში. სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში, შექმნას საჭირო პირობები სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში სტუდენტთა უფრო ფართოდ ჩაბმისათვის.

18. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო კომიტეტებმა, საოლქო კომიტეტმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა უმაღლეს სასწავლებელთა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და კოლექტივების საქმიანობა წარმართონ მომავალ სპეციალისტთა მომზადებისა და კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, განამტკიცონ პარტიული გავლენა უმაღლესი სკოლის ყველა რგოლში, გააძლიერონ ყურადღება პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და სტუდენტთა საუკეთესო ნაწილის ხარჯზე უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული რიგების შევსებისათვის. აამაღლონ უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული ორგანიზაციების როლი სტუდენტთა მეცნიერული, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზრდაში.

12003

გამოუმუშაონ სტუდენტებს ორგანიზებულობა და დისციპლინიანობა, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებისადმი შეურიგებლობა, მაღალი ზნეობრივი და მორალურ-ეთიკური თვისებები. განავითარონ სტუდენტი ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, გამოუმუშაონ მათ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის ჩვევები.

19. სრულიად საკავშირო პროფსაბჭომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციონ უმაღლეს სასწავლებელთა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას. უმაღლეს სასწავლებელთა პროფკავშირული ორგანიზაციების ღონისძიებანი წარმართონ სტუდენტთა და მასწავლებელთა სწავლისა, შრომისა და დასვენებისათვის საჭირო პირობებისა მუ-

ᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმნელად, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად. უზრუნველყონ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი განვითარება, სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების იდეური დონის ამაღლება.

20. სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გააქტიურონ უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა სტუდენტთა კომუნისტური აღზრდისათვის. მრავალფეროვანი გახადოს კომკავშირული ორგანიზაციების სტუდენტ ახალგაზრდებზე იდეური და მორალური გავლენის ფორმები და საშუალებანი, შთაუნერგოს მათ სწავლის, კოლექტივსა და ყოფა-ცხოვრებაში მოქცევის მაღალი მოვალეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა. გააძლიეროს ყურადღება თავდაცვით-მასობრივი და სპორტული მუშაობისადმი, გაუუმჯობესოს სტუდენტთა საბჭოების საქმიანობა საერთო საცხოვრებლებში, სტუდენტთა სამშენებლო რაზმების შტაბების მუშაობა.

21. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადების დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი საშუალო სპეციალური სასწავლებლებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისა და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

22. საოქმო წესით.

* *
*

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, უმაღლესი სკოლის ყველა მუშაკი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები იხელმძღვანელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, ყველაფერს იღონებენ უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბრეჟნევი.**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

90 რესპუბლიკის საღამოს (ცვლიანი) სკოლების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის საღამოს (ცვლიანი) სკოლები გარკვეულ მუშაობას ეწევიან იმ ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან წარმოებაში და არა აქვთ რვაწლიანი და საშუალო განათლება.

ამჟამად 316 საღამოს (ცვლიანი) სკოლის 2531 კლასში სწავლობს 44729 ჭაბუკი და ქალიშვილი. მათი უმრავლესობა წარმატებით უთავსებს წარმოებაში მუშაობას მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლას. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ამ ტიპის სკოლებში რვაწლიანი განათლება მიიღო 60 ათასზე მეტმა, ხოლო საშუალო — 82 ათასზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

ამ ბოლო წლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გააძლიერეს კონტროლი და ხელმძღვანელობა აღნიშნული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი. დიდი ყურადღება ექცევა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას, სწავლა-აღზრდის ხარისხის შემდგომ სრულყოფას. რამდენადმე ამაღლდა მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონე, შემცირდა განთეული ახალგაზრდების პროცენტი.

რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და რაიონში გაუმჯობესდა საღამოს სკოლებისა და საწარმო-დაწესებულებათა ერთობლივი მუშაობა წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდისათვის, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად განმტკიცდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. საღამოს (ცვლიან) სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის, სატრიკოტაჟო კომბინატის, კოტონ-წინდების ფაბრიკის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტისა და სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის საღამოს (ცვლიანი) სკოლების მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი: ამ ტიპის სკოლების ხელმძღვანელთა და პედაგოგიურ კოლექტივთა ერთი ნაწილი საკმაოდ არ იცნობს მათი მუშაობის სპეციფიკას, არ იჩენს შემოქმედებითს მიდგომას თავისი მოვალეობისადმი; სკოლებისა და პედაგოგიური საბჭოების წლიურ-სამუშაო გეგმებს, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობის ნახევარწლიურ გეგმებს და გაკვეთილების ყოველდღიურ გეგმებს ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს; სახალხო განათლების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანო საკმაო ზომებს არ იღებს საღამოს სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ყოველივე ეს უარყოფითს გავლენას ახდენს საღამოს სკოლების მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონეზე. ეს დონე განსაკუთრებით დაბალია სიღნაღის, მაიაკოვსკის, ლაგოდეხის, გარდაბნის, გალისა და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა რაიონისა და ქალაქის სკოლებში.

1971 წელს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო იმავე კლასში მეორე წელს დარჩა რესპუბლიკის საღამოს სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 16,6 პროცენტი, რაც წარმოადგენს მოსწავლეთა განთესვის ძირითად მიზეზს. სულ 1970/71 სასწავლო წელს სწავლას თავი მიანება 11386 მოსწავლემ, რის შედეგადაც დაიხურა ცალკეული კლასები და სკოლებიც კი.

მთელი რიგი წლების მანძილზე არ სრულდება საღამოს სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა, თუმცა, სტატისტიკური მონაცემებით, იმ 16-29 წლის ასაკის ახალგაზრდების რიცხვი, რომელთაც არა აქვთ რვაწლიანი და საშუალო განათლება, რესპუბლიკაში აღწევს 182 ათას კაცს. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისისა და ფოთის სკოლებში, ხოლო ყაზბეგისა და დუშეთის რაიონებში, მიუხედავად იმისა, რომ არის შესაბამისი კონტინგენტი, არ არის გახსნილი არც ერთი საღამოს სკოლა.

ყველგან არ ხორციელდება მიზანდასახული ღონისძიებანი სკოლებისა და საწარმო-დაწესებულებათა ერთობლივი საქმიანობის სრულყოფისათვის. ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი არ ზრუნავს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და გამდიდრებისათვის, ნაკლებ დაინტერესებას იჩენს ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებისადმი, არ ეხმარება სწავლაში ჩაბმულ მუშებსა და მოსამსახურეებს, არ ასრულებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 დადგენილებით იმ მოსწავლეთათვის შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის შემოღების წესს, რომლებიც წარმატებით უხამებენ ერთმანეთს მუშაობასა და სწავლას.

საღამოს (ცვლიანი) სკოლების მუშაობას ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში არადამაკმაყოფილებლად ეწყობა საღამოს სკოლების საზოგადოებრივი დათვალიერება დევიზით „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ რესპუბლიკის საღამოს (ცვლიანი) სკოლების მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებანი;

ბ) მიიღონ გადამჭრელი ზომები იმ 16-29 წლის ასაკის ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად, რომლებიც წარმოებაში არიან დასაქმებული და რომლებსაც არა აქვთ რვაწლიანი და საშუალო განათლება; შეადგინონ სწავლებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების ჩაბმის გეგმები მეცხრე ხუთწლედისათვის და ხუთწლედის ყოველი წლის მიხედვით და მიაღწიონ მათს შესრულებას, ამასთან ამ მიზნით გააძლიერონ „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლების“ დევიზით გაშლილი სრულიად საკავშირო დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტების მუშაობა;

გ) უზრუნველყონ იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სწავლებაში ჩაბმა, რომელთაც არა აქვთ რვაწლიანი და საშუალო განათლება;

დ) მიიღონ ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული საღამოს სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვა და ამ მიზნით გაშალონ დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფართო პროპაგანდა რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების, რადიოს, ტელევიზიისა, აგრეთვე თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებათა გამოყენებით;

ე) ზუსტად განსაზღვრონ ყოველი სკოლის საქმიანობის ზონაში შემავალი მიკრორაიონები; საღამოს სკოლების უფრო რაციონალური განლაგების უზრუნველყოფის მიზნით ერთი თვის ვადაში გადასინჯონ მათი ქსელის დისლოკაცია და შეარჩიონ ამ სკოლებში სწავლების საჭირო ფორმები ადგილობრივი პირობების კვალობაზე (დასწრებული, დაუსწრებელი, სასესიო, ოსტატთა კლასები);

ვ) დაავალონ ფაბრიკების, ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე სხვა საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სკოლებს სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებასა და სრულყოფაში;

ზ) სისტემატურად განახორციელონ საღამოს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა საღამოს სკოლების მუშაობისადმი, დაეხმაროს მათ საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში და კონტროლი გაუწიოს მათს საქმიანობას; მთელი სიმკაცრით მოთხოვოს ამ სკოლების ხელმძღვანელებსა და პედაგოგიურ კოლექტივებს, რათა გაითვალისწინონ მუშა-ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტთან მუშაობის სპეციფიკური პირობები და მისდამი შემოქმედებითი მიდგომა;

ბ) ყოველი ღონისძიებით აამაღლოს პედაგოგთა როლი წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდების სწავლა-აღზრდაში, მიიღოს ზომები მოწინავე პედაგოგთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვისათვის;

გ) მიიღოს გადამჭრელი ზომები საღამოს (ცვლიანი) სკოლების სპეციალური ხელსაწყოებით, პედაგოგიური და მეთოდიკური ლიტერატურით უზრუნველყოფისათვის;

დ) განახორციელოს ღონისძიებანი საღამოს სკოლების მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა დროულად გამოსცეს საღამოს სკოლებისათვის სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები და

მეთოდიკური ლიტერატურა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაკვეთით, სასკოლო სახელმძღვანელოთა გამოცემის საერთო გეგმის ფარგლებში.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ყოველწლიურად განახორციელონ მშრომელი ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონის ამაღლების ღონისძიებანი.

5. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა:

ა) სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი იმ ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლებისათვის, რომელთაც არა აქვთ რვაწლიანი და საშუალო განათლება, ამასთან ეს ღონისძიებანი გაითვალისწინონ საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა სოციალური განვითარების გეგმებში;

ბ) საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა და საბჭოთა მეურნეობათა მუშებისა, აგრეთვე კოლმეურნეებისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების, თანრიგების მომატების ან უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე გადაყვანის დროს გაითვალისწინონ მათი ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონე;

გ) საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შემოწმების დროს გაითვალისწინონ მათი საქმიანობა მუშაკთა ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების დარგში;

დ) კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ახალგაზრდებს სწავლაში, საჭიროების დროს შეუცვალონ მუშაობის ცვლა, იზრუნონ მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის და კულტურული დასვენების მოწყობისათვის;

ე) ქმედითი დახმარება გაუწიონ საღამოს (ცვლიან) სკოლებს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში.

6. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა მტკიცედ დაიცვან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 დადგენილებით გათვალისწინებული წესი იმის შესახებ, რომ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც წარმატებით სწავლობენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლიანი, სეზონური) სკოლებსა და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, დაუწესონ შემცირებული სამუშაო დღე ან შემცირებული სამუშაო კვირა.

7. საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტმა, რაიკომებმა:

ა) ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ საღამოს (ცვლიან) სკოლებს გამოეყოთ ცალკე შენობები, აგრეთვე ამ ტიპის სკოლებისათვის აშენდეს სპეციალური შენობები დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გააცნონ ეს დადგენილება რესპუბლიკის ყველა საღამოს (ცვლიანი) სკოლის, აგრეთვე შესაბამის საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს; განიხილონ ამ ტიპის სკოლების მუშაობის საკითხი პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე;

ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების შესახებ ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების ორგანოების წინაშე სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საღამოს (ცვლიანი) სკოლები. ამიტომ, ამ ტიპის სკოლებისათვის დახმარების მკვეთრად გაძლიერება, მათი საქმიანობისადმი დაინტერესება უნდა გახდეს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ჩურკინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 5 სექტემბერი, № 473.

ეროვნული ბიბლიოთეკა

91 ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მიღებული ზომების შედეგად უკანასკნელი წლების მანძილზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა რესპუბლიკაში მნიშვნლოვნად განმტკიცდა როგორც ერთიანი, შრომისა და პოლიტექნიკური სკოლა. გადიდდა საშუალო სკოლების ქსელი. ამჟამად მათი რიცხვი შეადგენს 1559, მაშინ როდესაც 1965 წელს სულ იყო 1200 სკოლა. გაიზარდა კვალიფიციურ მასწავლებელთა რიცხვი. უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები შეადგენენ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა რაოდენობის 69 პროცენტს. წლითიწლობით სულ უფრო სრულყოფილი ხდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. რესპუბლიკაში იქმნება ყველა პირობა, რათა დამთავრდეს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, რომელიც წარმოადგენს კომუნიზმის გზით ჩვენი საზოგადოების შემდგომი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების, მშრომელთა სოციალისტური შეგნებულობისა და კულტურის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. ყოველივე ეს დიდი მიღწევაა სახალხო განათლების დარგში.

ამასთანავე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვენ მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის მთელი საქმის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის ხარისხის ამაღლებას. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლის მუშაობა შეესაბამებოდეს კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებსა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს.

რესპუბლიკის სახალხო განათლებაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. კვლავინდებურად საგრძნობია მოსწავლეთა განთესვა, რამაც 1971 წელს შეადგინა დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 2,5 პროცენტი და საღამოს სკოლის მოსწავლეთა 23,9 პროცენტი. არ კლებულობს აგრეთვე მეორეწლიანთა რიცხვი, რამაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეადგინა 30 ათასი, ხოლო საღამოს სკოლებში — 6,9 ათასი კაცი. რესპუბლიკის სკოლებში საკმაოდ არ ინერგება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახალი აქტიური მეთოდები და სწავლების ტექნიკური საშუალებები. სრულად არ არის გამოყენებული კომუნისტური მორალის, ქცევის მაღალი კულტურის, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის არსებული შესაძლებლობანი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი ნელა ამუშავებს მოსწავლეთა განათლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელოვან პრობლემებს. მასწავლებელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრების მომზადება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებში საკმაოდ არ არის დაკავშირებული თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პრაქტიკასა და მოთხოვნებთან. ნაკლებეფექტიანია პედაგოგთა და სკოლის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ამჟამად გამოყენებული ფორმები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ განათლების დარგში დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული პირველ ყოვლისა სახალხო განათლების ორგანოების, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაზე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობისადმი მათს აქტიურ და მუდმივ ყურადღებაზე.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის № 463 დადგენილება დაეგზავნოთ საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. დაევალოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) მიიღონ ზომები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მათი საქმიანობა წარმართონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დასახულია განათლების შემდგომი განვითარების, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების, მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესების დარგში, მიაღწიონ იმას, რომ რესპუბლიკის სკოლა ახალგაზრდებს აძლევდეს ბუნებისა და საზოგადოების კანონების ღრმა და მტკიცე ცოდნას, უნერგავდეს მას მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, უღვივებდეს ახალგაზრდობას აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ ლტოლვას, ზრდიდეს მას სოციალისტური სამშობლოსათვის უანგარო სამსახურის, კომუნიზმის იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთებით;

ბ) საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მიზნით:

— მიიღონ ზომები, რათა მთლიანად ჩააბან ახალგაზრდები საშუალო განათლებაში და შემდგომ შემცირდეს მოსწავლეთა განთესვა და მეორეწლიანთა რიცხვი;

— განავითარონ და სრულყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, როგორც შრომისა და პოლიტექნიკური სკოლა, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდობისათვის ზოგადი საშუალო განათლების მიცემის ძირითად ფორმას;

— მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობა, საჭირო პირობები შეუქმნან მომუშავე ახალგაზრდებს საშუალო განათლების მისაღებად;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების მაღალი დონე საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში; გააფართოონ მოსწავლეთა მიერ ზოგადი განათლების მიღება ერთ და ორწლიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, რესპუბლიკის სკოლების ხელმძღვანელებმა და მასწავლებელთა კოლექტივებმა:

— გააძლიერონ ყურადღება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისა და სწავლების თეორიული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საკითხებისადმი;

— დაამთავრონ 1976 წლისათვის ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემოღება ყველა სასკოლო კურსის მიხედვით, მათს საფუძველზე მოამზადონ და გამოსცენ სტაბილური სახელმძღვანელოები და სასწავლო მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებიც ასახავენ მეცნიერებისა და წარმოების მიღწევათა თანამედროვე დონეს;

— გააუმჯობესონ რუსული და ქართული ენების სწავლება ქართულ სკოლებში და რუსული და დედაენისა — რესპუბლიკის სხვა ეროვნულ სკოლებში, მოაწესრიგონ იმ სკოლებისა და კლასების მუშაობა, სადაც წარმოებს ცალკეული საგნების გაღრმავებული შესწავლა;

— მოაწყონ ყველა საშუალო სკოლაში სასწავლო კაბინეტები საჭირო რაოდენობით, თანმიმდევრულად განაახლონ და მრავალფეროვანი გახადონ სწავლების მეთოდები, ეფექტიანად გამოიყენონ სწავლების ტექნიკური საშუალებანი, კინო, რადიო და ტელევიზია; გააუმჯობესონ ფაკულტატიურ მეცადინეობათა შინაარსი;

— მიიღონ ზომები მოსწავლეთა ზნეობრივი, ესთეტიკური, სამართლებრივი, სამხედრო-პატრიოტული და ათეისტური აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის, გამოიჩინონ მუდმივი მზრუნველობა მოწაფეთა ფიზიკური განვითარებისათვის;

— განუხრელად მიაღწიონ სკოლისა და ოჯახის კავშირის შემდგომ განმტკიცებას, მორალურ მოთხოვნათა ერთიანობას ოჯახსა და სკოლაში.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ გააფართოონ საღამოს სკოლებისა და მათი ფილიალების ქსელი ახალგაზრდობის მუშაობის ადგილების მიხედვით. ხოლო საქართველოს სსრ სამინისტროებმა, საწარმოებმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებთანაც შეიქმნება საღამოს სკოლები და მათი ფილიალები, შექმნან და განამტკიცონ ამ სკოლების მატერიალური ბაზა; განსაზღვრონ თითოეული საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობისა და დაწესებულების მიერ ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების სკოლებში ჩაბმის ყოველწლიური საგეგმო დავალებანი;

5. მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციის, პედაგოგიური ხელოვნებისა და შემოქმედებითი ინიციატივის მუდმივი ზრდის სტიმულირების მიზნით შემოღებულ იქნეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა სისტემატური ატესტაცია. შეიქმნას საატესტაციო კომისიები საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებასთან.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

— მიიღოს ზომები მასწავლებელთა მომზადების გაუმჯობესებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

— გააძლიეროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო-მეთოდიკური ხელმძღვანელობა იმ შესაბამისი რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით, რომელთა დაქვემდებარებაში არის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ აამაღლოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის როლი, რომელიც წარმოადგენს პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების წამყვან სასწავლო-მეთოდურ ცენტრს; განამტკიცოს ეს ინსტიტუტი კვალიფიციური მუშაკებით და გაუუმჯობესონ მისი სასწავლო-მატერიალური ბაზა, მოაწყოს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრები მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, გაავრცელოს ამ კათედრების მუშაკებზე შრომის ანაზღაურების პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 5 ივნისის № 660 დადგენილებით.

8. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს მწერალთა კავშირმა, საქართველოს მხატვართა კავშირმა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა მიიღონ ზომები მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებიც გაამდიდრებენ მოზარდებისა და ახალგაზრდების სულიერ სამყაროს, გააძლიერონ დახმარება რესპუბლიკის სკოლებისადმი მოსწავლეთა

ესთეტიკურ აღზრდაში, ფართო მონაწილეობა მიაღებინონ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს ბავშვთა შემოქმედებითი კოლექტივების ხელმძღვანელობაში, ბავშვებისათვის შეხვედრების, გამოფენებისა და კონცერტების მოწყობაში.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გააუმჯობესონ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის გამოსაცემ სახელმძღვანელოთა შინაარსი, პოლიგრაფიული და მხატვრული შესრულება, უზრუნველყონ სახელმძღვანელოთა დროული გამოცემა და მოსწავლეთა მომარაგება.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოვეტაკან ვრასტანის", „სოვეტ გურჯისტანის", „სახალხო განათლების", „თბილისის", „ვეჩერნი ტბილისის", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული და საქალაქო გაზეთების, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციებმა გააუმჯობესონ სახალხო განათლების საკითხების და მოზარდი თაობის სწავლისა და კომუნისტური აღზრდის მოწინავე გამოცდილების გაშუქება, აამაღლონ გამოსაქვეყნებელი მასალების ხარისხი, ნათლად და დამაჯერებლად აჩვენონ ახალგაზრდობის მიერ საშუალო განათლების მიღების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

ა) დამატებით შეისწავლოს რესპუბლიკის პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამგებლობაში გადაცემის საკითხი და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს განსახილველად.

ბ) განსაზღვროს პედაგოგიურ ინსტიტუტებში საჭირო რაოდენობის ადგილი იმ ახალგაზრდების კონკურსგარეშე მისაღებად, რომლებიც შორეულ სასოფლო რაიონებში ცხოვრობენ და შემდგომ გაგზავნილი იქნებიან ამავე რაიონებში სამუშაოდ.

12. საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა აამაღლონ საწარმოთა, საბჭოთა მეურნეობათა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა, სასწავლებელთა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დროულად დამთავრებისა და ბავშვთა კომუნისტური აღზრდისათვის; გააუმჯობესონ მუშაობა სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის, გააძლიერონ კონტროლი საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების იდეურ-თეორიული დონისადმი, მიიღონ ზომები სკოლების პირველადი ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი გაუმჯობესე-

ბისათვის, მიაღწიონ, რომ შექმნან თავიანთი შრომის შედეგებისათვის მასწავლებელთა მაღალი აქტივობისა და პასუხისმგებლობის ატმოსფერო; წარმართონ სკოლების პედაგოგიური კოლექტივების, მშობელთა კომიტეტების, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობა იმ მიზნით, რომ შთაუნერგონ მოსწავლეებს სწავლისადმი დამოკიდებულების პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ კომუნისტური მორალის ნორმების დაცვა.

13. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

— უზრუნველყონ ახალგაზრდობის მოზიდვა საშუალო განათლების მისაღებად, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების განვითარების ყოველწლიურ დავალებათა შესრულება; განამტკიცონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, მკაცრი კონტროლი გაუწიონ სასკოლო შენობების, სასკოლო ინტერნატების შენობების მშენებლობის და რემონტის ვადებსა და ხარისხს, მოაწყონ სკოლებში ცხელი კერძების გაცემა, აგრეთვე სოფლად მცხოვრებ მოსწავლეთა სკოლებში ტრანსპორტით მიყვანა.

— ყოველმხრივ გააფართოონ შრომითი კოლექტივების შეფობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისადმი; მხარი დაუჭირონ საწარმოთა, მოწინავე კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მიერ სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების შენობების საინიციატივო მშენებლობას;

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ ამ მიზნით გამოჰყონ საჭირო მასალების, მოწყობილობის ფონდები და განსაზღვრონ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები;

14. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ:

— ხელი შეუწყოს მასწავლებელთა შრომის ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას, მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების გაუმჯობესებას; გააქტიუროს ოჯახისა და სკოლის ხელშემწყობი კომისიებისა და საბჭოების საქმიანობა, გააძლიეროს ყურადღება არდადეგების პერიოდში ბავშვებთან ვამაჯანსაღებელი მუშაობისადმი;

— იმ მიზნით, რომ მასობრივად იქნეს ჩაბმული მოსწავლეები ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა ფორმებსა და სპორტის სახეობებში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი სასკოლათშორისო დაწესებულებათა, პიონერთა სახლებისა და სასახლეების, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურების, ბავშვთა მუსიკალური, მხატვრული, სპორტული სკოლების, შრომისა და დასვენების ბანაკების, საექსკურსიო ტურისტული სადგურებისა და სპორტული ბაზების განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

15. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— გაუმჯობესოს რესპუბლიკის სკოლებში პროფილაქტიკური მუშაობა და საექიმო მეთვალყურეობა მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობისადმი;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს და სრულყოს ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებასა და ჯანმრთელობის განმტკიცებას.

16. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, კომკავშირის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა წარმართონ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისათვის; სრულყონ სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებთან და უფროს პიონერ ხელმძღვანელებთან მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები; აამაღლონ მასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების როლი, წაახალისონ მოსწავლეთა ისეთ ნებაყოფლობით საზოგადოებათა ჩამოყალიბება, როგორიცაა: „ნორჩი პატრიოტი“, „ნორჩი ნატურალისტი“, „ნორჩი ტექნიკოსი“ და სხვ.

* *
*

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრება საერთო სახალხო საქმეა. ამ დიდმნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიების პრაქტიკულ განხორციელებაში რესპუბლიკის ყველა მშრომელის აქტიური დახმარება ხელს შეუწყობს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დასახა სკკპ XXIV ყრილობამ კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ჩურკინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 5 სექტემბერი, № 474.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 463

1972 წლის 20 ივნისი

 მოსკოვი, კრემლი

ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მიღებული ზომების შედეგად ამ უკანასკნელ წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მნიშვნელოვნად განმტკიცდა როგორც ერთიანი შრომისა და პოლიტექნიკური სკოლა. გაიზარდა საშუალო სკოლების ქსელი, გადიდდა კვალიფიციურ მასწავლებელთა რიცხვი, სრულყოფილი ხდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ჩვენს ქვეყანაში იქმნება ყველა პირობა, რათა დამთავრდეს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, რაც წარმოადგენს კომუნიზმის გზით ჩვენი საზოგადოების შემდგომი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების, მშრომელთა სოციალისტური შეგნებულობისა და კულტურის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. ყოველივე ეს დიდი მიღწევაა სახალხო განათლების დარგში.

ამასთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელება მოითხოვს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის მთელი საქმის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის ხარისხის ამაღლებას. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, რომ სკოლის მუშაობა შეესაბამებოდეს კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებსა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს. სახალხო განათლებას ახასიათებს მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი. კვლავ გრძელდება მოსწავლეთა მნიშვნელოვანი განთესვა დღისა და განსაკუთრებით საღამოს სკოლებიდან, არ კლებულობს მეორეწლიანთა რიცხვი. სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში საკმარისად არ ინერგება სწავლების ახალი, აქტიური მეთოდები და ტექნიკური საშუალებანი. სრულად არ იყენებენ კომუნისტური მორალის, ქცევის მაღალი კულტურის, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის არსებულ შესაძლებლობებს.

სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულებანი ნელა ამუშავებენ მოსწავლეთა განათლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს. მასწავლებელთა კადრების მომზადება საკმარისად არ არის და-

კავშირებული პრაქტიკასთან და თანამდროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოთხოვნებთან. სკოლის პედაგოგთა და ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება ნაკლებეფექტიანი ფორმებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ განათლების დარგში დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული პირველყოვლისა სახალხო განათლების ორგანოების, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაზე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობისადმი მათს აქტიურ და მუდმივ ყურადღებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა მიიღონ ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მათი ღონისძიებანი წარმართონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დასახულია განათლების შემდგომი განვითარების, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების, მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის ხარისხის ამაღლების დარგში, მიაღწიონ იმას, რომ საბჭოთა სკოლა ახალგაზრდებს აძლევდეს ბუნებისა და საზოგადოების კანონების ღრმა და მტკიცე ცოდნას, უნერგავდეს მას მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, უღვივებდეს ახალგაზრდობას აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ ლტოლვას, ზრდიდეს მას სოციალისტური სამშობლოსათვის უანგარო სამსახურის, კომუნიზმის იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

2. საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მიზნით დაევალოთ განათლების ორგანოებს, პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს:

მიიღონ ზომები, რათა უფრო სრულად ჩააბან ახალგაზრდობა საშუალო განათლებაში;

განავითარონ და სრულყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, როგორც შრომისა და პოლიტექნიკური სკოლა, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდობისათვის ზოგადი საშუალო განათლების მიცემის ძირითად ფორმას;

მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობა, საჭირო პირობები შეუქმნან მომუშავე ახალგაზრდებს საშუალო განათლების მიღების დასამთავრებლად;

პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური განათლების ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების მაღალი დონე საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში; გააფართოონ მოსწავლეთა მიერ ზოგადი განათლების მიღება ერთ და ორწლიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად შემოიღონ ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დაგეგმვისა და აღრიცხვის ერთიანი მეთოდიკა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საშუალო განათლების ყველა ფორმის რაც შეიძლება სრულად გამოყენება.

3. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიამ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა, სკოლების ხელმძღვანელებმა და მასწავლებელთა კოლექტივებმა გააძლიერონ ყურადღება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისა და სწავლების თეორიული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საკითხებისადმი.

1975 წლისათვის დაამთავრონ ყველა სასკოლო კურსის ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემოღება. მათს საფუძველზე შეადგინონ და გამოსცენ სტაბილური სახელმძღვანელოები და სასწავლო მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოა კომპლექტები, რომლებიც ასახავენ მეცნიერებისა და წარმოების მიღწევათა თანამედროვე დონეს.

გააუმჯობესონ რუსული და დედაენის სწავლება ეროვნულ სკოლებში. მოაწესრიგონ ცალკეულ საგანთა გაღრმავებული შესწავლის სკოლებისა და კლასების მუშაობა;

ყველა საშუალო სკოლაში გააწყონ სასწავლო კაბინეტები საჭირო რაოდენობით. თანმიმდევრობით განაახლონ და გაამრავალფეროვანონ სწავლების მეთოდები, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სწავლების ტექნიკური საშუალებანი, კინო, რადიო და ტელევიზია. გააუმჯობესონ ფაკულტატიურ მეცადინეობათა შინაარსი.

მიიღონ ზომები მოსწავლეთა ზნეობრივი, ესთეტიკური, სამართლებრივი, სამხედრო-პატრიოტული და ათეისტური აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის, მუდმივი მზრუნველობა გამოიჩინონ მოწაფეთა ფიზიკური განვითარებისათვის. განუხრელად მიაღწიონ სკოლისა და ოჯახის კავშირის შემდგომ განმტკიცებას, მორალურ მოთხოვნათა ერთიანობას ოჯახსა და სკოლაში.

4. კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სკოლის კავშირის შემდგომი განმტკიცების მიზნით სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ორგანოებმა განავითარონ პოლიტექნიკური სწავლება სასკოლო საგნების შესწავლისა და თანამედროვე წარმოების საფუძვლების ურთიერთ მჭიდრო შეხამების ბაზაზე. სისტემატურად მოაწყონ მოსწავლეთა ექსკურსიები ფაბრიკა-ქარხნებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, გააცნონ მათ საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესები და შრომის ორგანიზაცია. მიაღწიონ მოწაფეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებას სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად შექმნან და აღჭურვონ სასწავლო საამქროები სასკოლო და სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები. განავითარონ და სრულყონ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების, მოწაფეთა სატყეოების მუ-

შაობის და მოსწავლეთა შრომის ორგანიზაციის პედაგოგიურად დასაბუთებული სხვა ფორმები.

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ არდადეგების დროს სახალხო მეურნეობაში, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობასა და გამწვანებაში, ბუნების დაცვაში ორგანიზებული შრომითი მონაწილეობა მიაღებინონ მოწაფეებს, განსაკუთრებით უფროსკლასელებს. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ არსებული გამოცდილების გათვალისწინებით შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება მოსწავლეთა პრაქტიკულ საზაფხულო სამუშაოების შესახებ.

5. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააფართოონ საღამოს სკოლების, მათი ფილიალების ქსელი ახალგაზრდობის მუშაობის ადგილების მიხედვით და განამტკიცონ მათი მატერიალური ბაზა. განსაზღვრონ სკოლებში ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების მოზიდვის ყოველწლიური საგეგმო დავალებანი თითოეული საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობისა და დაწესებულების მიხედვით.

6. საყოველთაო საშუალო განათლების პირობებში იზრდება მასწავლებლის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე ახალგაზრდა თაობის სწავლებისა და აღზრდისათვის, მასწავლებელი მთელი თავისი ყოფაქცევით და მოქმედებით მისაბაძი უნდა იყოს მოსწავლეთათვის, მაღალი კომუნისტური ზნეობის, იდეური რწმენის, კულტურის, პრინციპულობისა და დიდი ერუდიციის ნიმუშს უნდა იძლეოდეს. მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციის, პედაგოგიური დახელოვნების და შემოქმედებითი ინიციატივის გამუდმებული ზრდის სტიმულირების მიზნით შემოღებულ იქნეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლების სისტემატური ატესტაცია. შეიქმნას მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროებთან, სამხარეო, საოლქო, მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო სახალხო განათლების განყოფილებებთან საატესტაციო კომისიები, ატესტაციის შედეგების მიხედვით ყველაზე წარჩინებულ მასწავლებლებს მიენიჭოთ „უფროსი მასწავლებლის“ და „მასწავლებელ-მეთოდისტის“ წოდება. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ სრულიად საკავშირო პროფსაბჭოსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად 1972 წლის განმავლობაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი საატესტაციო კომისიების, წოდებათა მინიჭების წესის და მასწავლებელთა მუშაობის მორალური წახალისების ღონისძიებათა შესახებ.

7. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მასწავლებელთა მომზადების მოთხოვნათა ერთიანობა და პედაგოგიური სასწავლებლები დაუახლოვდნენ სკოლას, საჭიროდ ჩაითვალოს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლებისადმი ხელმძღვანელობა გაერთიანდეს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროების სისტემაში.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განსაზღვრონ საჭირო რაოდენობის ადგილები პედაგოგიურ ინსტიტუტებში იმ ახალგაზრდების კონკურსგარეშე მისაღებად, რომლებიც ცხოვრობენ შორეულ სასოფლო რაიონებში და შემდგომ გაგზავნილი იქნებიან იმავე რაიონებში სამუშაოდ. გააფართოონ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მომზადება პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

8. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მიიღოს ზომები უნივერსიტეტებში მასწავლებელთა მომზადების გაუმჯობესებისათვის. შეიტანოს ცვლილებანი სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში, რომელთა მიზანია პედაგოგიურ სპეციალობათა უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მომზადების გაძლიერება და პრაქტიკის გაფართოება.

9. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა აამაღლონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების როლი, რომლებიც წარმოადგენენ პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების წამყვან სასწავლო-მეთოდურ ცენტრებს. განამტკიცონ ისინი კვალიფიციური მუშაკებით, გააუმჯობესონ მათი სასწავლო-მატერიალური ბაზა, მოაწყონ მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკურ ინსტიტუტებში პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრები, ამასთანავე ამ კათედრების მუშაკებზე გაავრცელონ შრომის ანაზღაურების პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 5 ივნისის № 660 დადგენილებით.

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ დიდ უნივერსიტეტებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში შეიქმნას სკოლის დირექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ ექვსი თვის ვადაში შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შესაბამისი წინადადებანი განსახილველად.

10. სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიამ შეიმუშაოს და მოამზადოს სახალხო განათლების დაწესებულებათა და ორგანოებისათვის რეკომენდაციები შემდეგი მიმართულებებით: სწავლების მეცნიერული დონისა და მისი იდეური მიმართულების ამაღლება, პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების, შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის ყველაზე ეფექტიანი გზების განსაზღვრა; სწავლა-აღზრდაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება; ბავშვთა და ახალგაზრდობის აღზრდაში სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ურთიერთქმედების ფორმების სრულყოფა; განათლების დაგეგმვა, ეკონომიკა და ორგანიზაცია, ზოგადი და საშუალო სპეციალური განათლების თანაფარდობა; საშუალო სკოლის, მისი სტრუქტურისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციული ფორმების განვითარების პერსპექტივები; ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ბურჟუაზიული თეორიების რეაქციული არსის მხილება.

11. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, რესპუბლიკურმა და დარგობრივმა აკადემიებმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათ-

ლების სამინისტრომ დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების ორგანოებს მასწავლებელთა მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებაში, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადებაში, მოწაფეთა ოლიმპიადების მოწყობაში; განამტკიცონ და გააფართოონ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების თანამეგობრობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან.

12. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის კომიტეტმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა მიიღონ ზომები მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებიც გაამდიდრებენ ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს. გააძლიერონ სკოლებისადმი დახმარება მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში, ფართოდ მოიზიდონ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი ბავშვთა შემოქმედებითი კოლექტივების სახელმძღვანელოდ, ბავშვებისათვის შეხვედრების, გამოფენებისა და კონცერტების მოსაწყობად.

13. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა გააუმჯობესონ სახელმძღვანელოების შინაარსი, პოლიგრაფიული და მხატვრული შესრულება; 3-5 წლის განმავლობაში გამოსცენ მასწავლებელთა დასახმარებლად პედაგოგიური ლიტერატურის ბიბლიოთეკები, წიგნების სერიები იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე მოსწავლეთა და მშობელთათვის.

14. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, ცენტრალური, რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა გააუმჯობესონ სახალხო განათლების საკითხების და მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის მოწინავე გამოცდილების გაშუქება, აამაღლონ გამოსაქვეყნებელი მასალების ხარისხი, მკაფიოდ და დამაჯერებლად აჩვენონ ახალგაზრდობის მიერ საშუალო განათლების მიღების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა.

15. სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებათა თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოებით, მასალებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით უკეთ უზრუნველყოფის მიზნით:

ა) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ექვსი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სკოლებისათვის თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მოწყობილობის გამომშვები სპეციალიზებული ახალი საწარმოებისა და საამქროების შექმნის შესახებ;

ბ) სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დამატებით დაასპეციალოს მთელი რიგი საწარმოები თანამედროვე სასკოლო ავეჯის გამოსაშვებად, გააუმჯობესოს ამ ავეჯის ხარისხი და მისი კომპლექტებად გამოშვება იმ რაოდენობითა და ნომენკლატურის მიხედვით, რაც დააკმაყოფილებს სკოლების მოთხოვნილებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რადიომრეწველობის სამინისტრომ, თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრომ, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ 1972-1975 წლებში უზრუნველყონ, რომ შემუშავდეს და სერიულ წარმოებაში გადაეცეს სწავლების ახალი ტექნიკური საშუალებები, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დაკვეთებით.

დ) გავრცელდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IX-X (XI) კლასების მოსწავლეებზე საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდებიდან მატერიალური დახმარების გაწევის წესი, რაც დადგენილია I-VIII კლასების მოსწავლეთათვის.

16. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის საძხარეო და საოლქო კომიტეტებმა აამაღლონ საწარმოთა, საბჭოთა მეურნეობათა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა, სასწავლებელთა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დროული დამთავრებისა და ბავშვთა კომუნისტური აღზრდისათვის. გააუმჯობესონ მუშაობა სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის, გააძლიერონ კონტროლი საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების იდეურ-თეორიული შინაარსისადმი. მიიღოს ზომები სკოლების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, მიაღწიონ, რომ შექმნან თავიანთი შრომის შედეგებისათვის მასწავლებელთა მაღალი აქტივობისა და პასუხისმგებლობის ატმოსფერო. წარმართონ სკოლების პედაგოგიური კოლექტივების, მშობელთა კომიტეტების, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციების საქმიანობა, რათა შთაუნერგონ მოწაფეებს სწავლისადმი დამოკიდებულების პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ კომუნისტური მორალის ნორმების დაცვა.

17. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ საშუალო განათლების მისაღებად ახალგაზრდობის მოზიდვის, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების განვითარების ყოველწლიურ დავალებათა შესრულება. განამტკიცონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, მკაცრი კონტროლი გაუწიონ სასკოლო შენობების, სასკოლო ინტერნატების მშენებლობისა და რემონტის ვადებსა და ხარისხს, მოაწყონ სკოლებში ცხელი კერძების გაცემა, აგრეთვე სოფლად მცხოვრებ ბავშვთა მიყვანა სკოლებში ტრანსპორტით. ყოველი ღონისძიებით გააფართოონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე შრომითი კოლექტივების შეფობა, რაც გაამართლა ცხოვრებამ. მხარი დაუჭირონ საწარმოების, მოწინავე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ სასკოლო შენობებისა და სასკოლო ინტერნატების საინიციატივო მშენებლობას. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გამოყონ ამ მიზნით მასალებისა და მოწყობილობის საჭირო ფონდები და განსაზღვრონ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები.

18. სრულიად საკავშირო პროფსაბჭომ და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ მასწავლებელთა შრომის ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას, მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების გაუმჯობესებას. გააქტიურონ ოჯახისა და სკოლის ხელმძღვანელობი კომისიებისა და საბჭოების საქმიანობა. გააძლიერონ ყურადღება არდადეგების დროს ბავშვებთან გამაჯანსაღებელი მუშაობისადმი.

ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა ფორმებსა და სპორტის სახეობებში მოწაფეთა მასობრივად ჩაბმის მიზნით სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი სკოლისგარეშე დაწესებულებათა, პიონერთა სახლებისა და სასახლეების, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურების, ბავშვთა მუსიკალური, მხატვრული, სპორტული სკოლებისა და შრომისა და დასვენების ბანაკების, საექსკურსიო-ტურისტული სადგურებისა და სპორტული ბაზების განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

19. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გააძლიეროს პროფილაქტიკური მუშაობა სკოლებში და საექიმო მეთვალყურეობა მოწაფეთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობისადმი.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს და სრულყოს ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებასა და ჯანმრთელობის განმტკიცებას.

20. სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურმა კომიტეტებმა, კომკავშირის სამხარეო კომიტეტებმა და საოლქო კომიტეტებმა წარმართონ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დასამთავრებლად, სრულყონ სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებთან და უფროს პიონერ ხელმძღვანელებთან მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები; აამაღლონ მასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების როლი. წაახალისონ მოწაფეთა ისეთი ნებაყოფლობითი საზოგადოებების შექმნა, როგორიცაა: „ნორჩი პატრიოტი“, „ნორჩი ნატურალისტი“, „ნორჩი ტექნიკოსი“ და სხვა.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრება საერთო სახალხო საქმეა. ამ დიდმნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიების პრაქტიკულ განხორციელებაში ყველა მშრომელის აქტიური დახმარება ხელს შეუწყობს კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტას.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

92 საქართველოს საკოლმეურნეოგბათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს „საქკოლმეურნმშენისა“ და სოფლის მეურნეოგბისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ

საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარების, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტიურობის ამაღლების, კოლმეურნეობებში მშენებლობის გეგმების შესრულებისა და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ბაზების შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 და 1967 წლის 28 იანვრის № 52 დადგენილებების დამატებით ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების დასაჯილდოებლად დაწესდეს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია;

ბ) საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანების — „საქკოლმეურნმშენისა“ და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, ერთი მეორე და ერთი მესამე პრემია.

2. დამტკიცდეს საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანების „საქკოლმეურნმშენის“ სისტემის ორგანიზაციების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების თანდართული პირობები და პრემიების სკალა.

3. ამ დადგენილების პირველი პუნქტით დაწესებული გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები ყოველკვარტალურად გადაეცეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებ-

ლო ორგანიზაციებს და საწარმოებს „საქკოლმეურნეშენის“ გამგეობისა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებით.

4. პრემიების გადაცემა მოხდეს ამ დადგენილებით დამტკიცებული პრემიების სკალით, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების ზეგეგმითი მოგების ან ზეგეგმითი ეკონომიის თანხებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 6 ოქტომბერი, № 519.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია:
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზი-
დიუმის 1972 წლის 6 ოქტომბრის
№ 519 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

„საქკოლმეურნმშენის" სისტემის სამშენებლო, სპეცსამუშაოთა ორგანიზაციებისა და საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

სასოფლო მშენებლობის დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის შემდგომი ამაღლების მიზნით საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენი" და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აცხადებენ „საქკოლმეურნმშენის" სისტემის სამშენებლო, სპეცსამუშაოთა ორგანიზაციებისა და საწარმოთა კოლექტივებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლება სამშენებლო, სპეცსამუშაოთა ორგანიზაციებისა და საწარმოთა ის კოლექტივები, რომლებმაც მიაღწიეს უკეთეს შედეგებს და უზრუნველყვეს:

სამშენებლო და სპეცსამუშაოთა ორგანიზაციებმა და მათმა საწარმოებმა:

I. კ ვ ა რ ტ ა ლ უ რ ი გ ე გ მ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ა, მ ა თ შ ო რ ი ს:

ა) მშენებლობის ობიექტების—საწარმოო სიმძლავრეთა, კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების და საცხოვრებელი სახლების ვადაზე და ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემა ფრიადი და კარგი შეფასებით.

სპეცსამუშაოთა დავალებით (გრაფიკით) გათვალისწინებული ობიექტების საექსპლოატაციოდ ვადაზე და ვადამდე გადაცემა სამუშაოთა ფრიადი ან კარგი შეფასებით;

ბ) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობის შესრულება, მათ შორის საკუთარი ძალებით, და მშენებლობის თვითღირებულების შემცირების დავალების შესრულება;

გ) საკუთარი მშენებლობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა და საკუთარი კაპიტალური დაბანდების მოცულობის ათვისება;

დ) ახალი ტექნიკის, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის გეგმის შესრულება, სამშენებლო ტექნიკის უავარიო მუშაობა;

ე) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და დამხმარე წარმოებაში ერთი მომუშავის გამომუშავების (შრომის ნაყოფიერების) უპირატესი ზრდა ხელფასის ზრდასთან შედარებით;

ვ) საბალანსო მოგება, წლის დასაწყისიდან საანგარიშო კვარტალის ჩათვლით ზეგეგმითი მოგების მიღების უზრუნველყოფით.

2. ძირითადი სამშენებლო მექანიზმების დადგენილი გეგმებისა და გამომუშავების დირექტიული ნორმების შესრულება.

სამრეწველო საწარმოებმა:

კვარტალური გეგმების შესრულება,
მათ შორის:

1. პროდუქციის რეალიზაცია (რკინა-ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები და სხვა ძირითადი ნაკეთობანი „საქკოლმეურნმშენის" განაწილების მიხედვით).

2. ნაკეთობათა გამოშვება დაწესებული ნომენკლატურით და მათი ხარისხიანობის დაცვა, ურეკლამაციოდ მუშაობის პირობით.

3. ახალი ტექნიკის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა.

4. სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ერთი მუშაკის გამომუშავების (შრომის ნაყოფიერება) უპირატესი ზრდა ხელფასის ზრდასთან შედარებით.

5. საბალანსო მოგება, წლის დასაწყისიდან საანგარიშო კვარტალის ჩათვლით, ზეგეგმითი მოგების მიღების უზრუნველყოფით.

6. საკუთარი კაპიტალური მშენებლობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს გათვალისწინებული იქნება

1. საიჯარო სამუშაოთა შესრულება და სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა საბიუჯეტო დაფინანსების (ცალკე) ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა.

2. სამრეწველო საწარმოებისათვის საკუთარი კაპიტალური დაბანდების გეგმის შესრულება.

3. სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება, კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრების, საწარმოო დისციპლინისა და კოლექტივის წევრების ურთიერთდამოკიდებულება, ყოფაქცევის წესების დაცვა საზოგადოებასა და ცხოვრებაში.

4. კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა.

5. მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიური ხარჯვა სამუშაოთა ერთეულ მოცულობაზე.

6. შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის წესების შესრულება, საწარმოო ტრავმატიზმისა და მუშაკთა საერთო დაავადებათა მდგომარეობა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დაჯილდოების წესი

1. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს „საქკოლმეურნმშენის“ გამგეობისა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით მიეკუთვნება:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია;

საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია;

ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები და მოწმობები.

2. ფულადი პრემიები გაიცემა ორგანიზაციის (საწარმოს) ზეგეგმითი მოგებიდან.

3. პრემიის თანხა განისაზღვრება ორგანიზაციაში ან საწარმოში საანგარიშო კვარტალში მომუშავე მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვის მიხედვით დანართის თანახმად.

ამასთან ერთად ორგანიზაციის ან ქვედანაყოფის მუშაკთა ის რაოდენობა, რომლებსაც არა აქვთ ზეგეგმითი დაგროვების თავისუფალი თანხები და ვერ შეასრულეს ეს პირობები, გამოირიცხებიან მუშაკთა დაჯილდოების საერთო რიცხვიდან.

4. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე წარჩინებული მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეთა ინდივიდუალურ პრემირებაზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრემიის თანხის 100 პროცენტი, თუ იგი არ აღემატება 2,0 ათას მანეთს, ხოლო თუ პრემიის თანხა აღემატება 2,0 ათას მანეთს, ინდივიდუალურ პრემირებაზე გაიცემა დარიცხული პრემიის 70 პროცენტი, ხოლო დანარჩენი თანხა მოხმარდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მიღებული პრემიის თანხების ხარჯვა წარმოებს ორგანიზაციის ან საწარმოს ხელმძღვანელობისა და პროფკავშირის შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

5. მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ინდივიდუალური პრემირებისათვის გამოყოფილი თანხები უნდა გაიცეს თითოეული კატეგორიის მუშაკების ხელფასის ფონდის ორგანიზაციის ან საწარმოს საერთო ხელფასის ფონდის პროპორციულად.

6. პრემიები ორგანიზაციის ან საწარმოს ხელმძღვანელ მუშაკებს (ხელმძღვანელს, მთავარ ინჟინერს) უწესდებათ შემდეგი რაოდენობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშისა და პირველი ფულადი პრემიის მინიჭების დროს — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 40 პროცენტი;

საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანების „საქკოლმეურნმშენის“ და სოფლის მეურნე-

ობის და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბ-ლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის და პირველი ფულადი პრემიის მინიჭების დროს — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 30 პროცენტი.

ორგანიზაციის ან საწარმოს დანარჩენ ხელმძღვანელ მუშაკებს პრემიები მიეცემათ საერთო წესით ორგანიზაციის ან საწარმოს ხელმძღვანელობისა და პროფკავშირების შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

განთავისუფლებულ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს პრემიები მიეცემათ დადგენილი წესით.

7. ცნობები რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ამ პირობების შესრულების შედეგებზე დადგენილი ფორმით წარდგენილ უნდა იქნეს „საქკოლმეურნმშენში" ორ ეგზემპლარად არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

8. ცალკეული გათვალისწინებული დამატებითი მაჩვენებლების შეუსრულებლობის, აგრეთვე მათ მუშაობაში სხვა ნაკლოვანებათა დაშვების დროს ორგანიზაციის ან საწარმოს კოლექტივი და მისი ხელმძღვანელები „საქკოლმეურნმშენის" გამგეობისა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად დატოვებულ იქნეს პრემიის გარეშე.

ორგანიზაციას ან საწარმოს, რომელმაც დაუშვა უბედური შემთხვევები, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა არ მიენიჭება.

9. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში რამდენიმეჯერ (არანაკლებ ოთხ კვარტალში ზედიზედ) გამარჯვებული ორგანიზაციის ან საწარმოს კოლექტივი „საქკოლმეურნმშენის" გამგეობისა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით შეიტანება „საქკოლმეურნმშენის" საპატიო წიგნში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია:
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზა-
დიუმის 1972 წლის 6 ოქტომბრის
№ 519 დადგენილებით

პრემიების სკალა

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საქკოლმეურნეშენის სისტემის სამშენებლო, სპეცსამუშაოთა ორგანიზაციებისა და საწარმოთა კოლექტივებისათვის

I — მშენებლობაში

ორგანიზაციები მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით		პრემიის რაოდენობა მანეთობით კვარტალის მიხედვით	
		პირველი	მეორე
100-დან 150	კაცამდე	800	600
151-დან 200	„	1200	900
201-დან 250	„	1600	1200
251-დან 300	„	1700	1300
301-დან 400	„	2000	1500
401-დან 500	„	2200	1650
501-დან 750	„	3400	2550
751-დან 1000	„	4500	3400
1001-დან 1250	„	5200	3900
1251-დან 1500	„	6000	4500
1501-დან 1750	„	6600	4950
1751-დან 2000	„	7300	5500
2001-დან 2500	„	9000	6700
2501-დან 3000	„	11200	8400
3001-დან 4000	„	14000	10500
4001-დან 5000	„	16800	12600
5001-დან 7500	„	19600	14700
7501-დან 10000	„	22500	16900
10001-დან 12500	„	25300	19000
12501-დან 15000	„	28100	21000
15000 კაცის ზევით	„	39400	29550

II — წარმოებაში

ორგანიზაციები მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით		პრემიის რაოდენობა მანეთობით კვარტალის მიხედვით	
		პირველი	მეორე
100-დან 150	კაცამდე	800	600
151-დან 200	„	1400	1050
201-დან 250	„	1700	1300
251-დან 300	„	1900	1400
301-დან 400	„	2300	1700
401-დან 500	„	2800	2100
501-დან 750	„	4200	3150
751-დან 1000	„	5600	4200
1001-დან 1250	„	7000	5250
1251-დან 1500	„	8400	6300
1501-დან 1750	„	10000	7500
1751-დან 2000	„	11200	8400
2001-დან 2500	„	12600	9450
2501-დან 3000	„	14000	10500
3001-დან 4000	„	18200	13650
4001-დან 5000	„	22500	16900
5001-დან 7500	„	28100	21100
7501-დან 10000	„	33700	25300
10001-დან 12500	„	36500	27400
12501-დან 20000	„	45000	33750
20001-დან 25000	„	50000	37500
25001-დან 30000	„	56200	42150
30001-დან 40000	„	67500	50600
40000 კაცის ზევით		76500	57400

შენიშვნები:

1. პრემიების სკალა შედგენილია საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს პრემიების ოდენობათა მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 4 მარტის № 112 დადგენილებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას პრემიის ოდენობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 19 მარტის № 160 დადგენილების თანახმად იზრდება 25 პროცენტით.

3. პრემიები იმ ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 100 კაცზე ნაკლებია, გაიცემა მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის იმ თანხიდან, რაც დადგენილია ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

93 შენობა-ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციისას მერქნის დაცვის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები გარკვეულ მუშაობას ეწევიან, რათა უზრუნველყონ სამასალე მერქნის დაცვა ლპობისა და დაჭიანებისაგან, აგრეთვე აამაღლონ ხის კონსტრუქციების ცეცხლგამძლეობა შენობა-ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის დროს.

ამასთანავე ბევრი საწარმო და ორგანიზაცია არ ახორციელებს ღონისძიებებს მერქნის დასაცავად, რის შედეგად შენობათა სახურავები, სასხვენო სათავსები, სართულშორისი გადახურვები, ღიობები და სხვა ელემენტები მიშვებულ მდგომარეობაშია.

მთელ რიგ შეთხვევებში სამშენებლო ორგანიზაციები უხარისხოდ ასრულებენ ცალკეული სახეობის სამუშაოებს, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს მერქნის გამძლეობაზე, ხოლო აგებულ შენობებს საექსპლუატაციოდ იღებენ შენობა-ნაგებობათა ხის კონსტრუქციების ანტისეპტიკური და ცეცხლდამცავი დამუშავების ჩაუტარებლად.

ახლებს რა დიდ მნიშვნელობას მერქნის ლპობისა და დაჭიანებისაგან დაცვას, აგრეთვე რესპუბლიკის შენობა-ნაგებობათა ხის კონსტრუქციების ცეცხლგამძლეობის ამაღლებას მათი ხანგამძლეობის გადიდების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ყველა ორგანიზაციას, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აშენებენ და ექსპლოატაციას უწევენ შენობა-ნაგებობებს, ხე-ტყის სავაჭრო, ხის დამმუშავებელ, აგრეთვე საპროექტო ორგანიზაციებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა:

— ახალ შენობა-ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობისას უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 23 დეკემბრის № 2039 დადგენილებით დამტკიცებული მერქნის ლპობის, დაჭიანებისა და აალებისაგან დაცვის ინსტრუქციით, აგრეთვე მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და ხის კონსტრუქციების ლპობის, დაჭიანების და აალებისაგან დაცვის წესებით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს განხორციელება;

— შენობა-ნაგებობათა ხის კონსტრუქციების მოწყობისას გულდასმით შეასრულონ ყველა ტექნიკური მოთხოვნა კონსტრუქციული პროფილაქტიკის, ხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტრუქციების ქიმიური დაცვის, ანტისეპტაციისა და ცეცხლისაგან დაცვის შესახებ;

— სისტემატურად, სულ ცოტა ორ წელიწადში ერთხელ, მოაწყონ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მერქნის დაცვის რესპუბლიკური სამმართველოს მეშვეობით შენობა-ნაგებობათა ხის კონსტრუქციების მერქან-პათოლოგიური სპეციალური გამოკვლევა, ანტისეპტიკური, ინსექტიციდური და ცეცხლდამცავი ღონისძიებანი, აგრეთვე ხე-ტყის საწყობების გამოკვლევა იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს მერქნის დამაავადებელი ხის დამშლელი სოკოები და მერქნის მხვრელი მწერები;

— უზრუნველყონ სპეციალური გამოკვლევის (მერქან-პათოლოგიური და კონსტრუქციული) აქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელი შესრულება;

— აკრძალონ შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტის წარმოება ხის კონსტრუქციების მდგომარეობის წინასწარი მერქან-პათოლოგიური გამოკვლევის ჩაუტარებლად, შენობებისა და ნაგებობების კაპიტალური რემონტის დროს გაითვალისწინონ საჭირო ღონისძიებათა განხორციელება შენობათა ხის ნაწილების დატენიანებისაგან კონსტრუქციული დაცვისათვის, ამასთან სრულ წესრიგში მოიყვანონ კონსტრუქციების დამცავი მოწყობილობა, სანიტარიულ-ტექნიკური ხელსაწყოები და მოწყობილობანი, ჰიდროიზოლაცია, წყალსადინარები და ვენტილაცია;

— შენობა-ნაგებობათა ხის კონსტრუქციების სპეციალური მერქან-პათოლოგიური გამოკვლევის ხარჯები, აგრეთვე ანტისეპტიკური, ინსექტიციდური, ცეცხლდამცავი დამუშავება და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი აწარმოონ კაპიტალური და მიმდინარე რემონტისა და სხვა სამეურნეო სახსრების ანგარიშში.

— არ მიიღონ საექსპლუატაციოდ კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის ობიექტები ანტისეპტიკურ და ცეცხლდამცავ სამუშაოთა შესრულების ცნობების წარუდგენლად;

— ხე-ტყის მასალების შენახვა ყველა საწყობში უზრუნველყონ საინსტრუქციო მითითებებისა და მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების ტექნიკური მოთხოვნების ზუსტი დაცვით.

2. დაევალოს ყველა სამშენებლო ორგანიზაციას არ წარადგინონ ობიექტები საექსპლუატაციოდ ჩაბარებისათვის ხის კონსტრუქციების ანტისეპტიკური და ცეცხლდამცავი დამუშავების ჩაუტარებლად.

3. დაევალოს საპროექტო ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს ხის ნაგებობათა, შენობების ხის ნაწილებისა და კონსტრუქციების დაპროექტებისას:

— გაითვალისწინონ საჭირო კონსტრუქციული ღონისძიებანი დატენიანებისა და აალებისაგან მერქნის დასაცავად;

— შეიტანონ სამუშაო ნახაზებში შენობა-ნაგებობათა ხის კონსტრუქციების ანტისეპტიკური და ცეცხლდამცავი დამუშავების ღონისძიებანი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სახმშენს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად გადაამუშაონ ამ დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული ინსტრუქცია, ამასთან შეიტანონ ამ ინსტრუქციაში საჭირო ცვლილებანი და დამატებანი და 1973 წლის II კვარტალის დამლევამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მერქნის დაცვის რესპუბლიკურ სამმართველოს:

— უზრუნველყოს სახელშეკრულებო საწყისებით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციებისა და საწარმოების მომსახურება შენობა-ნაგებობათა ხის კონსტრუქციების სპეციალური მერქან-პათოლოგიური გამოკვლევისათვის, აგრეთვე ახალმშენებლობებზე, საექსპლოატაციოდ გადაცემულ შენობა-ნაგებობებში მერქნის ანტისეპტიკური, ინსექტიციდური და ცეცხლდამცავი დამუშავებისათვის;

— მოაწყოს პარკეტის იატაკებისა და სადურგლო ნაკეთობათა ინსექტიციდური დამუშავება შენობათა კაპიტალური რემონტის დროს, აგრეთვე ჭიანჭამი ავეჯისა და მუსიკალური საკრავების წამლობა ორგანიზაციებისა და მოსახლეობის განაცხადებით;

— სისტემატურად შეამოწმოს ხე-ტყის მასალებისა და სტანდარტული ხის სახლების ხარისხი და შენახვის პირობები, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოაქვთ მომმარაგებელ, ხე-ტყის სავაჭრო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებს. სახელმწიფო სტანდარტებისა და მოქმედი ინსტრუქციების მოთხოვნების შესაბამისად;

— ვოაწყოს თავის საქმედო ეზოში ხის დეტალების ანტიპირენებით ღრმად საჟღენთი საამქრო.

6. უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ობიექტების ხის კონსტრუქციების ცეცხლდამცავი შეღებვის ნებართვა გასცენ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მერქნის დაცვის რესპუბლიკური სამმართველო წინასწარ ჩაატარებს შენობა-ნაგებობათა მერქან-პათოლოგიურ გამოკვლევას, აგრეთვე შეასრულებს ანტისეპტიკურ და ინსექტიციდურ სამუშაოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 7 სექტემბერი, № 469.

94 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მისაბმელიანი ტრაქტორებით შაქრის ჭარხლის გადაზიდვის ტარიფების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს და ძალაში შევიდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მისაბმელიანი ტრაქტორებით შაქრის ჭარხლის გადაზიდვის თანდართული ტარიფები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 7 სექტემბერი, № 470.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 7 სექტემბრის № 470
დადგენილების დანართი

ტ ა რ ი ფ ე ბ ი

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მისაბმელიანი ტრაქტორებით შაქრის ჭარხლის გადაზიდვისა

1. მისაბმელიანი ტრაქტორებით შაქრის ჭარხლის გადაზიდვის საფასურის გადახდა ხდება ფაქტიური წონისათვის გადაზიდვის მანძილის მიხედვით შემდეგი ოდენობით:

გადაზიდვის მანძილი კილომეტრობით	ტარიფები მანეთობითა და კაპიკობით 1 ტონისათვის
1	0—39
2	0—53
3	0—67
4	0—81
5	0—95
6	1—09
7	1—23
8	1—37
9	1—51
10	1—65
11	1—79
12	1—93
13	2—07
14	2—21
15	2—35
16	2—59
17	2—63
18	2—77
19	2—91
20	3—05
21	3—19
22	3—33
23	3—47
24	3—61
25	3—75

2. შაქრის ჭარხლის აწონვისას ტრაქტორების მოცდენისათვის, აგრეთვე ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების ბრალეზით დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს ტრაქტორის დაყოვნებისათვის ნორმის გადამეტებით (3 წუთი თითოეული ტონა ტვირთზე) გადახდევინებული იქნება დამატებითი საფასური შემდეგი ტრაქტორების თითოეული წუთი მოცდენისათვის: თვლიანი მარკების მტზ-50, ტ-40—6 კაპიკი, კ-700—15 კაპიკი, მუხლუხა მარკებისა ს-100 და ს-80—9 კაპიკი, დტ-54, დტ-74—7 კაპიკი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

95 რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მოსახლეობის სეზონური მიგრაციის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაწეულია გარკვეული მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ამასთანავე მთელ რიგ რაიონებში ამ ბოლო დროს შეინიშნება სეზონური მიგრაციის ზრდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მიგრაცია განსაკუთრებით გაძლიერდა ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, დმანისის, ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონებიდან. სეზონური მიგრაცია შეინიშნება აგრეთვე ქ. თბილისიდან და ზოგიერთი სხვა ქალაქიდან, რომლებიც განიცდიან მუშახელის ნაკლებობას.

აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის შესუსტების, აღნიშნული რაიონების ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შრომის დისციპლინის არასაკმაოდ განმტკიცების შედეგად სეზონური მიგრაცია წლითიწლობით იზრდება. ხანგრძლივი დროის განმავლობაში კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და რაიონულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ.

ისინი მიემგზავრებიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხანგრძლივად, როგორც წესი, არ იღებენ მონაწილეობას კოლმეურნეობის საზოგადოებრივ შრომაში და გამხრწნელ ზეგავლენას ახდენენ კოლმეურნეთა დანარჩენ ნაწილზე.

ამ საკითხს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო.

ამ ბოლო წლებში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რათა ჭარბი შრომითი რესურსებიან რაიონებში მოწყობილიყო ქალაქ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის დიდ საწარმოთა საამქროები და ფილიალები, რომლის მიზანია მთელი რიგი რაიონების შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, დმანისის, ბოლნისის, თეთრი წყაროსა და ზოგიერთი სხვა იმ რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად, რომელთაც ჭარბი შრომითი რესურსები გააჩნიათ, დასახონ და განახორციელონ თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების ღონისძიებანი; მიიღონ გადამწყვეტი ზომები შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ხოლო იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობას და თვითნებურად მიდიან სამუშაოდ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მიიღონ მკაცრი ზომები, რაც გათვალისწინებულია კოლმეურნეობის წესდებითა და შრომის კანონმდებლობით.

2. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობათა გამგეობებთან და საბჭოთა მეურნეობების დირექციებთან, აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან ერთად განიხილონ საერთო კრებებზე, სესიებზე შრომის დისციპლინის მდგომარეობის საკითხი და განახორციელონ მისი განმტკიცების ღონისძიებანი.

3. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა მტკიცედ იხელმძღვანელონ კოლმეურნეობის წესდებით რაიონის ფარგლებიდან სეზონურ სამუშაოზე ცალკეულ კოლმეურნეთა გამგზავრების ნებართვის მიცემის საკითხის გადაწყვეტის დროს, ამასთან მხედველობაში მიიღონ დამრღვევთა მიმართ დასჯის იმ ზომების გამოყენება, რაც გათვალისწინებულია კოლმეურნეობის წესდებით.

4. საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა გადამწყვეტი ზომები მიიღონ იმ პირთა მიმართ, რომლებიც სამუშაოს ტოვებენ დადგენილი წესის დაუცველად. სამუშაოდანაც კი დაითხოვონ როგორც გამცდენები, და ჩამოართვან საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლება, თუ არა ჰყავს ოჯახის სხვა წევრები, რომლებიც საბჭოთა მეურნეობაში მუშაობენ, ხოლო თუ ჰყავს, — განიხილონ საკითხი საკარმიდამო ნაკვეთების შესაბამისი შემცირების შესახებ.

5. გაფრთხილებულ იქნან სამინისტროთა, უწყებათა და მშენებლობათა ხელმძღვანელები, რომ მკაცრად დაიცვან სამუშაოზე მიღების წესები და აეკრძალოთ მათ საბჭოთა მეურნეობებიდან წამოსული მუშების მიღება შრომის წიგნაკის წარუდგენლად, ხოლო კოლმეურნეებისა, — თუ მათ არ ექნებათ კოლ-

მეურნეობის გამგეობის ნებართვა კოლმეურნეობის ფარგლებს გარეთ სამუშაოდ გამგზავრების შესახებ.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს მომავალშიაც გაითვალისწინონ ჭარბი შრომითი რესურსებიან რაიონებში საწარმოთა, საამქროთა და სახელოსნოთა შემდგომი განვითარება იმ მოსახლეობის შრომითი მოწყობისათვის, რომლებიც მთლიანად არ არიან დასაქმებული საზოგადოებრივ წარმოებაში.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, დმანისის, ბოლნისისა და თეთრი წყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს 1973 წლის 1 ივლისისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი მოსახლეობის სეზონური მიგრაციის აღკვეთისა და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 15 სექტემბერი, № 484.

96 მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და საქართველოს სსრ მიხისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების მიერ წარმოდგენილი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა დებულებები:

— საფინანსო განყოფილებისა;
— კულტურის განყოფილებისა;
— განათლების განყოფილებისა;
— სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისა;
— საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებისა;
— საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილებისა;
— საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილებასთან არსებული საწარმოო ჯგუფისა;
— საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოსი;
— თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წყალსადენისა და კანალიზაციის მეურნეობის საწარმოო სამმართველოსი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს ამ დადგენილებით დამტკიცებული საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილებასთან არსებული საწარმოო ჯგუფის დებულების შესაბამისად შეიმუშაოს და დაამტკიცოს რაიონის არქიტექტორთან არსებული საწარმოო ჯგუფის დებულება.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში მოხსენებული განყოფილებებისა და სამმართველოების ადრე დამტკიცებული დებულებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 15 სექტემბერი, № 485.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 15 სექტემბრის № 485
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება იქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104 მუხლის შესაბამისად და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც რაიონულ, საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ასევე საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შესაბამის ფინანსთა სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილებას.

რაიონული, საქალაქო საფინანსო განყოფილება ადგენს რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის პროექტს, პასუხს აგებს რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის როგორც შემოსავლის, ასევე გასავლის ნაწილის შესრულებისათვის, იმ ღონისძიებათა საჭირო ფულადი სახსრებით უზრუნველყოფისათვის, რაც გათვალისწინებულია რაიონის, ქალაქის მეურნეობის განვითარების გეგმებით, და იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ფინანსდებიან რაიონის, ქალაქის ბიუჯეტებით, აგრეთვე უზრუნველყოფს რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე ფინანსური რესურსების მობილიზაციას საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

— ფულადი სახსრების მობილიზაცია და მათი წარმართვა დამტკიცებული გეგმების შესაბამისად ადგილობრივი მეურნეობის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის;

— რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის დაგეგმვის ეკონომიური დასაბუთება, რაიონის, ქალაქის ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა შემოსავლის დროულად და სრულად მიღების ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური ხარჯვა ზუსტად მიზნობრივი დანიშნულებით და საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების კვალობაზე;

კონტროლის გაწევა სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი, რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ სახელმწიფოს წინაშე საფინანსო ვალდებულებათა შესრულებისადმი.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კანონით მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს შესახებ, საქართველოს სსრ კანონით რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სხვა კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება საფინანსო განყოფილების საქმიანობას, ზემდგომი საფინანსო ორგანოების ინსტრუქციებით, მითითებებითა და ამ დებულებით.

ავტონომიურ რესპუბლიკაში რაიონული, საქალაქო საფინანსო განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აგრეთვე ასსრ კონსტიტუციით, კანონით მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს შესახებ, კანონით ასსრ საბიუჯეტო უფლებათა შესახებ, ასსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით, ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით.

4. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— აწყობს მუშაობას რაიონის, ქალაქის, სასოფლო და სადაბო ბიუჯეტების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი ორგანოების მითითებათა საფუძველზე;

— შეაქვს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში წინადადებანი იმის შესახებ, რომ განისაზღვროს რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი რაიონულ, საქალაქო ბიუჯეტებს შორის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს, სასოფლო, სადაბო ბიუჯეტებს შორის, ამასთანავე იღებს ზომებს თითოეული ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის;

— განიხილავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების და იმ ცალკეულ ორგანიზაციათა კრებსითი ხარჯთაღრიცხვების პროექტებს, რომელთა დაფინანსება ხდება რაიონული, საქალაქო საფინანსო განყოფილების მიერ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა ღონისძიებათა ხარჯების მიხედვით რაიონული, საქალაქო ბიუჯეტის ხარჯზე; განიხილავს რაიონული საქალაქო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაცია-

თა საფინანსო გეგმებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის აპარატისა და მისი სამმართველოებისა და განყოფილებების შენახვის ხარჯთაღრიცხვებს;

— განიხილავს სასოფლო და სადაბო ბიუჯეტებისა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების პროექტებს;

— შეადგენს რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

— განიხილავს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოთა და განყოფილებათა განკარგულებაში არსებული სპეციალური თანხების ხარჯთაღრიცხვებს, აგრეთვე უშუალოდ მათდამი დაქვემდებარებულ იმ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების კრებსითს ხარჯთაღრიცხვებს, რომლებიც იმყოფებიან რაიონულ, საქალაქო ბიუჯეტზე და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

— აწყობს და უზრუნველყოფს რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის შესრულებას; ადგენს რაიონული, საქალაქო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც დამტკიცებულია მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს მიერ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალობრივი განაწილების გათვალისწინებით; ასრულებს რაიონულ, საქალაქო ბიუჯეტს და უზრუნველყოფს რაიონში, ქალაქში საკავშირო, რესპუბლიკური ბიუჯეტების, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების, საოლქო ბიუჯეტის შემოსავლის თანხების მიღებას; შეაქვს წინადადებანი მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში ბიუჯეტის შესრულების საკითხებზე;

— აწყობს რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვას, ეწევა რაიონული, საქალაქო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვას, აღრიცხავს იმ ცვლილებებს, რაც დადგენილი წესით შეაქვთ რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის ცალკეულ შემოსავალ-გასავლის დამტკიცებულ დანიშნულებებში, რაიონულ, საქალაქო ბიუჯეტებში; ახორციელებს ურთიერთანგარიშსწორებას რაიონულ, საქალაქო ბიუჯეტებსა და ზემდგომ ბიუჯეტებს შორის, აგრეთვე სასოფლო, სადაბო ბიუჯეტებსა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს შორის;

— ახორციელებს კონტროლს სასოფლო, სადაბო ბიუჯეტებისა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების შესრულების მიმდინარეობისადმი და იღებს ზომებს ამ ბიუჯეტების შესრულების უზრუნველყოფისათვის;

— ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა მიერ რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის საკასო შესრულების წესების დაცვისადმი, აგრეთვე იმისადმი, თუ რამდენად სწორად და დროულად ჩარიცხავენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულ თანხებს;

— განიხილავს სასოფლო და სადაბო ბიუჯეტების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს, შეადგენს და დაწესებული წესით წარადგენს რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

— შეამოწმებს ბრუნვის გადასახადის, სანახაობათა გადასახადის საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა და საძეურნეო ორგანიზაციათა მოგების გადასახდელთა, კოოპერაციულ საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და საძეურნეო ორგახოების საშემოსავლო გადასახადის, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის და სხვა საბიუჯეტო გადასახდელთა სწორად გამოანგარიშებასა და დროულად გადახდას საწარძოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ; ეწევა ანგარიშების შემოწმებას საბიუჯეტო სახსრების მისაღებად;

— უზრუნველყოფს მოსახლეობის გადასახადთა, გამოსაღებთა და სახელმწიფო გადასახადის სწორად და დროულად გამოანგარიშებასა და გადახდას, კოსტროლს უწევს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან გადასახადების დაკავების სისწორეს და ამ თახხების ბიუჯეტში დროზე ჩარიცხვას;

— უზრუნველყოფს საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე ცენტრალიზებულ ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვების შედგენისა და დამტკიცების სისწორის შემოწმებას, აგრეთვე რაიონის, ქალაქის ბიუჯეტზე მყოფ სოციალურ-კულტურულ და სხვა დაწესებულებათა მუშაკების ტარიფიკაციის სისწორის შემოწმებას;

— კონტროლს უწევს მმართველობის აპარატის შესანახი თანხების სწორად და ეკონომიურად ხარჯვას და ამ მიზნით დაწესებულ ასიგნებათა ზღვრული ფარგლების დაცვას, აგრეთვე მმართველობის აპარატის შტატების, ხარჯთაღრიცხვების, ხელფასის განაკვეთების ოდენობის დამტკიცების დადგენილი წესის დაცვას; შეიმუშავებს დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მმართველობის აპარატის გაიაფების ხიხადადებებს;

— განიხილავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოებისა და გახყოფილებების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, რაიონული, საქალაქო დაქვემდებარების ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა და რაიონულ, საქალაქო ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, შეიტანს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში წინადადებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ;

— განიხილავს იმ საკავშირო, რესპუბლიკური და საოლქო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, რომლებიც გაღაყვანილი არიან მოგების გადასახდელთა მიხედვით ბიუჯეტთან დეცენტრალიზებული ანგარიშსწორების წესზე, წარუდგენს შესაბამის ორგანიზაციებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების წინადადებებს;

— განიხილავს კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სამეურნეო ორგანოების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, აცნობებს ზემდგომ ორგანიზაციებს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აღნიშნულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და სამეურნეო ორგანოთა საფინანსო-სამეურნეო

საქმიანობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა შესახებ, აგრეთვე ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის წინადადებებს;

— მოაწყობს ცენტრალურ შემნახველ სალაროსთან ერთად მუშაობას მოსახლეობაში სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხისა და ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციისათვის;

— ხელს უწყობს სახელმწიფო ბანკის რაიონის, ქალაქის საკასო გეგმის შესრულებას, აქტიურ მონაწილეობას იღებს იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია უფრო სრულად დაკმაყოფილდეს გადახდისუნარიანი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, ეკონომიურად იხარჯებოდეს ხელფასის ფონდი, სამივლინებო და სამეურნეო-საოპერაციო თანხები;

— კონტროლს უწევს იმას, თუ რამდენად სწორად და დროულად იხდიან კოლმეურნეობები ანარიცხებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკავშირო ცენტრალიზებულ ფონდში;

— კონტროლს უწევს დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის დაცვას, მათ მიერ სახსრების სწორად და მომჭირნეე ხარჯვას; პერიოდულად აწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობის შემოწმებას მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოებსა და განყოფილებებში და აძლევს მათ სათანადო რეკომენდაციებს ფინანსური კონტროლის სრულყოფისათვის;

— კონტროლს უწევს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობას რაიონული, საქალაქო დაქვემდებარების საბიუჯეტო დაწესებულებებში, აგრეთვე სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოებში; ეწევა მუშაობას საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფისათვის, ცენტრალიზაციისა და მექანიზაციისათვის;

— ამოწმებს საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების სწორად ფორმირებასა და დროულად დაგზავნას;

— განიხილავს გადასახად-გადასახდელებზე და თავის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე შემოსულ საჩივრებსა და განცხადებებს;

— საფინანსო საკითხებზე ინსტრუქციას უწევს და უტარებს თათბირებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს;

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილებას უფლება აქვს:

— მიიღოს დაწესებულებებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან საფინანსო გეგმები, ხარჯთაღრიცხვები და სხვა მასალები, რომლებიც საჭიროა რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულებისათვის, საბუღალტრო ანგარიშები და ბალანსები, აგრეთვე სხვა მასალები და საანგარიშო მონაცემები, რაც საჭიროა საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვისათვის, დაფინანსებისათვის, იმისათვის, რომ კონტროლი გაეწიოს, თუ როგორ ასრულებენ საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები საფინანსო ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე და როგორ იცავენ სახელმწიფო-საფინანსო დისციპლინას;

— შეზღუდოს, ხოლო საჭირო შემთხვევაში შეაჩეროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დაფინანსება რაიონული, საქალაქო ბიუჯეტიდან მათ მიერ სახსრების უკანონოდ ხარჯვისას, აგრეთვე წინათ გაცემული სახსრების ხარჯვის ანგარიშებისა და სხვა დადგენილ ანგარიშგებათა წარუდგენლობის შემთხვევაში და ამის შესახებ მოახსენოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს;

— დადგენილი წესით დაუკაოს გადამხდელებს ვადაზე გადაუხდელი გადასახადები და არასაგადასახადო საბიუჯეტო შესატანები, ხოლო კოლმეურნეობებს, აგრეთვე — ანარიცხები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკავშირო ცენტრალიზებულ ფონდში;

— მიიღოს საკრედიტო დაწესებულებებისაგან მათი წესდების შესაბამისად ცნობები საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ანგარიშების მდგომარეობისა და ამ ანგარიშების მიხედვით ოპერაციების შესახებ;

— რევიზია გაუწიოს და შეამოწმოს რაიონის, ქალაქის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა საფინანსო საქმიანობა, და დადგენილი წესით — ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა, აგრეთვე—საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დავალებით—რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები; შეამოწმოს პირველადი დოკუმენტების მიხედვით დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ საბიუჯეტო გადასახდელთა შეტანისა და საბიუჯეტო სახსრების მისაღებად ანგარიშების სისწორე; რევიზიებისა და შემოწმების დროს მოითხოვოს არსებული ნაღდი ფულის, ფასიანი ქაღალდების, საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტების, ანგარიშების, ხარჯთაღრიცხვებისა და გეგმების წარმოდგენა; მიიღოს დაწესებულებებისაგან, ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან საჭირო ცნობები და იმ დოკუმენტების პირი, რომლებიც დაკავშირებულია შესამოწმებელი დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ოპერაციებთან; მისცეს შემოწმებული დაწესებულებებს, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს მათთვის სავალდებულო მითითებანი საფინანსო დისციპლინის გამოვლინებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

— რევიზია გაუწიოს სასოფლო, სადაბო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების შესრულებას, აგრეთვე სასოფლო საბჭოების მუშაობას მოსახლეობისაგან გადასახადების, სადაზღვევო და სხვა შესატანთა მიღებაში, მოახსენოს რევიზიის შედეგები სათანადო მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სხდომებს, ხოლო საჭირო შემთხვევაში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს;

— შეამოწმოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოებსა და განყოფილებებში საქვეუწყებო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებისა და ბალანსების განხილვის საქმე, შეიტანოს წინადადებანი ანგარიშებსა და ბალანსებში საჭირო შესწორებათა შეტანის შესახებ, აგრეთვე შეამოწმოს, თუ რა ზომებია მიღებული ამ წინადადებათა განხორციელებისათვის;

— გასცეს საჭიროების შემთხვევაში სესხები რაიონული, საქალაქო ბიუჯეტიდან სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების)

ბიუჯეტების გეგმიანი საკასო გარღვევის შესავსებად, და ამ სესხის დაფარვა მოხდეს მიმდინარე წლის განმავლობაში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას ამ დებულებაში ჩამოთვლილ უფლებებთან ერთად აგრეთვე აქვს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებანი.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების გამგე.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დანიშნავს და გაათავისუფლებს განყოფილების გამგეს, რასაც შემდგომ დაამტკიცებს საქალაქო, რაიონული საბჭოს მორიგი სესია.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება იმყოფება საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტზე.

რაიონული, საქალაქო საფინანსო განყოფილების სტრუქტურასა და შტატებს აწესებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო მისთვის დადგენილ მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

8. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების გამგე:

— ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას, უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას;

— კონტროლს უწევს იმას, თუ როგორ იცავენ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციები რაიონებსა და ქალაქებში კოლმეურნეობათა და მოქალაქეთა ქონების დაზღვევის კანონს, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებს და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობას სახელმწიფო დაზღვევის შესახებ, ყველა სახეობის დაზღვევის წესებსა და ინსტრუქციებს, აგრეთვე როგორ ასრულებენ სადაზღვევო შესატანთა მიღების გეგმებს და როგორ ეწევიან სადაზღვევო ანაზღაურებისა და დაზღვევის თანხების გაცემას;

— განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტების საფუძველზე და შესასრულებლად;

— დადგენილი წესით მიიღებს და გაათავისუფლებს სამუშაოდან საფინანსო განყოფილების მუშაკებს დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით;

— ახორციელებს ღონისძიებებს საფინანსო განყოფილების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით (ავტონომიურ რესპუბლიკაში — ასსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით) და თავისი დასახელებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 15 სექტემბრის № 485
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილება იქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104 მუხლის შესაბამისად და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ასევე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს.

2. კულტურის განყოფილება არის სახელმწიფო მმართველობის დარგობრივი ორგანო, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას რაიონისა და ქალაქის ტერიტორიაზე.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების მთავარი ამოცანებია:

— რაიონის, ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი.

— მათი ფინანსურ-მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელება, თეატრების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და მოსახლეობის კინომომსახურების მუშაობაში დახმარების გაწევა, კულტურის დარგში საერთო საქალაქო და საერთო სარაიონო ღონისძიებათა ჩატარება, კულტურის ძეგლების დაცვა.

— კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების კონტროლი და ორგანიზაცია.

4. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილება მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) ახორციელებს რაიონსა და ქალაქში არსებულ ყველა საკლუბო დაწესებულების, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის რეგისტრაციასა და აღრიცხვას მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად; მუზეუმების, მასობრივი ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურის სახლების, სასწავლებლების, კულტურისა და დასვენების პარკების ხელმძღვანელობას;

ბ) გეგმავს კულტურის სახელმწიფო დაწესებულებების ქსელის განვითარებას, მეთვალყურეობას უწევს სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად მათი დროულად გახსნის საკითხს, საჭირო დახმარებას უწევს რაიონის, ქალაქის კულტურის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს რაიონსა და ქალაქში კულტუ-

რულ დაწესებულებათა მშენებლობის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში. ახორციელებს კონტროლს მათი დროულად დაფინანსებისა და საფინანსო-სამეურნეო გეგმის შესრულებისადმი;

გ) აწყობს დადებითი გამოცდილების გაზიარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საუკეთესო მიღწევათა გავრცელებას, რაიონის, ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, ხელმძღვანელობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

დ) მეთოდურ დახმარებას უწევს სხვა უწყებათა კულტურის დაწესებულებებს რაიონის, ქალაქის მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებაში;

ე) კოორდინაციას უწევს და წარმართავს ყველა უწყებისა და ორგანიზაციის საქმიანობას რაიონის, ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის განვითარებასა და განლაგებაში;

ვ) განიხილავს და დაამტკიცებს რაიონის, ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გეგმებსა და ანგარიშებს; განყოფილების ყველა სახეობის შემოქმედებითი, საწარმოო, სამეურნეო საქმიანობის პერიოდულ და წლიურ სამუშაო გეგმებს ყველა დარგის მიხედვით და დროულად წარუდგენს მათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს;

ზ) ახორციელებს დაქვემდებარებულ კულტურის დაწესებულებათა ფინანსურ კონტროლსა და დოკუმენტურ რევიზიას;

თ) ხელმძღვანელობს მხატვრულ თვითმოქმედებას, კონტროლს უწევს თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარს, აწყობს ცეკვებისა და სიმღერების დათვალიერებებს, დღესასწაულებს, ფესტივალებს, გამოფენებს, სემინარებს, თვითმოქმედი წრეების ხელმძღვანელთა თათბირებს;

ი) ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ლექტორთა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მეცნიერებისა და კულტურის სპეციალისტთა ძალებით გაწეულ სალექციო პროპაგანდისადმი;

კ) ყოველმხრივ უწყობს ხელს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების დანერგვას;

ლ) ახორციელებს რაიონსა და ქალაქში არქეოლოგიის, ისტორიის, არქიტექტურისა და კულტურის ძეგლთა სახელმწიფო დაცვისა და აღრიცხვის ღონისძიებებს;

მ) გეგმავს და უზრუნველყოფს რაიონის, ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ინვენტარით, საბიბლიოთეკო ტექნიკითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგებას. კონტროლს უწევს მასალების დანიშნულებისამებრ გამოყენებას და ახორციელებს მშენებლობას, შენობათა რემონტსა და რეკონსტრუქციას;

ნ) ეხმარება რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ რესპუბლიკური დაქვემდებარების კულტურის დაწესებულებებს მუშაობაში, აგრეთვე ამ დაწესებულებათა მიერ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცალკეულ დავალებათა შესრულებაში;

ო) ამოწმებს რაიონში, ქალაქში საგასტროლოდ ჩამოსულ პროფესიული კოლექტივებისა და ცალკეულ შემსრულებელთა გასტროლების მოწყობის უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ზემდგომ ორგანოებს აცნობებს გასტროლების იდეურ-მხატვრული დონის შესახებ.

5. კულტურის განყოფილება მასზე დაკისრებულ ამოცანებს ახორციელებს პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებებით, ბრძანებებითა და ამ დებულებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილება იმყოფება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

კულტურის განყოფილებას უფლება აქვს გახსნას ბანკში ანგარიშები და აწარმოოს ანგარიშსწორება, იქონიოს დამოუკიდებელი და დაქვემდებარებულ წარმოებათა კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებათა კრებსითი ბალანსები.

8. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების გამგე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე:

— ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას, უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას, განსახილველად შეაქვს რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტები კულტურის საკითხებზე;

— განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების ბრძანებულებათა, დადგენილებათა და განკარგულებათა შესასრულებლად;

— აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, საჩივრებს, განცხადებებს და იღებს საჭირო ზომებს მათს შესასრულებლად, განაგებს კრედიტებს და სახსრებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და ასიგნებათა ფარგლებში;

— უზრუნველყოფს საშტატო-ფინანსური დისციპლინის, ფულადი სახსრების მატერიალურ ფასეულობათა დაცვას;

— სამუშაოზე მიიღებს და გაათავისუფლებს თანამშრომლებს კულტურის განყოფილების მუშაკთათვის დაწესებული წესებისა და დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად.

10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 15 სექტემბრის № 485
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება იქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესაბამისად და თავის საქმიანობაში ემორჩილება რაიონულ, საქალაქო საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე სახალხო განათლების ზემდგომ ორგანოს.

2. სახალხო განათლების განყოფილება არის სახელმწიფო მმართველობის დარგობრივი ორგანო, რომელიც ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელობას ზოგადი საშუალო განათლებისადმი, აგრეთვე ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდისადმი.

სახალხო განათლების განყოფილება პასუხს აგებს რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ხარისხისათვის.

3. სახალხო განათლების განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

— მოაწყოს რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე ბავშვთა და ახალგაზრდობის საყოველთაო სავალდებულო სწავლება;

— შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებს სახალხო განათლების განვითარების გეგმების პროექტები, აგრეთვე საქვეუწყებო სახალხო განათლების დაწესებულებათა ქსელის განვითარების გეგმების პროექტები;

— უზრუნველყოს სახალხო განათლების განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულება;

— მიიღოს ზომები, რათა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, საბავშვო სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებანი მომარაგებულ იქნეს სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო-თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოებით და შესაბამისი მოწყობილობით;

— დახმარება გაუწიოს სხვა უწყების სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებს;

— უზრუნველყოს (შესაბამის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დახმარებით) მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მოწყობა საბავშვო სახლებსა, სკოლა-ინტერნატებსა და მოქალაქეთა ოჯახებში აღსაზრდელად, განახორციელოს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა, არასრულწლოვანთა მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციების განხორციელება, არა-

სრულწლოვანთა უზედამხედველობის თავიდან აცილების სამუშაოების მოწყობა;

— გაუუმჯობესოს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები სკოლის მასწავლებლებსა და სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების აღმზრდელებს.

4. სახალხო განათლების განყოფილება რაიონის, ქალაქის ფარგლებში ახორციელებს შესაბამის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაციას სწავლა-აღზრდისა და მეთოდური მუშაობის საკითხებზე საქვეუწყებო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საბავშვო სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში და მათთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს ამ სკოლებსა და დაწესებულებებში ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ხარისხის ასამაღლებლად.

5. სახალხო განათლების განყოფილება მასზე დაკისრებულ ამოცანებს ახორციელებს პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ-საკოლმეურნეო ორგანიზაციებთან, ოჯახისა და სკოლის ხელშემწყობ საბჭოებთან, მშობელთა კომიტეტებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებითა და განკარგულებებით სახალხო განათლების განყოფილების საქმიანობის საკითხებზე, სახალხო განათლების ზემდგომი ორგანოების ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და ამ დებულებით.

ავტონომიურ რესპუბლიკებში სახალხო განათლების განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აგრეთვე ასსრ კონსტიტუციით, ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით, ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— უზრუნველყოფს ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებას;

ახორციელებს ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლების, კომუნისტური აღზრდის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებს ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებსა და ბავშვთა სახლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აწყობს და ახორციელებს რაიონში, ქალაქში მშრომელთა საღამოს და დაუსწრებელ სწავლებას, იღებს ზომებს, რათა საღამოს (ცვლიან) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩაებას ახალგაზრდები, რომელთაც არ: აქვთ საშუალო განათლება;

— ავრცელებს სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა მუშაობის მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას;

— აწყობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა საქვეუწყებო სახალხო განათლების დაწესებულებებში თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა (კინო, რადიო, ტელევიზია და სწავლების სხვა საშუალებანი) დანერგვასა და გამოყენებას.

— ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად ახორციელებს კონტროლს იმ პირობების დაცვისა და ღონისძიებათა შესრულებისადმი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, ბავშვთა სახლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში;

— უზრუნველყოფს დადგენილი წესით ოლიმპიადების, სპარტაკიადების, შეჯიბრებებისა და სწავლა-აღზრდის სხვა ღონისძიებათა განხორციელებას სკოლის მოსწავლეთა შორის;

— აწყობს მოსწავლეებთან სკოლისგარეშე მუშაობას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

— ეწევა მუშაობას მასწავლებელთა, აღმზრდელთა და განათლების სხვა მუშაკთა შერჩევის, განაწილების, აღზრდისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

— ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ რაიონის, ქალაქის განათლების დაწესებულებებში სწორად იქნეს გამოყენებული სახალხო განათლების მუშაკებისათვის დადგენილი შრომის ანაზღაურების პირობები და შეღავათები;

— ეწევა სახალხო განათლების ხარჯების დაგეგმვას; ადგენს კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებას ბიუჯეტის შესრულების შესახებ, აღნიშნული ხარჯების მიხედვით;

— კონტროლს უწევს საქვეუწყებო სახალხო განათლების დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;

— ყოველწლიურად ატარებს მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა ტარიფიკაციას;

— დადგენილი წესით ანაწილებს საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდს; ახორციელებს კონტროლს მისი შესრულებისაღმი;

— შეაქვს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში განსახილველად საკითხები იმის შესახებ, რომ მოქალაქეებს მიენიჭოს შეღავათები სკოლა-ინტერნატებში, სასკოლო ინტერნატებში ბავშვთა რჩენის, აგრეთვე გახანგრძლივებული დღის სკოლებში (ჯგუფებში) ბავშვთა კვების ხარჯების ანაზღაურებაში;

— შეიმუშავებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო განათლების ზემდგომი ორგანოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახილველად წარადგენს ღონისძიებებს სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის გამტკიცებისათვის; კონტროლს უწევს სახელმძღვანელოთა, პროგრამების, სასწავლო გეგმების, სასწავლო-თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მოწყობილობის ფონდების არსებობას; უზრუნველყოფს სახალხო განათლების დაწესებულებებს საინსტრუქციო-მეთოდიკური ლიტერატურით, საგამოცდო დოკუმენტაციით, მტკიცე ანგარიშგების ბლანკებით;

— ანაწილებს სახალხო განათლების დაწესებულებებისათვის გამოყოფილ მოწყობილობასა და სხვა მასალებს; ახორციელებს კონტროლს დანიშნულებისამებრ მათი გამოყენებისადმი;

— იღებს ზომებს სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა ტერიტორიის კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის;

— პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით ეწევა მუშაობას მოსახლეობაში პედაგოგიური ცოდნის გავრცელებისათვის;

— საჭირო შემთხვევაში აუქმებს სკოლის დირექტორებისა და განყოფილების სხვა საქვეუწყებო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების განკარგულებებს;

— შეაქვს სახალხო განათლების ზემდგომ ორგანოებში წარდგინება დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ნიშნავს, გადაჰყავს და ათავისუფლებს მუშაკებს დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად.

8. სახალხო განათლების განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების გამგე.

განყოფილების გამგის მოვალეობის ამსრულებელს დანიშნავს და გაათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, რაც შემდეგ უნდა დამტკიცდეს საქალაქო, რაიონული საბჭოს მორიგ სესიაზე.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგე:

— ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას, უზრუნველყოფს მის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას;

— შეაქვს რაიონული, საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად სახალხო განათლების საკითხებზე გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტები;

— განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს რაიონული, საქალაქო საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტების საფუძველზე და მათს შესასრულებლად;

— ახორციელებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს და იღებს საჭირო ზომებს მათ გამო;

— განაგებს კრედიტებსა და სახსრებს დაწესებული ხარჯთაღრიცხვებისა და ასიგნებათა ფარგლებში;

— უზრუნველყოფს საფინანსო-სამეტატო დისციპლინის დაცვას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-შენახვას;

— დადგენილი წესით მიიღებს სამუშაოდ და დაითხოვს სახალხო განათლების განყოფილების მუშაკებს ნომენკლატურის მიხედვით;

— დაამტკიცებს განყოფილების საქვეუწყებო სახალხო განათლების დაწესებულებათა გეგმებსა და ანგარიშებს, შეადგენს განყოფილების მუშაობის პერიოდულ და წლიურ გეგმებსა და ანგარიშებს, წარუდგენს მათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე სახალხო განათლების ზემდგომ ორგანოს.

10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილებასთან იქმნება სათათბირო ორგანო — საბჭო განათლების მუშაკთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელიც მონაწილეობას იღებს სახალხო განათლების უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვაში.

11. სახალხო განათლების განყოფილება თავისი მუშაობის ანგარიშს პერიოდულად აბარებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება იმყოფება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

13. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 15 სექტემბრის № 485
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება იქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104 მუხლის შესაბამისად და თავის საქმიანობაში ემორჩილება მშრომელთა დეპუტატების როგორც რაიონულ, საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ასევე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

— უზრუნველყოს კანონით დადგენილი პენსიებისა და დახმარებათა დროული და სწორი დანიშვნა და გაცემა, მოქალაქეთათვის კანონიერი შეღავათებისა და უპირატესობათა მინიჭების გათვალისწინებით;

— განახორციელოს ხელმძღვანელობა და კონტროლი საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ორგანოების საქმიანობისადმი;

— დახმარება გაუწიოს რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სასწავლო საწარმოებს.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება:

ა) იღებს წარდგინებებს, განცხადებებსა და დოკუმენტებს, რომლებიც უნდა განიხილოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა პენსიებისა და დახმარებათა დამნიშვნელმა კომისიამ;

ბ) აფორმებს და ინახავს პენსიებისა და დახმარებათა დამნიშვნელი კომისიის ოქმებს, პენსიონერთა და დახმარების მიმღებთა საპენსიო საქმეებს, პირად ანგარიშებს, განცხადებათა სარეგისტრაციო ჟურნალს, პირადი ანგარიშების რეესტრს, აგრეთვე ატარებს საპენსიო საქმეებისა და პირადი ანგარიშების ყოველწლიურ ინვენტარიზაციას;

გ) აძლევს პენსიონერებს მოწმობებს და მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს წიგნაკებს და ეწევა მათს აღრიცხვას;

დ) უზრუნველყოფს პენსიებისა და დახმარებათა დროულად გაცემას და კონტროლს უწევს კავშირგაბმულობის ორგანოების მიერ მათს დროულად მიტანას;

ე) ეწევა პენსიონერთა მატერიალური და ოჯახური პირობების სისტემატურ შემოწმებას, თვალყურს ადევნებს, რომ პენსიონერებმა დროულად გაიარონ ხელახალი შემოწმება საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიაში;

ვ) ეწევა იმ პირთა აღრიცხვას, რომლებიც საჭიროებენ პროტეზირებას, და დახმარებას უწევს მათ საპროტეზო-ორთოპედიულ ნაკეთობათა მიღებაში;

ზ) ახორციელებს კონტროლს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მიერ პენსიონერთა სამედიცინო მომსახურების ღონისძიებათა განხორციელებისადმი;

თ) ხელმძღვანელობას უწევს რაიონული საექიმო-შრომითი ექსპერტიზის კომისიის მუშაობას;

ი) ეწევა საპენსიო კანონმდებლობის ახსნა-განმარტებითს მუშაობას, სისტემატურად აწყობს დაწესებულებებში კონსულტაციებსა და ლექციებს საპენსიო საკითხებზე;

კ) ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობისადმი;

ლ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს პენსიონერთა ურთიერთდამხმარე სალაროებს;

მ) ადგენს სოციალური უზრუნველყოფის გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს და წარუდგენს მათ დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს;

ნ) ეწევა ინვალიდთა, პენსიონერთა და მათი ოჯახების წევრთა შრომითს მოწყობას, გზავნის მათ სასწავლებლად კურსებსა და სასწავლებლებში;

ო) ხელს უწყობს პროფესიული განათლების ორგანიზაციას და საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში ინვალიდთა ხელახლა სწავლებას;

პ) კონტროლს უწევს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში მომუშავე ინვალიდთა შრომის პირობებს და თვალყურს ადევნებს იმას, რომ ისინი მოეწყონ სამუშაოზე საექიმო—შრომითი საექსპერტო კომისიის შრომითი რეკომენდაციების შესაბამისად;

ჟ) მატერიალურ დახმარებას უწევს ინვალიდებს, პენსიონერებსა და მათი ოჯახის წევრებს, ხელს უწყობს ადგილობრივი საბჭოების, დაწესებულებათა და საწარმოთა მეშვეობით მათთვის საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, ინვალიდთა, პენსიონერთა და მათი ოჯახის წევრთა უკეთ მომსახურების მიზნით ფართოდ იზიდავს მუშაობაში პერსონალურ პენსიონერთა, პენსიონერთა და მშრომელთა აქტივს;

რ) თვალყურს ადევნებს იმას, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა (საფინანსო განყოფილება და სხვ.) პენსიისა და დახმარების მიმღებ პირებს მიანიჭონ კანონით დაწესებული შეღავათები;

ს) მონაწილეობს ინვალიდთა მზრუნველობისა და მათი ქონების მეურვეობის საქმეთა გაფორმებაში კანონის შესაბამისად;

ტ) საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით აგზავნის ინვალიდებსა და ღრძა მოხუცებს სახლ-ინტერნატებსა და ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა პანსიონატებში;

უ) კონტროლს უწევს რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ სახლ-ინტერნატებისა და ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა პანსიონატების მუშაობას, აგრეთვე ქმნის პანსიონატებთან საზოგადოებრივ საბჭოებს.

4. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას სათავეში უდგას გამგე.

გამგის მოვალეობის ამსრულებელს ნიშნავს და ათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან შეთანხმებით, რაც შემღგომ უნდა დამტკიცდეს საქალაქო, რაიონული საბჭოს მორიგ სესიაზე.

5. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილების მთელ საქმიანობას;

ბ) გამოსცემს ბრძანებებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა შესაბამისად და შესასრულებლად;

გ) განაგებს კრედიტებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში;

დ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს და მიიღებს მათ გამო საჭირო ზომებს;

ე) უზრუნველყოფს საფინანსო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვას, აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად დაყენებას.

6. სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საქალაქო განყოფილების გამგე არის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული პენსიებისა და მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისათვის დახმარების დამნიშვნელი კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრები არიან: რაიონული, საქალაქო საფინანსო განყოფილების გამგე და პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, როცა პენსია ენიშნება სამხედრო მოსამსახურესა და მათს ოჯახებს, კომისიის შემადგენლობაში შედის რაიონის, ქალაქის სამხედრო კომისარი.

7. სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საქალაქო განყოფილების უფროს ინსპექტორსა და უფროს ბუღალტერს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით ნიშნავს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლეგია.

8. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და თავისი დასახელებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 15 სექტემბრის № 485
დადგენილებით

ᲓᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ქმნის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104 მუხლის საფუძველზე.

2. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება არის სახელმწიფო მმართველობის დარგობრივი ორგანო და ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელობას ქალაქში ჯანმრთელობის დაცვის საქმისადმი. დაავადებათა თავიდან აცილების, ავადმყოფთა ეფექტიანი მკურნალობისა და ადამიანთა დღეგრძელობის შემდგომი გადიდების მიზნით ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მოსახლეობისათვის დროული და ხარისხიანი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის, ქალაქში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის.

3. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება თავის საქმიანობაში ემორჩილება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

4. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) გაუწიოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, უფასო, მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება ქალაქის მოსახლეობას;

ბ) განახორციელოს ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში პროფილაქტიკური მიმართულების განვითარების ღონისძიებანი;

გ) დედათა და ბავშვთა დაცვა;

დ) უზრუნველყოს მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობა;

ე) უზრუნველყოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის განვითარების დავალებათა შესრულება;

ვ) უზრუნველყოს სამედიცინო მუშაკთა მომზადება და მათი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების სრულყოფა სპეციალობის მიხედვით;

ზ) უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების დაწესებულებანი, ორგანიზაციები და საწარმოები კვალიფიციური კადრებით, შეუქმნას მათ პირობები მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების უკეთ გამოყენებისათვის, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც კარგმა სპეციალისტებმა;

თ) რაციონალურად გამოიყენოს ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის გამოყოფილი სახსრები, აამაღლოს მკურნალობის ეფექტიანობა და შეამციროს მისი ღირებულება.

5. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ხელმძღვანელობს, როგორც წესი, რაიონული დაყოფის ქალაქის რაიონების მთავარი ექიმების აპარატის მეშვეობით და ქალაქის დაქვემდებარების დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს მართავს უშუალოდ ან მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

6. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას ექვემდებარება სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, დისპანსერები, სანაწრაფო-სამედიცინო დახმარების, სისხლის გადასხმის სადგურები და სხვ.) და სანიტარიულ-პროფილაქტიკური დაწესებულებანი, რომლებიც შედიან ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ერთიან სისტემაში.

7. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება კონტროლსა და კოორდინაციას უწევს სამკურნალო-პროფილაქტიკურ და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებებს დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის, საკარანტინო და სხვა ინფექციურ დაავადებათა შემოტანისა და გავრცელებისაგან ქალაქის ტერიტორიის დაცვის და მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების საკითხებზე.

8. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, ზემდგომი მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სისტემის დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

9. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება განაზოგადებს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და დადგენილი წესით შეიტანს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში დასამტკიცებლად.

10. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ამ დებულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებასთან ერთად:

ა) ხელმძღვანელობს სანიტარიული ზედამხედველობის დაყენებას და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამუშაოების მოწყობის მეთოდიკას მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ეწევა მოსახლეობაში სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდას;

ბ) სწავლობს ქალაქის მოსახლეობის ავადობას და შრომისუნარიანობის დაკარგვას, კონტროლს უწევს შრომისუნარიანობის სამედიცინო ექსპერტიზის მოწყობის წესების დაცვას და შრომისუუნარობის ფურცლების გაცემის სამედიცინო დასაბუთებულობას, კონტროლს უწევს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მიერ სამრეწველო საწარმოებსა და სასწავლებლებში სავალდებულო წინასწარ (სამუშაოზე მიღებისას) და პერიოდულ სამედიცინო შემოწმების ორგანიზაციასა და ხარისხს;

გ) ხელმძღვანელობას უწევს სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დაყენებას;

დ) პრაქტიკაში ნერგავს სამედიცინო დაწესებულებათა მოწინავე გამოცდილებასა და მედიცინის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს;

ე) განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მოთხოვნილებას სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობებზე (წამლეული, პრეპარატები, ვიტამინები, სათვალის ოპტიკა, სააფთიაქო საქონელი, სამედიცინო ტექნიკის ნაკეთობანი და მათი მარაგნაწილები), სანიტარიულ ავტომობილებზე;

ვ) შეისწავლის ქალაქის საკურორტო რესურსებს, მონაწილეობას მიიღებს კურორტთა განვითარების ღონისძიებათა შემუშავებაში, სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მოწყობაში.

11. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ჯანმრთელობის დაცვის სამუშაოებს ახორციელებს სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების, პროფესიული კავშირების, წითელი ჯვრის საზოგადოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით.

12. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას სათავეში უდგას გამგე.

გამგის მოვალეობის ამსრულებელს ნიშნავს და ათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს საქალაქო საბჭოს მორიგ სესიაზე.

13. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. მოვალეობებს განყოფილების გამგის მოადგილეებს შორის ანაწილებს განყოფილების გამგე.

14. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში იქმნება სამედიცინო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან განყოფილების გამგე (თავმჯდომარე), გამგის მოადგილეები, სექტორის უფროსები და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სამედიცინო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. სამედიცინო საბჭო თავის სხდომებზე განიხილავს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ძირითად საკითხებს, დაწესებულებათა პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, სამედიცინო კადრების სწორად შერჩევისა და განაწილების საკით-

ხებს, მოისმენს ქალაქის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოხსენებებს.

სამედიცინო საბჭოს გადაწყვეტილება, როგორც წესი, ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის ბრძანებით. განყოფილების გამგესა და სამედიცინო საბჭოს შორის წამოჭრილი უთანხმოების შემთხვევაში გამგე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და მოახსენებს უთანხმოების შესახებ საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ხოლო სამედიცინო საბჭოს წევრებს უფლება აქვთ აცნობონ აღმასკომს თავიანთი განსაკუთრებული აზრი ამ საკითხზე.

15. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე პერსონალურად აგებს პასუხს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, აწესებს გამგის მოადგილეთა, სექტორების უფროსების პასუხისმგებლობას განყოფილების საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე მოქმედი კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა დაქვემდებარებული დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოსათვის, და ამოწმებს მათს შესრულებას.

16. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება გაწეული მუშაობის შესახებ პერიოდულად ანგარიშს აბარებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და სესიას, აგრეთვე მშრომელთა კრებას.

17. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე, განაგებს კრედიტებსა და სახსრებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და ასიგნებათა ფარგლებში, უზრუნველყოფს საშტატო-საფინანსო დისციპლინის დაცვას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-შენახვას და რაციონალურ გამოყენებას, ამტკიცებს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების აპარატის საშტატო განრიგს, ახორციელებს თანამდებობრივ პირთა — განყოფილების სექტორების გამგეების ჩათვლით — დანიშვნასა და გათავისუფლებას. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ამტკიცებს დაქვემდებარებულ დაწესებულებათა გეგმებსა და ანგარიშებს, შეადგენს განყოფილების მუშაობის პერიოდულ და წლიურ გეგმებს და წარუდგენს მათ განსახილველად და დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

18. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ეწევა მოქალაქეთა მიღებას, მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვას და იღებს საჭირო ზომებს მათ გამო.

19. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და დაწესებულების სრული სახელწოდებით.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 15 სექტემბრის № 485
დადგენილებით

დებულება

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილების შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილება თავის საქმიანობაში ემორჩილება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ სახმშენს, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — ამ რესპუბლიკათა სახმშენებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილებას.

2. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

— ხელმძღვანელობა გაუწიოს ქალაქისა და მისი საგარეუბნო ზონის დაგეგმარებასა და განაშენიანებას;

— აამაღლოს არქიტექტურული მუშაობის ხარისხი;

— კონტროლი გაუწიოს საცხოვრებელი და სამრეწველო რაიონების მშენებლობას და რეკონსტრუქციას ქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად;

— სწორად განალაგოს მშენებლობის ობიექტები მოსახლეობის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გათვალისწინებით.

3. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილების გამგებლობაშია:

— ქალაქმშენებლობის საბჭო — სათათბირო ორგანო, რომელიც განყოფილებასთან იქმნება იმ მიზნით, რომ განიხილოს ქალაქის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტები, საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობა-ნაგებობების, ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის ობიექტების, საინჟინრო ნაგებობათა და წყალმომარაგების, კანალიზაციის, თბომომარაგების, გაზმომარაგების, ელექტრომომარაგებისა და სხვათა ქსელების პროექტები, აგრეთვე ქალაქის გარეგანი გაფორმების პროექტები და წინადადებანი.

ქალაქმშენებლობის საბჭოს სათავეში უდგას საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილების უფროსი — ქალაქის მთავარი არქიტექტორი; საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ქალაქის მთავარი არქიტექტორის წარდგენით;

— სახელმწიფო საარქიტექტურო-სამშენებლო კონტროლის საქალაქო ინსპექცია, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო საარქიტექ-

ტურო-სამშენებლო კონტროლის შესახებ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

სახელმწიფო საარქიტექტურო-სამშენებლო კონტროლის საქალაქო ინსპექციის უფროსი არის ქალაქის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილების უფროსის მოადგილე მშენებლობისა და განაშენიანების ხარისხის საკითხებზე;

— ქალაქის გეოდეზიური სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას ქალაქისა და საგარეუბნო ზონის ტერიტორიაზე გეოდეზიური სამუშაოებისადმი;

— სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოო ჯგუფი;

— საქალაქო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო.

4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილებას ეკისრება:

— ორგანიზაცია გაუწიოს ქალაქის, ქალაქის რაიონების დეტალური დაგეგმარების, დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავებას, აგრეთვე მათს განხილვასა და შეთანხმებას დადგენილი წესით სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორგანოებში დასამტკიცებლად;

— მოაწყოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიასთან და სხვა განყოფილებებთან ერთად მუშაობა რაიონული დაგეგმარების სქემის, ქალაქისა და ქალაქის რაიონების გენერალური გეგმის შედგენისათვის საჭირო მოცემულობის მოსამზადებლად;

— შეიმუშაოს და მისცეს მენაშენეებს მშენებლობისათვის დადგენილი წესით გამოყოფილი ნაკვეთების განაშენიანების, კეთილმოწყობისა და გამწვანების დასაპროექტებლად არქიტექტურულ-დაგეგმარებითი დავალება და მიწის ნაკვეთების პასპორტები;

— კონტროლი გაუწიოს ქალაქისა და საგარეუბნო ზონის ტერიტორიაზე მშენებლობას, შენობა-ნაგებობათა სწორ განლაგებას დამტკიცებული სქემებისა და გეგმების საფუძველზე;

—ხელმძღვანელობა გაუწიოს ქალაქის გეოდეზიურ სამსახურს, დადგენილი წესით გასცეს გეოდეზიურ სამუშაოთა, საინჟინრო-გეოლოგიურ და სხვა სახეობის გამოკვლევათა წარმოების ნებართვა, აღრიცხოს და ტექნიკურად მიიღოს ეს სამუშაოები, მოაწყოს გეოდეზიური ნიშნების დაცვა, რემონტი და აღდგენა; რეგისტრაციაში გაატაროს და შეინახოს საპროექტო-დაგეგმარების, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიურ და სხვა საპროექტო და ტოპოაგეგმვის მასალები ქალაქის ტერიტორიაზე;

— განიხილოს და შეათანხმოს არქიტექტურის ძეგლების აღდგენისა და რემონტის, ამ ძეგლთა მომიჯნავე ახალ განაშენიანებათა, აგრეთვე ქალაქისა და საგარეუბნო ზოლის ტერიტორიაზე არქიტექტურის ძეგლთა გარშემო მდებარე უბნების კეთილმოწყობისა და გამწვანების პროექტები, კონტროლი გაუწიოს ამ ღონისძიებათა შესრულებას;

— შეათანხმოს შენობა-ნაგებობათა შეღებვის პროექტები, კეთილმოწყობის, გამწვანებისა და გარეგნული გაფორმების პროექტები;

— განიხილოს და შეათანხმოს საზოგადოებრივ შენობათა ინტერიერების პროექტები, მცირე არქიტექტურული ფორმების პროექტები, გარე განათების, რეკლამისა და ქალაქის გაფორმების სხვა ელემენტების პროექტები;

— შეიმუშაოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, საცხოვრებელი სახლების, აგრეთვე ერთობლივი სარგებლობის ობიექტებისა და ნაგებობების (გარე საინჟინრო კომუნიკაციები, გზები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, წყალსაღები და საწმენდი ნაგებობანი, რაიონული საქვაბეები და სხვ.) წილობრივი მონაწილეობის წესით მშენებლობის წინადადებანი;

— შეათანხმოს საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობის სატიტულო სიები;

— კონტროლი გაუწიოს ქალაქის დაგეგმარების, განაშენიანების, საინჟინრო მოწყობილობის, გამწვანების, კეთილმოწყობისა და გარეგნული გაფორმების განხორციელებას, მშენებლობის ხარისხს, აგრეთვე სამოქალაქო მშენებლობაზე გამოყენებულ საშენ მასალათა და ნაკეთობათა ხარისხს;

—შეიმუშაოს და შეიტანოს წინადადებანი ყველა სახეობის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ, აგრეთვე კონტროლი გაუწიოს მიწის ნაკვეთების გამოყენებას გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების შესაბამისად;

— მონაწილეობა მიიღოს მშენებლობაში შენობა-ნაგებობათა ეკონომიური ტიპობრივი პროექტების, პროგრესული კონსტრუქციების, ახალი საშენი მასალებისა და ნაკეთობების დანერგვაში;

— აწარმოოს აღრიცხვა იმ ნაგებობებისა და შენობებისა, რომელთა რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი მიზანშეწონილია, აგრეთვე შეათანხმოს ქალაქის კეთილმოწყობისა და გარეგნული გაფორმების პროექტები;

— შეიმუშაოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხვა განყოფილებებთან ერთად და შეიტანოს აღმასკომში განსახილველად წინადადებანი ქალაქის მიმდინარე და პერსპექტიული მშენებლობისა და კეთილმოწყობის გეგმების საკითხებზე.

5. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტურულ-დაგეგმარების განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების უფროსი, რომელიც ამავე დროს არის ქალაქის მთავარი არქიტექტორი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საკავშირო მოქმედი დებულებით „ქალაქის მთავარი არქიტექტორის შესახებ“;

საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილების უფროსს ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესია. სესიებს შორის პერიოდში განყოფილების უფროსის მოვალეობის ამსრულებელს ნიშნავს საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი რესპუბლიკის სახმშენთან შეთანხმებით.

ქალაქის ძთავარ არქიტექტორს ათავისუფლებს მისი დამნიშნავი ორგანო იმ ორგანოსთან შეთანხმებით, რომელთანაც შეთანხმებული იყო მისი დანიშვნა.

6. საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილებას უფლება ენიჭება:

— მოსთხოვოს მენაშენეებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს იმ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მასალების და სხვა საჭირო დოკუმენტების წარდგენა, რაც დაკავშირებულია შენობა-ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოების წარმოებასთან.

7. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახმშენის, ავტონომიური რესპუბლიკის სახმშენის მითითებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

8. საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილების აპარატის შენახვა ხდება ქალაქის ბიუჯეტით სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯზე, ხოლო საწარმოო ჯგუფისა — დადგენილი ფასდებებით შესრულებულ ტექნიკურ სამუშაოთა ანაზღაურების თანხებიდან.

9. საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილებას აქვს თავისი ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი დასახელებით.

10. საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილების სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს დადგენილი წესით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი, იმ სანიმუშო სტრუქტურისა და შტატების შესაბამისად, რომლებიც მოწონებულია სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 15 სექტემბრის № 485
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილებასთან არსებული საწარმოო ჯგუფის შესახებ

1. საწარმოო ჯგუფი იქმნება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილებასთან.

2. საწარმოო ჯგუფის მთავარი ამოცანაა მიწის ნაკვეთების გამოყოფა მშენებლობისათვის, არქიტექტურულ-დაგეგმარებითი დავალების და განაშენიანების წითელი ხაზების გაცემა.

3. ძირითადი ამოცანების შესაბამისად საწარმოო ჯგუფი ასრულებს შემდეგი სახეობის სამუშაოებს:

— შეიმუშავებს პროექტებს და ნატურაში გადაიტანს განაშენიანების წითელ ხაზებს და მისცემს მათ მენაშენეებს; გამიჯნავს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის შენობა-ნაგებობათა მთავარ ღერძებს;

— შეადგენს ქალაქის ცალკეულ ტერიტორიებზე დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს;

— ნატურაში გამოყოფს მიწის ნაკვეთებს მშენებლობისათვის, ამასთანავე მოამზადებს ტექნიკურ და უფლებრივ დოკუმენტებს;

— მოამზადებს და შეიმუშავებს მიწის ნაკვეთების პასპორტებსა და არქიტექტურულ-დაგეგმარებით დავალებას, ამასთანავე შეასრულებს საამისოდ საჭირო ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ, საგამოკვლევო და სხვა სამუშაოებს;

— აწარმოებს მორიგე გეგმებისა და განაშენიანებული ტერიტორიის ტოპოაგეგმვას;

შეიმუშავებს პირველი რიგის მშენებლობის განლაგებისა და კეთილმოწყობის სქემებს; შეასრულებს საგამოკვლევო, ასაგეგმავ და საპროექტო-დაგეგმარების სამუშაოებს იმ მშენებლობის ობიექტებზე, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 100 ათას მანეთს;

— იღებს მენაშენეებისაგან და ინახავს ქალაქის საპროექტო-დაგეგმარების, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ, საინჟინერო-გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ მასალებს;

აგროვებს მასალებს მიწისქვეშა საქალაქო მეურნეობაზე; გადაიტანს ტრასებს საყრდენ გეგმებში, მოამზადებს მასალებს კომუნიკაციების ტრასების შესათანხმებლად და მიწისქვეშა სამუშაოების წარმოების ნებართვის გასაცემად;

— მეთვალყურეობას უწევს ქალაქის გეოდეზიური ქსელების მოვლა-დაცვას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

— კონსულტაციას უწევს ინდივიდუალურ მენაშენეებს და ახორციელებს ზედამხედველობას წითელი ხაზების პროექტების დაცვისადმი;

— საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილების საფუძველზე აფორმებს და ინდივიდუალურ მენაშენეებს აძლევს საბუთებს განაშენიანების უფლების შესახებ (ნაკვეთების გამოყოფა ნატურაში, შესაბამისი ამონახაზების შედგენა).

4. საწარმოო ჯგუფის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი არის შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო ორგანოს უფროსი — ქალაქის მთავარი არქიტექტორი, რომელსაც მინიჭებული აქვს კრედიტის განმკარგულებლის და ფულად დოკუმენტებზე პირველი ხელისმოწერის უფლება, აგრეთვე საწარმოო ჯგუფის მუშაკთა დაქირავება და დათხოვნა. ტექნიკურ ხელმძღვანელობას ახორციელებს საწარმოო ჯგუფის უფროსი.

5. მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ სამუშაოთა კომპლექსის უზრუნველსაყოფად საწარმოო ჯგუფის შემადგენლობაში იქმნება:

ა) ქალაქის დაგეგმარებისა და განაშენიანების სექტორი;

ბ) მიწის ნაკვეთების გამოყოფის სექტორი;

გ) საპროექტო სექტორი (საპროექტო ბიურო);

დ) გეოდეზიური და გეოლოგიური სამსახურის სექტორი.

სექტორის მუშაობას სათავეში უდგას სექტორის ხელმძღვანელი — შესაბამისი კვალიფიკაციის მთავარი სპეციალისტი.

საჭირო შემთხვევაში, სამუშაოთა მოცულობის კვალობაზე, სექტორების შემადგენლობაში შეიძლება ქალაქის რაიონების მომსახურების ბრიგადების შექმნა.

6. საწარმოო ჯგუფის შტატები არ საჭიროებს სახელმწიფო საშტატო კომისიაში რეგისტრაციას.

7. თანამდებობათა ნომენკლატურა, იმ საწარმოო პერსონალის თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც იმყოფებიან დროებრივ შრომითს ანაზღაურებაზე, წესდება მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს (საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილების) შესაბამის მუშაკთა განაკვეთების დონეზე.

8. საწარმოო ჯგუფის თანამდებობათა ტიპობრივი ნუსხა:

ხელმძღვანელობა	— ჯგუფის უფროსი, მთავარი ინჟინერი, უფროსი ბუღალტერი, ინსპექტორი კადრებისა და სპეცმუშაობის დარგში, ტექნიკური არქივისა და გეოკამერის გამგე, საქმისმწარმოებელი-მემანქანე, შოფერი;
გენერალური გეგმის სექტორი	— სექტორის ხელმძღვანელი, უფროსი არქიტექტორი, უფროსი ინჟინერი, ტექნიკოს-არქიტექტორი, ინჟინერი და ტექნიკოსი, კონსტრუქტორი, პირის გადამღები, შოფერი;
გეოდეზიური და გეოლოგიური სამსახურის სექტორი	— სექტორის ხელმძღვანელი, უფროსი ინჟინერ-გეოდეზისტი, უფროსი ინჟინერ-გეოლოგი, ტექნიკოს-გეოდეზისტი, უფროსი ტოპოგრაფი, ტოპოგრაფი, უფროსი ტექნიკოსი. შოფერი, ბურღვის ოსტატი, უფროსი მუშები, მუშები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროექტო სექტორი	— სექტორის (სახელოსნოს) ხელმძღვანელი, უფროსი არქიტექტორი, უფროსი ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტექნიკოს-არქიტექტორი, ტექნიკოს-კონსტრუქტორი, მეხარჯთაღრიცხვე ტექნიკოსი, მხაზველი, კონსტრუქტორი, პიროს გადამღები, მემაკეტე, ფოტოგრაფი.

9. საწარმოო ჯგუფის შენახვა ხდება იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს (საარქიტექტურო-დაგეგმარების განყოფილების) სპეციალურ ანგარიშებზე წარმოიქმნება ძოქმედი პრეისკურანტებით შესრულებულ საძუშაოთა ასანაზღაურებლად მენაშენეებისაგან მიღებული თანხებით.

10. ძთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს (საარქიტექტურო-დაგეგძარების განყოფილების) ახგარიშებზე შემოსული სპეციალური სახსრები გაძოიყენება ძხოლოდ იმ ხარჯების დასაფარავად, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთების გამოყოფის სამუშაოებთან, არქიტექტურულ-დაგეგმარებითი დავალების და განაშენიანების წითელი ხაზების გაცემასთან, აგრეთვე მასთან დაკავძირებულ ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ და საპროექტო-დაგეგმარების სამუშაოებთან, საწარმოო პერსონალის შენახვასა, აგრეთვე ინვენტარის, გეოდეზიური ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის შეძენასთან, რაც დაკავშირებულია ხემოჩაძოთვლილ სამუშაოებთან.

11. საწარმოო ჯგუფის შენახვა ხორციელდება წლიური შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასკომი დადგენილი წესით.

12. საწარმოო ჯგუფის ძუშაკთა ძროძის ანაზღაურება წარმოებს დროებრივი და სანარდო სისტემით.

შენიშვნა: პრემირების დებულების ძალაში შესვლის შემდეგ საწარმოო ჯგუფის მუშაკები გადაყვანილი იქნებიან დროებრივ-პრემიალურ და სანარდო-პრემიალურ შრომის ანაზღაურების სისტემაზე.

13. საწარმოო ჯგუფი ეწევა ტექნიკურ აღრიცხვას და ანგარიშგებას დადგენილი წესით, ადგენს საინფორმაციო ცნობებს და წარუდგენს მათ რესპუბლიკის სახმშენს; ახორციელებს საბუღალტრო აღრიცხვას და ადგენს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის შესრულებისა და საწარმოო ჯგუფის საქმიანობის ანგარიშგებას, რასაც წარუდგენს ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს იმ ფორმებისა და ვადების მიხედვით, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ.

14. საწარმოო ჯგუფის ყველა სახეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უზრუნველყოფას — საწვავ-საპოხი მასალებით, სპეცტანსაცმლით, გეოდეზიური ინსტრუმენტებით, სახაზავი მოწყობილობით, ქაღალდით (ვატმანი, შუქგრძნობიერი, კალკი და საწერი), საკანცელარიო საქონლით, კანტორის ავე-

ჯით, ავტომობილებითა და მოტოციკლებით, ფანერით, ალუმინის ფურცლოვანი და სხვა მასალებით — ახორციელებენ მომარაგების ორგანოები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეშვეობით, იმ განაცხადების საფუძველზე, რომლებსაც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომები სპეციალურად წარადგენენ მათთან არსებულ საარქიტექტურო ორგანოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 15 სექტემბრის № 485
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს შესახებ

1. მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველო თავის საქმიანობაში ემორჩილება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, მის აღმასკომს და საქართველოს სსრ სახმშენს.

მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს გამგებლობაშია:

— ქალაქმშენებლობის საბჭო — სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია იმ მიზნით, რომ განიხილოს ქალაქის, საცხოვრებელი და სამრეწველო რაიონების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტები, საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობა-ნაგებობათა, საინჟინრო ნაგებობათა და ყველა სახეობის საქალაქო კომუნიკაციების, სატრანსპორტო საშუალებათა პროექტები, ქალაქის გამწვანების, კეთილმოწყობის, გარეგნული გაფორმების ელემენტების, მათ შორის ქალაქის მონუმენტურ-დეკორატიული გაფორმების, ძეგლების, ქანდაკების, რეკლამის, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა ინტერიერების პროექტები;

— სახელმწიფო საარქიტექტურო-სამშენებლო კონტროლის სამმართველო, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო საარქიტექტურო-სამშენებლო კონტროლის სამმართველოს დებულების საფუძველზე;

— განაშენიანებისა და მიწის გამოყოფის რეგულირების სამმართველო, რომლის ამოცანაა განაშენიანებისა და ყველა სახეობის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის რეგულირება ქალაქისა და მისი საგარეუბნო ზონის გენერალური გეგმის შესაბამისად;

— საინჟინრო მოწყობისა და გეოლოგიური სამსახურის სამმართველო, რომლის ამოცანაა ქალაქსა და მის საგარეუბნო ზონაში ტერიტორიის საინჟინრო მომზადებისა და საინჟინრო მოწყობის, საგზაო-საქვაფენილო მშენებლობისა და საქალაქო ტრანსპორტის განვითარების სამუშაოების დაგეგმვა, კოორდინაცია და კონტროლი;

— საქალაქო საპროექტო ინსტიტუტი „ქალაქპროექტი“ და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო, რომლებიც ახორციელებენ საპროექტო სამუშაოებს დაგეგმარების, განაშენიანების, საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის, კეთილმოწყობის, ქალაქის გარეგნული გაფორმების ელემენტებისა და შენობათა რეკონსტრუქციის დარგში.

— ქალაქის რაიონების რაიონული არქიტექტორები:

2. მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს ეკისრება:

— ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა გაუწიოს ქალაქის, საგარეუბნო ზონებისა და დასვენების ზონების განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შემუშავებას, ქალაქისა და რაიონული ცენტრების, საცხოვრებელი რაიონებისა და მიკრორაიონების, ბაღებისა და პარკების დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების, ცალკეულ შენობა-ნაგებობათა პროექტების, კეთილმოწყობის, გამწვანების, საინჟინრო ქსელებისა და ნაგებობათა, აგრეთვე ქალაქისა და საგარეუბნო ზონის ტერიტორიის საინჟინრო მომზადების პროექტების შემუშავებას, ამასთან გაითვალისწინოს გასაშენებელი ტერიტორიის რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, განაშენიანების მოცულობით-სივრცული გადაწყვეტის, აგრეთვე ცალკეულ შენობა-ნაგებობათა არქიტექტურის გაუმჯობესება;

განიხილოს, შეათანხმოს, მოამზადოს წინადადებანი და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში დასამტკიცებლად ან შესათანხმებლად წარადგინოს: ქალაქის გენერალური გეგმა, საგარეუბნო ზონისა და დასვენების ზონის განაშენიანების პროექტები, პირველი რიგის მშენებლობის განლაგების პროექტები, ქალაქის სამრეწველო რაიონების განაშენიანების პროექტები, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა, სასაწყობო შენობა-ნაგებობათა (იმ ნაწილში, შეესაბამებიან თუ არა ისინი სახელმწიფო მოთხოვნებს) მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტები, საცხოვრებელი რაიონებისა და მიკრორაიონების დეტალური დაგეგმარების პროექტები და განაშენიანების პროექტები, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა, საინჟინრო მოწყობილობათა, საგზაო მშენებლობის, გარეგანი განათების, კეთილმოწყობისა და გამწვანების პროექტები, აგრეთვე ქალაქის გარეგანი გაფორმების პროექტები და წინადადებანი;

— მონაწილეობა მიიღოს ქალაქის საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავებაში.

— ორგანიზაცია გაუწიოს საპროექტო-საგეგმარო და საძიებო სამუშაოთა შემუშავებას;

— მოაწყოს ქალაქის განაშენიანების წესების შემუშავება და დადგენილი წესით მათი წარდგენა დასამტკიცებლად;

— შეარჩიოს ნაკვეთები, მოამზადოს ქალაქის საბჭოს აღმასკომისათვის დასამტკიცებლად წინადადებანი ქალაქის ტერიტორიაზე ყველა სახეობის მშენებლობისათვის მიწის გამოყოფის შესახებ, პირველი რიგის მშენებლობათა განლაგების დამტკიცებული პროექტების საფუძველზე, აგრეთვე გამოყოს მიწის ნაკვეთები ნატურაში;

— შეიმუშაოს და გასცეს ტექნიკური დოკუმენტაცია და მშენებლობის პასპორტები, აგრეთვე განახორციელოს ზედამხედველობა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა წარმოებისადმი, ამ სამუშაოთა მწარმოებელ ორგანიზაციათა საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად;

— მოამზადოს და გასცეს ქალაქისა და საგარეუბნო ზონის ტერიტორიის ყველა სახეობის მშენებლობის, მათ შორის ტერიტორიის საინჟინრო მომზადებისა და დაგეგმარების სამუშაოთა, რეკონსტრუქციისა და გაფართოების, გზე-

ბის, ხიდებისა და სხვა საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების დაპროექტებისათვის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი და საინჟინრო-ტექნიკური დავალება და მიწის ნაკვეთების პასპორტები, აგრეთვე გამოყოს მიწის ნაკვეთები ნატურაში.

მოაწყოს კონკურსები ქალაქში ასაგებად გათვალისწინებულ უმნიშვნელოვანეს ობიექტთა პროექტებზე, აგრეთვე ტიპობრივ პროექტებზე საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებული პროგრამით;

— ჩაატაროს მაგისტრალების, მოედნების, სანაპიროებისა და ცალკეულ ტერიტორიათა დაგეგმარების, განაშენიანების, კეთილმოწყობის, გარეგნული გაფორმებისა და გამწვანების პროექტების ექსპერტიზა და შეთანხმება, შენობა-ნაგებობათა, ძეგლების, მონუმენტების, არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაციის, აგრეთვე მცირე არქიტექტურული ფორმების, რეკლამების, საზოგადოებრივ შენობათა ინტერიერების პროექტების და შენობა-ნაგებობათა შეღებვის პროექტების ექსპერტიზა და შეთანხმება;

— განახორციელოს კონტროლი და უზრუნველყოს ხელმძღვანელობა ქალაქისა და საგარეუბნო ზონის ყველა სახეობის გარეგანი კეთილმოწყობის, გაფორმებისა და გამწვანების დაპროექტებისა და მშენებლობისადმი. კოორდინაცია გაუწიოს და განაზოგადოს ამ დარგში მუშაობა საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად;

— მოაწყოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რაც დაკავშირებულია ქალაქისა და საგარეუბნო ზონის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შემუშავებასა და განხორციელებასთან, დანერგოს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში დაპროექტებისა და მშენებლობის მოწინავე მეთოდები, ახალი სახეობის კონსტრუქციები და მოსაპირკეთებელი მასალები და ნაკეთობანი.

— შეადგინოს საბინაო-სამოქალაქო და კომუნალური მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა პერსპექტიული გეგმები, სამეცნიერო-საძიებო სამუშაოთა, ექსპერიმენტული და ტიპობრივი დაპროექტების წლიური გეგმები, განაზოგადოს გამოცდილება და სახმშენთან ერთად წარუდგინოს დასამტკიცებლად საქალაქო საბჭოს აღმასკომს;

— განიხილოს და შეათანხმოს ქალაქისა და საგარეუბნო ზონის ტერიტორიაზე არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაციისა და რემონტის, აგრეთვე მომიჯნავე ახალი განაშენიანების და არქიტექტურის ძეგლთა გარშემო მდებარე ნაკვეთების კეთილმოწყობისა და გამწვანების პროექტები (შესაბამისი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მონაწილეობით), და კონტროლი გაუწიოს აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას;

— მოამზადოს წინადადებანი წილობრივი მონაწილეობით ასაგებ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობათა, აგრეთვე კოოპერირებული სარგებლობის ობიექტებისა და ნაგებობათა მშენებლობის შესახებ (გარე საინჟინრო კომუნიკაციები, გზები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, წყალსაღები და საწმენდი ნაგებობანი, რაიონული საქვაბეები და სხვა);

— შეათანხმოს საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობის სატიტულო სიები;

— მოიწვიოს დადგენილი წესით ობათბირები და მოაწყოს გამოფენები ქალაქისა და საგარეუბნო ზონის დაგეგმარების, განაშენიანებისა და არქიტექტურული გაფორმების საკითხებზე;

ქალაქების დაგეგმარებისა და განაშენიანების საკითხების გადაწყვეტისას მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველო ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ხელმძღვანელ ორგანოთა გადაწყვეტილებებითა და მითითებებით, სსრ კავშირის სახმშენის დადგენილებებით, სამშენებლო ნორმებითა და წესებით, ქალაქების განაშენიანების წესებით, სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მითითებებით;

მონაწილეობს საცხოვრებელი მიკრორაიონების, საცხოვრებელი სახლების ჯგუფების, ცალკეულ შენობა-ნაგებობათა საცდელ-საჩვენებელი და ექსპერიმენტული მშენებლობის ორგანიზაციაში;

მონაწილეობს ზედამხედველობის გაწევაში საგარეუბნო ზონის ბუნებრივი ლანდშაფტის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისადმი, აგრეთვე ქალაქის გარეგანი კეთილმოწყობისა და გამწვანების მდგომარეობისადმი კონტროლის გაწევაში;

შეიმუშავებს შესაბამისი ორგანიზაციების მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქალაქო საბჭოს აღმასკომს ქალაქის დაგეგმარების, განაშენიანების, გამწვანების, კეთილმოწყობისა და გარეგნული გაფორმების, გარეგანათების გაუმჯობესების, მშენებლობის ღირებულების შემცირებისა და ხარისხის ამაღლების ღონისძიებებს.

3. ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველო:

— განიხილავს და დაამტკიცებს მისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა გეგმებს, კონტროლს გაუწევს და უზრუნველყოფს მათს შესრულებას;

— განახორციელებს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ღირებულების გაიაფებისა და ხარისხის გაუმჯობესების, ორგანიზაციების რენტაბელობის ღონისძიებებს;

— განახორციელებს ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს ვამგებლობაში მყოფი ორგანიზაციების შემოქმედებითსა და საწარმოო-ტექნიკურ ხელმძღვანელობას;

— შეარჩევს და გაანაწილებს ხელმძღვანელ კადრებს, მათ გარდა ვინც აღნიშნულია ამ დებულების მე-5 პუნქტში, განახორციელებს ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს ორგანიზაციების კადრებით დაკომპლექტების ღონისძიებებს;

— მოაწყობს და კონტროლს გაუწევს ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს სისტემაში საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებას; დამტკიცებს ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციების ანგარიშებსა და ბალანსებს; შეადგენს და ქალაქის საბჭოს აღმასკომს და სხვა ორგანიზაცი-

ებს წარუდგენს დადგენილი წესით პერიოდულ და წლიურ კრებსითს, საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშებსა და ბალანსებს ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს მთელი საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის მიხედვით; განახორციელებს ფინანსურ კონტროლსა და რევიზიებს ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს ორგანიზაციებში.

4. ქალაქის მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელიც ამავე დროს არის ქალაქის მთავარი არქიტექტორი, და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სრულიად საკავშირო მოქმედი დებულებით „ქალაქის მთავარი არქიტექტორის შესახებ“.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით დანიშნავს და გაათავისუფლებს ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, რასაც შემდგომ დაამტკიცებს საქალაქო საბჭოს მორიგი სესია.

5. ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს უფროსის მოადგილეებსა და მთავარ ბუღალტერს, აგრეთვე ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს სამმართველოთა უფროსებსა და საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელ შემადგენლობას დანიშნავს ქალაქის საბჭოს აღმასკომი.

6. ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს უფროსი:

გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, ქალაქის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათს შესასრულებლად და შეამოწმებს მათს შესრულებას;

დანიშნავს და გაათავისუფლებს თანამდებობიდან ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს სამმართველოთა და განყოფილებათა ხელმძღვანელ მუშაკებს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს დადგენილი წესით;

დაამტკიცებს დებულებებს ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს სამმართველოთა და განყოფილებათა შესახებ, ხოლო მისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა დებულებებს დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

7. ქალაქის მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი დასახელებით.

8. ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველო იმყოფება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

9. ყველა იმ შემთხვევაში, რაც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, ქალაქის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველო მოქმედებს არსებული კანონების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 15 სექტემბრის № 485
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წყალსადენისა და კანალიზაციის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს შესახებ

1. თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის მეურნეობის საწარმოო სამმართველო ექვემდებარება როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, და იმყოფება დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე, არის სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმო და სარგებლობს ასეთი საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებით.

წყალსადენის და კანალიზაციის მეურნეობის საწარმოო სამმართველო არის იურიდიული პირი და აქვს საგერბო ბეჭედი.

2. წყალსადენისა და კანალიზაციის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

— უზრუნველყოს ქალაქის წყალსადენების,—კანალიზაციისა და სანიაღვრე მეურნეობის ქსელების და ნაგებობათა სწორი ექსპლოატაცია; წყალსადენის ქსელებზე მიერთებული აბონენტების სასმელი, სამეურნეო და ტექნიკური წყლით მომარაგება და საკანალიზაციო-სანიაღვრე მეურნეობის ქსელებზე მიერთებული აბონენტებისა და კეთილმოწყობის ობიექტების ჩანადენი წყლების გაშვება;

— ხელმძღვანელობა გაუწიოს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს;

— ქალაქის წყალმომარაგების და კანალიზაციის გაუმჯობესების მიზნით აწარმოოს გეგმების შესაბამისად წყალსადენის, კანალიზაციისა და სანიაღვრე მეურნეობის ქსელების და ნაგებობების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, მშენებლობა და რეკონსტრუქცია;

— შეასრულოს დამკვეთის ფუნქცია წყალსადენის, კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის და ნაგებობათა მშენებლობის ხაზით;

— წყლით სარგებლობის წესის შესაბამისად რეალიზაცია უყოს გამომუშავებულ წყალს, განახორციელოს საჭირო ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებანი წყლის დანაკარგების შესამცირებლად;

— აწარმოოს სამმართველოში შემავალი ყველა ობიექტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება;

— უზრუნველყოს რაციონალიზატორულ წინადადებათა, გამოგონებათა და მოწინავე ტექნიკის მიღწევათა დანერგვა და წყალსადენისა და კანალიზაციის ნაგებობათა ავტომატიზაცია

— გაატარის უსაფრთხობის ტექნიკისა და შრომის დაცვის ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალაქის საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაუწესოს წყლის ხარჯვის ლიმიტი, რაც წარუდგინოს დასამტკიცებლად საქალაქო საბჭოს აღმასკომს;

ლიმიტის გადაჭარბებით დახარჯული წყლის ღირებულება გადაახდევინოს აბონენტს მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი ფასით.

3. ძირითადი ფონდის აღსადგენად სამმართველო აწარმოებს საამორტიზაციო დარიცხვებს, რაც ხმარდება ძირითადი ფონდების კაპიტალურ შეკეთებას, მოდერნიზებას, წარმოების საჭირო დეტალების, მოწყობილობის შეძენას და საწარმოს ძირითადი ფონდების განვითარების კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას;

შექმნილ მოგებას სამმართველო ანაწილებს დადგენილი წესის თანახმად, წარმოების ფონდის ხარჯების, ახალი ტექნიკის დანერგვის, მოწყობილობის მოდერნიზების, საბინაო-კულტურული მშენებლობის, საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური შეკეთების საჭიროებისათვის.

4. სამმართველოს განაგებს სამმართველოს უფროსი.

საბჭოს სესიებს შუა პერიოდში აღმასრულებელი კომიტეტი ნიშნავს სამმართველოს უფროსის მოვალეობის ამსრულებელს და გადააყენებს თანამდებობიდან, რაც შემდეგ უნდა დამტკიცდეს საბჭოს მორიგ სესიაზე.

5. წყალსადენისა და კანალიზაციის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი:

— ხელმძღვანელობს წარმოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტას, პასუხისმგებელია წარმოების მდგომარეობისათვის გეგმის შესრულების, კადრების შერჩევისა და შრომის კანონმდებლობის სწორად გატარებისათვის.

— ამტკიცებს სამმართველოს საწარმოო-საფინანსო გეგმებს და პერსპექტიული გეგმების პროექტებს, ანაწილებს ლიმიტებს დაქვემდებარებულ და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებს შორის, აძლევს მათ წლიურსა და კვარტალურ დავალებებს და ხელმძღვანელობს მათს მუშაობას;

— უზრუნველყოფს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელების და ნაგებობათა ნორმალურ მუშაობას სანიტარიული წესების დაცვით. წყლის სწორ აღრიცხვას, დახარჯული წყლის ღირებულების დროულად მიღებას და შესაბამისი განყოფილებების მეშვეობით აწარმოებს ბრძოლას წყლის დანაკარგების აღმოსაფხვრელად;

— აწარმოებს ახალ მშენებლობას, რეკონსტრუქციას და კაპიტალურ შეკეთებას დამტკიცებული სატიტულო სიებისა და ტექნიკური დოკუმენტაციების შესაბამისად, ახალი სიმძლავრეების გადაცემას საექსპლოატაციოდ;

— რაციონალურად იყენებს წარმოების ტექნიკას, მექანიზაციის საშუალებებსა და მატერიალურ მომარაგებას, დასახული გეგმის შესაბამისად წარუდგენს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ტექნიკური ნორმებით დასაბუთებულ განაცხადებს მექანიზმებზე, მასალებსა და მოწყობილობაზე, საექსპლოატაციო, მშენებლობისა და კაპიტალური შეკეთების საჭიროებისათვის. წარმოების რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად დადგენილი ნორმატივის ფარგლებში ქმნის მასალების, დანადგარების მარაგს;

— წარმოების დაფინანსების წყაროების სწორად წარმართვით უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიას, აწარმოებს ბუღალტრულ და სტატისტიკურ აღრიცხვას და აღრიცხვის შედეგებს დაწესებულ ვადაში წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს;

არსებული წესით ანაწილებს საკუთარ საბრუნავ სახსრებს დამოუკიდებელ ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებს შორის;

ახორციელებს მუშა-მოსამსახურეთა თანამდებობრივი განაკვეთების სქემის ფარგლებში ხელფასის გადიდებას, დანამატების გადანაწილებას და მატერიალური დაინტერესების ღონისძიებას შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაბამისად;

— შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს მუშა-მოსამსახურეებს, ნომენკლატურულ თანამდებობის პირთა გარდა;

წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს პერსპექტიულ, წლიურს, კვარტალურ გეგმებს და დამტკიცების შემდეგ აძლევს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შესასრულებლად;

— უდებს მშენებლობის, კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულების, ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის ხელშეკრულებებს საპროექტო და მოიჯარე ორგანიზაციებს;

ხელს აწერს მატერიალურ ფასეულობათა გაცემის მინდობილობებს, საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების ანგარიშებს და ბუღალტრულ ბალანსებს;

— აწარმოებს ოპერაციებს სახელმწიფო ბანკის განყოფილებებთან, სახელმწიფო საწარმოების ურთიერთ ანგარიშსწორების წესის შესაბამისად;

ჩამოწერს წარმოების ბალანსიდან მოძველებულ მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს, ინსტრუმენტებსა და ინვენტარს, შენობებსა და ნაგებობებს, რომლებიც დანგრეულია ახალი ობიექტების მშენებლობის ან რეკონსტრუქციის გამო;

ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით ჩამოწერს ზარალად დებიტორულ დავალიანებას, რომელსაც ძიების ვადა გაუვიდა;

დადებს კოლექტიურ ხელშეკრულებას წყალსადენისა და კანალიზაციის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს გაერთიანებული პროფკავშირის კომიტეტთან და უზრუნველყოფს მის შესრულებას;

გაშლის სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოთა კოლექტივებსა და ცალკეულ ბრიგადებს შორის, შეაჯამებს შედეგებს და დააჯილდოებს შეჯიბრებაში გამარჯვებულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

97 საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე გადასულ კოლმეურნეობის ყოფილ წევრთა შრომის სტაჟის გამოთვლისა და პენსიის დანიშვნის წესის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება „საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე გადასულ კოლმეურნეობის ყოფილ წევრთა შრომის სტაჟის გამოთვლისა და პენსიის დანიშვნის წესის შესახებ“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება „საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე გადასულ კოლმეურნეობის ყოფილ წევრთა მუშაობის სტაჟის გამოთვლისა და პენსიის დანიშვნის წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 10 აპრილის № 201 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 23 სექტემბერი, № 495.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 23 სექტემბრის № 495
დადგენილებით

დებულება

საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე გადასულ კოლმეურნეობის ყოფილ წევრთა სტაჟის გამოთვლისა და პენსიის დანიშვნის წესის შესახებ

I. შრომის სტაჟის გამოთვლა

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 3 მაისის № 495 დადგენილებით დამტკიცებული დებულების „კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნასთან დაკავშირებით, საკოლმეურნეო მიწების და საზოგადოებრივი ქონების საბჭოთა მეურნეობებზე გადაცემისა და კოლმეურნეობის წევრებთან ანგარიშსწორების წესის შესახებ“ მეოთხე პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობამ შეწყვიტა თავისი საქმიანობა კოლმეურნეობის ბაზაზე საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბებასთან, ან მისი მიწების სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებისათვის და ორგანიზაციებისათვის (სატყეო მეურნეობა, სასელექციო სადგური, სხვადასხვა დამხმარე მეურნეობები და ა. შ.)* — გადაცემასთან დაკავშირებით, კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს ჩაეთვლებათ სახელმწიფო პენსიის დასანიშნავად საჭირო შრომის სტაჟში კოლმეურნეობაში განუწყვეტელი მუშაობა დღიდან კოლმეურნეობაში მუშაობის დაწყებისა, მაგრამ არა უადრეს 1939 წლის 1 იანვრისა, შემდეგი პირობების არსებობისას:

ა) თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი საბჭოთა მეურნაობაში გადავიდა მუდმივ სამუშაოზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მიერ კოლმეურნეობის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ კომისიის ანგარიშის დამტკიცებამდე და იმუშავა მეურნეობაში არანაკლებ ერთი წლისა (ამ დებულების მე-5 პუნქტი).

თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოდ ჩაირიცხა ამისათვის დაწესებულ ვადაში, მაგრამ გარდაიცვალა მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის გასვლამდე (ამ დებულების მე-5 პუნქტი), მისი ოჯახის შრომისუნარმოკლებული წევრებისათვის პენსიის დანიშვნის დროს მარჩენალის შრომის სტაჟში ჩაითვლება კოლმეურნეობაში განუწყვეტელი მუშაობა დღიდან კოლმეურნეობაში მუშაობის დაწყებისა, მაგრამ არა უადრეს 1939 წლის 1 იანვრისა, გარდაცვალების დღემდე.

საბჭოთა მეურნეობაში სეზონურ სამუშაოზე დაწესებულ ვადაში ჩარიცხული კოლმეურნეობის ყოფილი წევრები უთანაბრდებიან საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე ჩარიცხულ მუშებს, იმ შემთხვევაში, თუ მათ პირველი ორი სეზონის განმავლობაში გამოიმუშავეს არანაკლებ 120 დღისა.

საბჭოთა მეურნეობაში დროებით მომუშავე კოლმეურნეობის ყოფილ წევრს კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი შრომის სტაჟში არ ჩაეთვლება;

X) შემდგომში დებულებაში საბჭოთა მეურნეობები, სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები ნახსენები იქნება „საბჭოთა მეურნეობად“.

ბ) თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი დაწესებულ ვადაში გადავიდა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე, მაგრამ საპატიო მიზეზის გამო (ავადმყოფობა, საბჭოთა მეურნეობის მიერ სამუშაოს მიუცემლობა) თავის დროზე ვერ შეუდგა მუშაობას, კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი ჩაეთვლება შრომის სტაჟში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარადგენს საპატიო მიზეზის დამადასტურებელ საბუთს საავადმყოფოდან ან საბჭოთა მეურნეობიდან;

გ) კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი ჩაეთვლება შრომის საერთო სტაჟში კოლმეურნეობის იმ ყოფილ წევრებსაც, რომლებიც საბჭოთა მეურნეობაში დაგვიანებით ჩაირიცხნენ საპატიო მიზეზის გამო (სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნა, სამხედრო სამსახური, მივლინება, მუშახელის ორგანიზებული შეგროვების წესით მრეწველობაში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე მუშაობა) თუ აღნიშნულ გარემოებათა დამთავრებიდან ერთი თვის, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღიდან კი 3 თვის ვადაში ჩაირიცხნენ საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოდ;

დ) კოლმეურნეობაში განუწყვეტელი მუშაობა ჩაეთვლებათ შრომის სტაჟში კოლმეურნეობის იმ ყოფილ წევრებსაც, რომელთაც საბჭოთა მეურნეობაში მუშაობა ფაქტიურად დაწყებული აქვთ კოლმეურნეობის გარდაქმნის მომენტიდან, მაგრამ საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის მიზეზით თავის დროზე არ იყვნენ გაფორმებული შესაბამისი ბრძანებით. ამ შემთხვევაში მუშაობის დაწყების ფაქტი დადასტურებულ უნდა იქნეს ტაბელებითა და ხელფასის უწყისებით.

2. კოლმეურნეობის ყოფილი წევრების შრომის სტაჟის დადგენასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს განიხილავს საბჭოთა მეურნეობასთან შექმნილი შრომის სტაჟის დამდგენი კომისია, რომლის გადაწყვეტილებაც ფორმდება სათანადო ოქმით.

შრომის სტაჟის დამდგენი კომისია იქმნება შემდეგი შემადგენლობით: საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროფორგანიზაციის წარმომადგენელი და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო ან სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ან მდივანი.

შრომის სტაჟის დამდგენი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი.

შრომის სტაჟის დამდგენი კომისია მუშაობას შეუდგება ჩამოყალიბებისთანავე, აზუსტებს და ადგენს კოლმეურნეობიდან საბჭოთა მეურნეობაში დაწესებულ ვადაში მუდმივად ჩარიცხულ ყოფილ კოლმეურნეთა სტაჟს და შეწყვეტს თავის საქმიანობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭირო იქნება საპატიო მიზეზით საბჭოთა მეურნეობაში დაგვიანებით ჩარიცხულ (ამ დებულების I პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) ყოფილ კოლმეურნეთა შრომის სტაჟის დადგენა.

შრომის სტაჟის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაცია ვალდებულია კოლმეურნეობის ყოფილ წევრს შრომის სტაჟის დადგენიდან 5 დღის ვადაში შეუვსოს შრომის წიგნაკი და საჭიროების შემთხვევაში მისცეს შრომის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი სათანადო წლების აღნიშვნით.

შრომის სტაჟის დამდგენი კომისია პასუხისმგებელია შრომის სტაჟის დადგენის სისწორისათვის.

კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს, რომლებიც საბჭოთა მეურნეობაში მუშაობას შეუდგნენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ კოლმეურნეობის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ კომისიის ანგარიშის დამტკიცებამდე, შრომის სტაჟში ჩაეთვლებათ მუშაობის შემდეგი პერიოდები:

ა) კოლმეურნეობაში განუწყვეტელი მუშაობის დრო დღიდან კოლმეურნეობაში მუშაობის დაწყებისა (არა უადრეს 1939 წლის 1 იანვრისა) კოლმეურნეობის საქმიანობის შეწყვეტის მომენტამდე.

განუწყვეტელ შრომის სტაჟში არ ჩაითვლება მხოლოდ ის წლები, როდესაც კოლმეურნეს საპატიო მიზეზის გარეშე (კოლმეურნეობაში არსებული დოკუმენტების საფუძველზე) გამომუშავებული არ ჰქონდა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. განუწყვეტელი შრომის სტაჟში არ ჩაითვლება აგრეთვე ის წლები, როდესაც კოლმეურნე სრულიად არ მუშაობდა ან თავს არიდებდა საკოლმეურნეო შრომას, მაგრამ რჩებოდა კოლმეურნეობის წევრად. შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის არასაპატიო მიზეზით გამოუმუშავებლობა არ სწყვეტს კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟს.

ბ) კოლმეურნეობის ყოფილი წევრების კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟი გამოითვლება კოლმეურნეობაში დაცული მასალების ან საარქივო ორგანოების მიერ გაცემული ცნობების და იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს გააჩნიათ (კოლმეურნეობის წევრის პირადი წიგნაკი, შრომადღეების დარიცხვის ბარათი და სხვა).

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტების უქონლობის გამო შეუძლებელია კოლმეურნეობის ყოფილი წევრის ზოგიერთი წლის მუშაობის ფაქტის დადგენა, შრომის სტაჟის დამდგენ კომისიას უფლება აქვს მოწმეთა ჩვენებით დაადგინოს კოლმეურნეობის იმ ყოფილი წევრების შრომის სტაჟი, რომლებიც კოლმეურნეობაში მუშაობის მთელი დროის განმავლობაში ითვლებოდნენ აქტიურ კოლმეურნეებად.

საბჭოთა მეურნეობასთან შექმნილმა შრომის სტაჟის დამდგენმა კომისიამ ამ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 აგვისტოს № 590 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 118 პუნქტით და აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტის 1958 წლის 4 ივნისის № 10 განმარტებით.

კოლმეურნეობის ყოფილი წევრისათვის მოწმეთა ჩვენებით შრომის სტაჟის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 17 ოქტომბრის № 859 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ) 52 პუნქტის თანახმად მოწმეთა დაკითხვით კოლმეურნეობაში მუშაობის ხანგრძლივობის დადგენა 1965 წლამდე შეზღუდული არ არის რაიმე ვადით. ამიტომ კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს მოწმეთა ჩვენებით შეიძლება დაედგინოთ პენსიის დასანიშნავად საჭირო შრომის სტაჟის ნახევარზე მეტიც;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) კოლმეურნეობიდან გასულ წევრს შრომის უწყვეტ სტაჟში ჩაეთვლება მხოლოდ კოლმეურნეობაში დაბრუნების შემდგომი პერიოდი.

ასევე, გამოითვლება იმ ყოფილ კოლმეურნეთა შრომის სტაჟი, რომელთაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში (2 ან მეტი წელი) სრულიად არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში არასაპატიო მიზეზის გამო, მაგრამ ითვლებოდნენ კოლმეურნეობის წევრებად.

ე) ვინაიდან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გამომუშავება დაწესებულია მხოლოდ კოლმეურნეობის შრომისუნარიანი წევრებისათვის, კოლმეურნეობის წევრს მოხუცებულობის პერიოდში კოლმეურნეობაში მუშაობის დრო ჩაეთვლება სტაჟში, მიუხედავად იმისა, გამომუშავებული ჰქონდა თუ არა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. ასევე ჩაეთვლებათ შრომის სტაჟში კოლმეურნეობაში მუშაობა იმ ყოფილ კოლმეურნეებს, რომლებმაც გარკვეულ პერიოდში საპატიო მიზეზით, მაგალითად: ინვალიდობის, ავადმყოფობის, ორსულობის, ჩვილბავშვიანობის (ბავშვის 1 წლის შესრულებამდე) გამო ვერ გამოიმუშავეს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი;

ვ) შრომის სტაჟში ჩაითვლება როგორც საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნილ კოლმეურნეობაში მუშაობის, ასევე სხვა კოლმეურნეობაში განუწყვეტელი მუშაობის დრო, რომელშიც კოლმეურნეობის წევრი ადრე მუშაობდა, იმ პირობით, თუ იქ გამომუშავებული ჰქონდა კოლმეურნეობის წესდებით დაწესებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

თუ კოლმეურნეობის წევრი მუშახელის ორგანიზებული შეგროვების წესით გადასახლდა ახალ საცხოვრებელ ადგილას და დღიდან ჩასახლებისა სამი თვის ვადაში (მგზავრობისათვის საჭირო დროის ჩაუთვლელად) დაიწყო მუშაობა საბჭოთა მეურნეობაში, მას შრომის სტაჟში ჩაეთვლება იმ კოლმეურნეობაში განუწყვეტლად ნამუშევარი წლები (არა უადრეს 1939 წლისა), სადაც იგი მუშაობდა ჩამოსახლებამდე, თუ გამომუშავებული ჰქონდა შრომადღეების მინიმუმი.

3. გარდა კოლმეურნეობაში მუშაობისა, კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს შრომის სტაჟში ჩაეთვლებათ აგრეთვე:

ა) სამსახური საბჭოთა არმიის რიგებში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში, შინაგან და სასაზღვრო ჯარებში;

ბ) მუშაობა არჩევითს თანამდებობებზე;

გ) მრეწველობაში და მშენებლობაზე მუშაობა, თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი გაგზავნილი იყო სამუშაოდ მუშახელის ორგანიზებული შეგროვების წესით;

დ) მუშად და მოსამსახურედ მუშაობა, აგრეთვე სხვა საქმიანობა, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 109 პუნქტით.

„ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული პერიოდები არა მარტო ჩაითვლება შრომის სტაჟში, არამედ სტაჟსაც არ სწყვეტს.

4. შრომის სტაჟში არ ჩაეთვლებათ კოლმეურნეობაში მუშაობის დრო კოლმეურნეობის იმ ყოფილ წევრებს, რომლებიც გავიდნენ კოლმეურნეობიდან კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნამდე ან გარდაქმნის მომენტში.

კოლმეურნეობაში მუშაობის დრო არ ჩაეთვლებათ შრომის სტაჟში აგრეთვე კოლმეურნეობის იმ წევრებს, რომლებმაც საბჭოთა მეურნეობაში მუდმივად დაიწყეს მუშაობა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ კოლმეურნეობის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ.

5. თუ საბჭოთა მეურნეობის მუშამ, ყოფილმა კოლმეურნემ კალენდარული წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობაში იმუშავა: მამაკაცმა არანაკლებ 120 დღისა, ხოლო ქალმა — 110 დღისა, მათ ეს ნამუშევარი ჩაეთვლებათ ერთი წლის შრომის სტაჟად. დანარჩენ შემთხვევებში შრომის სტაჟის გამოთვლა მოხდება ფაქტიური ხანგრძლივობის მიხედვით. წლის განმავლობაში გამომუშავებული დღეების საერთო ჯამის 25,4-ზე გაყოფით მიიღება ნამუშევარი თვეების რიცხვი.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მეურნეობის დირექცია ვალდებულია აწარმოოს თითოეული მუშის მიერ გამომუშავებული დღეების და ხელფასის აღრიცხვა ყოველი წლისა და თვეების მიხედვით. ეს მასალები მეურნეობის არქივში მუდმივად უნდა ინახებოდეს.

6. პენსიების დანიშვნელი კომისია ვალდებულია შეამოწმოს საბჭოთა მეურნეობასთან არსებული შრომის სტაჟის დამდგენი კომისიის მიერ დადგენილი შრომის სტაჟის სისწორე და თუ აღმოჩნდება, რომ კოლმეურნეობის ყოფილი წევრის შრომის სტაჟი დადგენილია არსებული წესის დარღვევით, უფლება აქვს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომში გაასაჩივროს შრომის სტაჟის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილება.

თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი არ ეთანხმება შრომის სტაჟის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

II. პენსიების დანიშვნა და გამოანგარიშება

7. კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს, რომლებიც საბჭოთა მეურნეობაში გადავიდნენ მუდმივ სამუშაოდ, შეიძლება დაენიშნოთ სახელმწიფო პენსია მოხუცებულობის, ინვალიდობის და მარჩენალის გარდაცვალების გამო იმ წესების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 აგვისტოს № 590 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულებით.

8. სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 116 პუნქტის შესაბამისად, განუწყვეტელი შრომის სტაჟად ითვლება მუშებისა და მოსამსახურეების განუწყვეტელი მუშაობა მხოლოდ წარმოება-დაწესებულებაში. კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი არ ეთვლებათ უწყვეტ შრომის სტაჟში, ამიტომ კოლმეურნეობაში უწყვეტი სტაჟი არ იძლევა დანამატის მიღების უფლებას. აღნიშნული დანამატი დაუწესდებათ მხოლოდ კოლმეურნეობის იმ ყოფილ წევრებს, რომელთაც გააჩნიათ

მუშად ან მოსამსახურედ მუშაობის უწყვეტი შრომის სტაჟი — კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდის ჩაუთვლელად.

მაძაკაცებს — 35 წელზე მეტი, ხოლო ქალებს — 30 წელზე მეტი მუშაობის საერთო სტაჟისათვის დანამატის დასაწესებლად შრომის სტაჟში ჩაეთვლებათ როგორც წარმოება-დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, ისე კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი.

9. კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს პენსია გამოუანგარიშდებათ საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავებიდან, რასაც ისინი იღებდნენ საბჭოთა მეურნეობაში პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე.

10. კოლმეურნეობის ყოფილი წევრების საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავების დასადგენად აღებულ უნდა იქნას სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 122, 123 და 125 პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდები.

თორმეტი თვის საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავების დასადგენად აიღება საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის უკანასკნელი 12 თვის გამომუშავება, რომელიც გაიყოფა 12-ზე.

სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 122, 123 და 125 პუნქტების შესაბამისად საშუალო თვიური გამომუშავების გამოანგარიშებისას ის თვეები, რომელთა განმავლობაში მუშაკი ფაქტიურად არ მუშაობდა ან არასრული რაოდენობით გამოიმუშავა სამუშაო დღეები, უნდა ამორიცხულ იქნას გაანგარიშებიდან და შეიცვალოს სხვა თვეებით, რომლებიც უშუალოდ წინ უძღოდნენ.

ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ პენსიის დასანიშნავად საშუალო თვიური ხელფასის გამოანგარიშების დროს გაანგარიშებიდან გამოირიცხება და შეიცვლება სხვა თვეებით მხოლოდ ის თვეები, როდესაც სამუშაოზე გამოუსვლელობას ადგილი ჰქონდა ავადმყოფობის, შვებულების და სამუშაოდან განთავისუფლების სხვა შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

თვეები, რომელთა განმავლობაში მუშაკი ფაქტიურად არ მუშაობდა, ან იმუშავა სამუშაო დღეთა არასრული რაოდენობა სხვა მიზეზების გამო, არ გამოირიცხება გაანგარიშებიდან და არ შეიცვლება სხვა თვეებით.

თვეები, რომელთა განმავლობაში მუშაკი ფაქტიურად არ მუშაობდა ან არასრული რაოდენობით გამოიმუშავა სამუშაო დღეები საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის მიერ სამუშაოს მიუცემლობის გამო, გაანგარიშებიდან ამოირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა მეურნეობამ მუშაკს სამუშაოს მიუცემლობისათვის აუნაზღაურა განაცდური.

11. თუ კოლმეურნეობის ყოფილმა წევრმა საბჭოთა მეურნეობაში ერთ თვეზე ნაკლები იმუშავა, დასახიჩრებით და მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნის დროს მთელი ნამუშევარი დროის გამომუშავება გაიყოფა ნამუშევარი დღეების რიცხვზე და მიღებული თანხა გამრავლდება 25,4-ზე. ამ შემთხვევაში გამომუშავება, რომლის მიხედვითაც იანგარიშება პენსია, არ შეიძლება აღემატებოდეს მოცემული მუშაკის სატარიფო განაკვეთის ერთ-ნახევარ ოდენობას.

12. თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრისათვის არ არის ხელსაყრელი პენსიის ოდენობა განისაზღვროს საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის უკანასკნელი 12 თვის ხელფასიდან, მისი სურვილით პენსიის გამოსაანგარიშებლად შესაძლებელია აღებულ იქნას საბჭოთა მეურნეობაში მიღებული საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავება ყოველი 5 წლისა ზედიზედ იმ უკანასკნელი 10 წლიდან, რაც გავიდა პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე. აღნიშნულ 5-წლიან პერიოდში დაიშვება მუშაობის წყვეტები საერთო ჯამით არა უმეტეს 12 თვისა.

13. თუ საბჭოთა მეურნეობის მუშას საპენსიო ასაკის შესრულების თვეში (55-60 წლის) ფაქტიურად არ ჰქონდა გამომუშავებული დღეები, იგი არ კარგავს უფლებას მიიღოს მოხუცებულობის პენსია არასრული სტაჟით, თუ ითვლებოდა მეურნეობის შტატში და არ იყო განთავისუფლებული სამუშაოდან ბრძანებით.

14. თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნამდე იღებდა საკოლმეურნეო პენსიას და დაწესებულ ვადაში ჩაირიცხა საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე, სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებას მოიპოვებს საბჭოთა მეურნეობაში ერთი წლის (120 დღის) მუშაობის შემდეგ.

15. თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი კოლმეურნეობის რეორგანიზაციის შემდეგ არ ჩაირიცხა საბჭოთა მეურნეობაში ან ჩაირიცხა დაგვიანებით და არა აქვს სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება, მას შეიძლება დაენიშნოს საკოლმეურნეო პენსია თუ რეორგანიზაციის მომენტში ითვლებოდა კოლმეურნეობის წევრად და პენსიის დასანიშნავად მომართვის დროისათვის აქვს ასაკის შესაბამისი შრომის სტაჟი. ასეთ შემთხვევაში, ყოფილ კოლმეურნეს სტაჟში ჩაეთვლება როგორც კოლმეურნეობაში, ისე საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის პერიოდები.

---

98 „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ ინსტრუქციაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1971 წლის 20 აგვისტოს № 587 დადგენილებით დაამტკიცა დებულება „სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ გვარის, სახელისა და მამის სახელის გამოცვლის შესახებ შუამდგომლობათა განხილვის წესის თაობაზე,“ ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 9 მარტის № 133 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სს რეპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ ინსტრუქციის VIII თავი.

2. იმის გამო, რომ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მმაჩის ორგანოებისადმი საერთო და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას ახორციელებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ზემოაღნიშნული ინსტრუქციის 123, 127, 129, 130, 132 პუნქტებში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

ა) 123 პუნქტის II აბზაცის სიტყვები „აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის იუსტიციის განყოფილებას,“ შეიცვალოს სიტყვებით: „აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს“, ხოლო ამავე პუნქტის მე-3 აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „იუსტიციის“.

ბ) 127 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სიტყვები „აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებში, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებაში“ შეიცვალოს სიტყვებით: „აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებში, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში“.

გ) 129 პუნქტის I აბზაცის სიტყვები „აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებას“ შეიცვალოს სიტყვებით: „აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს“, ხოლო II აბზაცის სიტყვები „აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება“ შეიცვალოს სიტყვებით: „აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) 130 პუნქტის სიტყვები „აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის იუსტიციის განყოფილებას“ შეიცვალოს სიტყვებით: „აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს“.

ე) 132 პუნქტის მე-2 აბზაცის სიტყვები „აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების“ შეიცვალოს სიტყვებით: „აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 25 სექტემბერი, № 497

99 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 21 ივლისის № 542 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 21 ივლისის № 542 დადგენილების თანახმად, რომელიც მიღებულია „საავადმყოფოებსა და ჩვილ ბავშვთა სახლებში კვების ხარჯების ნორმების გადიდებისა, აგრეთვე საავადმყოფოების სისხლძარღვთა და გულმკერდის დაავადებათა განყოფილებებში მედიკამენტების შეძენის ხარჯების ნორმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 10 ნოემბრის № 826 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 21 ივლისის № 542 დადგენილებით ძალადაკარგულად არის მიჩნეული პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რველი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 დეკემბრის № 976 დადგენილებისა „ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებსა და ჩვილ ბავშვთა სახლებში ბავშვთა კვების ხარჯების ნორმების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 29 სექტემბერი, № 507.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 29 სექტემბრის № 507
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 21 ივლისის № 542 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. „ბავშვთა დაწესებულებებისა და სამშობიარო სახლების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 12 ივლისის № 792 დადგენილების მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, აგრეთვე ამ დადგენილების № 3 დანართის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ჩვილ ბავშვთა სახლებში ბავშვთა კვების ნორმებს.

2. „ჩვილ ბავშვთა სახლებში ბავშვების მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 4 დეკემბრის № 1694 დადგენილების მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 12 მარტის № 289 განკარგულება.

4. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილების № 6 დანართის ის ნაწილი, რომელიც შეეხება საავადმყოფო დაწესებულებების სისხლძარღვთა და გულმკერდის დაავადებათა განყოფილებებში მედიკამენტების შეძენის ხარჯების ნორმებს.

100 მივლინებათა მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მიიღონ ქმედითი ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოსაფხვრელად და მივლინებათა მოსაწესრიგებლად.

2. რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელებმა:

ა) კატეგორიულად აკრძალონ მუშაკთა გამგზავრება მივლინებაში ზემდგომი ორგანოების მიერ გამოძახებისა და ნებართვის გარეშე, გარდა იმ მივლინებებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებებით;

ბ) პირადად განიხილონ და გადაწყვიტონ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მუშაკთა მივლინების და საქვეუწყებო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მათი გამოძახების აუცილებლობის, აგრეთვე მივლინების ვადის განსაზღვრის საკითხები;

გ) მივლინების ვადის გაგრძელება დაუშვან მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის დროს სამინისტროთა, უწყებათა, ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების ან მათი მოადგილეების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვით და შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების თანხმობით.

3. დაწესდეს, რომ რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, უწყების, ცენტრალური დაწესებულების მუშაკები, რომლებიც მივლინებული არიან ქალაქ მოსკოვში, ვალდებული არიან წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობას სამივლინებო მოწმობები რეგისტრაციისა და ჩასვლა-გამგზავრების დღის აღნიშვნისათვის.

სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთავარმა (უფროსმა) ბუღალტრებმა არ მიიღონ მივლინებულ პირთაგან საავანსო ანგარიშები მივლინების მოწმობაზე მუდმივი წარმომადგენლობის მიერ სათანადო აღნიშვნის გარეშე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმა წარმომადგენლობამ მოაწყოს რესპუბლიკიდან მოსკოვში მივლინებულ მუშაკთა რეგისტრაცია.

4. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მივლინებაში გაემგზავრონ მხოლოდ სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელობის ნებართვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 3 ოქტომბერი, № 511.

101 ნადირობის წესების დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ბრძოლა ნადირობის წესების დარღვევებთან, გაუმჯობესდეს სასარგებლო ნადირის, გარეული ფრინველის დაცვა და შესრულდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 25 ივლისის გრძანებულება „ნადირობის წესების დარღვევისათვის დაჯარიმების წესის შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 ივლისის № 529 დადგენილება „ნადირობის წესების დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ნადირობის წესების დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერებისა და სასარგებლო ნადირისა და გარეული ფრინველის დაცვის უზრუნველყოფისათვის სამონადირეო სავარგულებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს არ დაუშვას, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებმა და ატელიეებმა გადასამუშავებლად და შესაღებად მიიღონ ცალკეული მოქალაქეებისაგან გამოუქნელი, აგრეთვე გამოქნილი, მაგრამ სახელმწიფო დამღა (შტამპი) დაუსმელი ბეწვიანი ნადირის ტყავი, რომელიც კანონმდებლობის თანახმად აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს.

3. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ადმინისტრაციული წესით დააჯარიმოს ნადირობის წესების დამრღვევნი ადმინისტრაციულ კომისიებში მიუმართავად.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შესატანად წინადადებანი ნადირობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასადები ჯარიმების ოდენობის გადიდების შესახებ, აგრეთვე წინადადებანი იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც ბოროტად არღვევენ ნადირობის წესებს (კლავენ ჩლიქოსანს, ძვირფას ბეწვიან ნადირს, უკანონოდ ნადირობენ ცხოველებზე აღკვეთილებსა და ნაკრძალებში. წინააღმდეგობას უწევენ ნადირობის ზედამხედველობის ორგანოებს და სხვ.).

5. დაევალოთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს უზრუნველყონ მილიციისა და სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის ორგანოების უფრო მტკიცე ურთიერთმოქმედება ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა მაქსიმალურად გამოვლინდეს ნადირობის წესების დარღვევის, ბეწვეულის უკანონო შესყიდვის, გაყიდვისა და გადამუშავების ფაქტები, აგრეთვე შესრულდეს სანადირო იარაღის, დასაჭერ-სანადირო საშუალებათა, უკანონო ნადავლის, ბრაკონიერობის მიზნით გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებათა კონფისკაციის სანქციები; მოაწყონ ერთობლივი რეიდები სამონადირეო მეურნეობებში ნადირობის წესების დარღვევებთან საბრძოლველად.

ი. შემოღებულ იქნეს ყველა სამინისტროს, უწყებისა და მონადირეთა საზოგადოებების სამონადირეო მეურნეობის მუშაკებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ნადირობის წესების დაცვის ზედამხედველობას, ფორმის ტანსაცმელი, რაც გათვალისწინებულია ეგერებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 მაისის № 478 დადგენილებით „სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ფორმის ტანსაცმელი მიეცეს:

— ეგერებს, ტყის მცველებს, ტყის მცველ-ეგერებს — უფასოდ;

— სამონადირეო მეურნეობათა უფროს ეგერებს, ტყის მცველ — უფროს ეგერებს, უბნის ტექნიკოს-მეტყევეებს — ღირებულების 50 პროცენტის ფასდაკლებით და დანარჩენი თანხის გადახდის განვადებით ფორმის ტანსაცმლის ხმარების ვადის განმავლობაში;

— სამონადირეო მეურნეობის დანარჩენ მუშაკებს, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას ნადირობის წესების დაცვისადმი, — ფასის გადახდით.

ნებაყოფლობით საზოგადოებათა სამონადირეო მეურნეობის მუშაკებისათვის ფორმის ტანსაცმლის უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მიცემის ხარჯების ანაზღაურება მოხდეს ამ საზოგადოებათა სახსრების ხარჯზე, ხოლო სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობათა მუშაკებისა — ამ მეურნეობათა საკუთარი სახსრების ზეგეგმითი შემოსავლის და ზეგეგმითი მოგების, აგრეთვე სპეციალური ფონდების ხარჯზე (ეკონომიური სტიმულირების ფონდის გარდა).

7. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს განსაზღვრონ ფორმის ტანსაცმლის შეკერვის მოცულობა და წარუდგინონ შეკერვის განაცხადები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ ფორმის ტანსაცმლის შეკერვის დაკვეთები გაანაწილოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს შორის და უზრუნველყოს ეს საწარმოები შესაკერად საჭირო სათანადო მასალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყოს სამონადირეო მეურნეობის მუშაკთა ფორმის ტანსაცმლის შეკერვა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის თანახმად.

8. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარმოადგინოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 ივლისის № 529 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 12 ოქტომბერი, № 529.

102 საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის შუამდგომლობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 აპრილის № 221 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

ა) წესდების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს თეატრალური საზოგადოება არის საზოგადოებრივი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების მუშაკებს, ხელს უწყობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებას, ცნობილ თეატრალურ მოღვაწეთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის ათვისებას“.

ბ) მესამე პუნქტის უკანასკნელ აბზაცში სიტყვა „პენსიების“ წინ დაემატოს სიტყვა „პერსონალური“;

გ) მესამე პუნქტს დაემატოს ახალი აბზაცი:

„წარადგენს ზემდგომ ორგანოებში წინადადებებს ცნობილ თეატრალურ მოღვაწეთა სახელის უკვდავსაყოფად (ძეგლებისა და ბიუსტების დადგმა, მემორიალური დაფების გაკეთება და სხვა)“;

დ) მერვე პუნქტს დაემატოს ახალი აბზაცი:

„პერსონალური პენსიონერები საწევრო გადასახადს წელიწადში იხდიან ერთ მანეთს, ხოლო ის პენსიონერები, რომლებიც ხელფასსაც იღებენ, საერთო თანხიდან.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 13 ოქტომბერი, № 532.

103 სამინისტროებში, უწყებებსა და სამეურნეო მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 ივლისის № 501 და 1964 წლის 31 მარტის № 204 დადგენილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებანი გარკვეულ მუშაობას ეწევიან საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და მათ მიერ საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის განხორციელებისათვის.

ამასთანავე საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა, რასაც მთელი რიგი სამინისტროები და უწყებანი ახორციელებენ, ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, მის ორგანიზაციასა და განხორციელებას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში საკონტროლო-სარევიზიო აპარატი დაკომპლექტებულია არაკვალიფიციური მუშაკებით.

საუწყებო კონტროლი არ ავლენს თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლების რეზერვებს, არ ამჟღავნებს და დროულად არ აღკვეთს საგეგმო-საფინანსო დისციპლინის დარღვევის და ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაში არსებულ ზედმეტობათა ფაქტებს. საუწყებო კონტროლის აპარატის მიერ მოწყობილი რევიზიები ხშირად ზერელედ ტარდება, რის გამოც მათი შედეგები საჭირო ზემოქმედებას ვერ ახდენენ საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა მუშაობაზე.

მოწყობილი რევიზიები ზოგჯერ არაეფექტურია იმის გამოც, რომ მათ მიერ გამოვლინებული დარღვევების ფაქტები არ არის ასახული სამინისტროებისა და უწყებების ბრძანებებში, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას არადამაკმაყოფილებელ კონტროლს უწევენ.

რევიზიის შედეგებს ხშირად განიხილავენ დაგვიანებით, ხოლო მათი განხილვის შემდეგ არ იღებენ ჯეროვან ზომებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სამინისტროთა და უწყებათა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის საქმიანობაზე უარყოფითს გავლენას ახდენს ის, რომ არ წარმოებს საუწყებო კონტროლის ორგანოებისა და საფინანსო ორგანოების მუშაობის, აგრეთვე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურის, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოების მუშაობის კოორდინაცია.

სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მთელ რიგ საწარმოებში, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადე-

ბელ ორგანიზაციებში კვლავინდებურად არის გაფლანგვა-დატაცების ფაქტები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში არ ავლენს საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო აპარატი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს პირადი პასუხისმგებლობით:

— მიიღონ ეფექტიანი ზომები საუწყებო კონტროლის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყონ რევიზიების მაღალკვალიფიციურად მოწყობა საწარმოებსა და ორგანიზაციებში წელიწადში სულ ცოტა ერთხელ მაინც;

— დროულად განიხილონ რევიზიის შედეგები და მიიღონ გადამჭრელი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და დამნაშავეთა დასასჯელად; რევიზიისა და შემოწმების შედეგები აცნობონ შემოწმებული ობიექტების კოლექტივებს;

— დააკომპლექტონ საკონტროლო-სარევიზიო აპარატი საჭირო რაოდენობის რევიზორებით ცენტრალური აპარატის საერთო რიცხოვნობისა და თვიური ხელფასის ფონდის ანგარიშში, განამტკიცონ ეს აპარატი ისეთი კადრებით, რომლებთაც აქვთ მუშაობის გამოცდილება სპეციალობის მიხედვით და უნარი შესწევთ განახორციელონ კონტროლი საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი;

— აამაღლონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების, მატერიალური რესურსების ხარჯვისა და მათი დაცვა-შენახვის სახელმწიფოებრივი დისციპლინის უმკაცრესი დაცვისათვის;

— მიიღონ ზომები, რათა ამაღლდეს მთავარი (უფროსი) ბუღალტრების როლი როგორც სახელმწიფო კონტროლიორებისა უშუალოდ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, განამტკიცონ ეს დიდმნიშვნელოვანი უბანი კვალიფიციური კადრებით, სრულყონ პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების ფორმები და აამაღლონ მათი საკონტროლო მნიშვნელობა;

2. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

— უზრუნველყონ საჭირო ღონისძიებათა განხორციელება საუწყებო საფინანსო კონტროლის ძირეული გაუმჯობესებისათვის;

— აამაღლონ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, რომლებიც განაგებენ საკონტროლო სამსახურს, საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ჯეროვან დონეზე დაყენებისათვის;

— მკაცრად დასაჯონ, თანამდებობის მიუხედავად, ყველა ის პირი, ვინც ხელს უწყობს დანაშაულს ან მფარველობს დამნაშავეებს, თანამდებობიდანაც კი მოხსნან ისინი და მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს სსრ ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს განამტკიცონ საკონტროლო-სარევიზიო აპარატი, მკვეთრად გააუმჯობესონ მისი მუშაობა, შეიმუშაონ ამ მიზნით საჭირო ღონისძიებანი და მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 1 მარტისათვის.

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა სისტემატურად შეამოწმონ საუწყებო კონტროლის მდგომარეობა რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. დამტკიცდეს თანდართული დებულება საუწყებო კონტროლისა და სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 16 ოქტომბერი, № 537.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 16 ოქტომბრის № 537
დადგენილებით

დებულება

საუწყებო კონტროლისა და სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიების შესახებ

1. ეს დებულება მტკიცდება იმ მიზნით, რომ განუხრელად შესრულდეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სახელმწიფო დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე კონტროლის გაძლიერების შესახებ,

2. საუწყებო კონტროლის ძირითადი ამოცანებია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მაქსიმალური ამაღლება, შინაგანი რეზერვების გამოვლინება და გამოყენება და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ძირითადი ფონდების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება, უნაყოფო ხარჯებისა და დანაკარგების აღმოფხვრა, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა, გადამწყვეტი ბრძოლა უყაირათობასთან, მფლანგველობასთან და ზედმეტობასთან, სახელმწიფო ქონების დატაცებასთან და სხვა დანაშაულობასა და დარღვევებთან.

3. საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებანი აწყობენ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას თავიანთ სისტემებში, უზრუნველყოფენ რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვისა და ხარჯვის შემოწმებას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, ახორციელებენ კონტროლს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებისა და უტყუარობისადმი, აგრეთვე ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დაცვისა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის.

4. საუწყებო კონტროლის განხორციელებისა და რევიზია-შემოწმებების მოსაწყობად სამინისტროებსა და უწყებებში, მთავარ სამმართველოებში, სამმართველოებში, საწარმოო გაერთიანებებში, კომბინატებში, ტრესტებსა და ფირმებში იქმნება საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოები (განყოფილებები).

საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელობა ეკისრება უშუალოდ მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს, მთავარი სამმართველოების (სამმართველოების) უფროსებს, საწარმოო გაერთიანებათა, კომბინატების, ტრესტების, ფირმების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სამმართველოების (განყოფილებების) ხელმძღვანელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარევიზიო აპარატის საშტატო რაოდენობას სამინისტროს, უწყების სისტემაში განსაზღვრავს მინისტრი ან უწყების ხელმძღვანელი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 ივლისის № 501 დადგენილების თანახმად.

სარევიზიო აპარატის შტატში წესდება უფროს სპეციალისტთა და სპეციალისტთა თანამდებობანი: რევიზორები, ბუღალტერ-რევიზორები, ეკონომისტები, ეკონომისტ-ბუღალტრები, ინჟინრები და სხვები.

რევიზიები და შემოწმებები დაინიშნება მხოლოდ სამინისტროს და უწყების ხელმძღვანელთა წერილობითი განკარგულებით შესამოწმებელი ობიექტების, შემოწმების მიზნისა და ვადის სავალდებულო აღნიშვნით.

5. საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიები ეწყობა კომპლექსურად სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, ხოლო იმ ორგანიზაციებში, რომლებიც არ ახორციელებენ სამეურნეო ოპერაციებს, — სულ ცოტა ორ წელიწადში ერთხელ. რევიზიებს ატარებენ შტატის რევიზორები სხვა დარგობრივი ქვედანაყოფების სპეციალისტთა მონაწილეობით.

გეგმისგარეშე რევიზიები და შემოწმებანი ეწყობა პირველ რიგში იმ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც უყაირათოდ მუშაობენ, რომლებსაც აქვთ ეკონომიური და ფინანსური მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები, არ ასრულებენ სახელმწიფო გეგმას და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.

კომპლექსური რევიზიების ხელმძღვანელობა ეკისრება სამინისტროთა, უწყებათა, მთავარ სამმართველოთა (სამმართველოთა), საწარმოო გაერთიანებათა, ტრესტების, ფირმების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სამმართველოთა (განყოფილებათა) საკონტროლო-სარევიზიო აპარატის გამოცდილ მუშაკებს.

საჭირო შემთხვევაში რევიზიები და შემოწმებანი ტარდება სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საწარმო-ორგანიზაციათა მუშაკების აქტივის მონაწილეობით.

6. რევიზიებსა და შემოწმებებს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დანიშნავს ბრძანებით ან წერილობითი განკარგულებით ხელმძღვანელი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს საუწყებო კონტროლს, და ხორციელდება მის მიერ დამტკიცებული პროგრამით.

სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნით დანიშნული რევიზიები და შემოწმებანი ტარდება მხოლოდ ამ ორგანოთა პროგრამით.

რევიზორთა და სხვა სპეციალისტთა რაოდენობა, რომელთაც ევალებათ რევიზიის მოწყობა, განისაზღვრება რევიზიის მოცულობით და იმის გათვალისწინებით, რომ რევიზია ჩატარდეს არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში. რევიზიის ჩატარების ვადის გაგრძელების ნებართვა შეუძლია გასცეს მხოლოდ იმ ხელმძღვანელმა, რომელმაც დანიშნა ეს რევიზია, ხოლო სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოთა მოთხოვნით ჩატარებული რევიზიებისა — ამ ორგანოთა თანხმობით.

7. საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა ხორციელდება წლიური და ცალკე კვარტალური გეგმებით, იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს რევიზიების მოწყობის პერიოდულობის დაცვა. საჭირო შემთხვევაში შეიძლება დანიშნულ იქნეს გეგმისგარეშე რევიზია.

წლიური გეგმები კვარტალობრივი დაყოფით, აგრეთვე გაწეული მუშაობის წლიური და ნახევარწლიური ანგარიშები ცნობისათვის წარედგინება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს. გეგმებში შეტანილი ცვლილებანი ეცნობება დამატებით.

8. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიების დროს შემოწმდება:

— სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის მდგომარეობა, სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის და მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის დაცვა, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვის სისწორე;

— დაწესებული საწარმოო და საფინანსო გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და სახელმწიფოს წინაშე საფინანსო ვალდებულებათა შესრულება.

— წარმოების ორგანიზაცია, საგეგმო-ეკონომიური მუშაობის მდგომარეობა, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების დავალების შესრულება და წარმოების ზრდისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირების ღონისძიებათა განხორციელება;

— ნედლეულისა და მასალების, ხელფასის ფონდისა და პროდუქციის წარმოებაზე გაწეული სხვა ხარჯების, დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების მიხედვით სახსრების გამოყენების დაგეგმვისა და ხარჯვის ნორმირების სისწორე, საფინანსო შედეგების დაგეგმვის სისწორე, ფულადი სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერისა და ბუნებრივი კლების ნორმების გამოყენების სისწორე;

— საკასო ოპერაციების წარმოების დადგენილი წესისა და საკასო დისციპლინის დაცვა; საბანკო ამონაწერებში ჩანაწერების შესაბამისობა ბანკის დადაწესებულებებში შენახული დოკუმენტების ორიგინალებთან;

— სპეციალური და წამახალისებელი ფონდების შექმნისა და გამოყენების სისწორე;

— ფასების, ტარიფების, ფასნამატისა და ფასდაკლების დადგენისა და გამოყენების, ფასწარმოქმნის მოქმედი წესის დაცვის სისწორე;

— სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობების, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვა; პროდუქციის, სამუშაოთა და მომსახურების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესრულება;

— ნედლეულის, მასალების, მოწყობილობისა და ინვენტარის, ნახევარფაბრიკატების, მზა პროდუქციისა და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შენახვისა და გამოყენების სისწორე; სასაწყობო მეურნეობისა და საკონტროლო-საშვებ სისტემათა ორგანიზაცია;

— ნედლეულისა და მასალების, ხელფასის ფონდის გადახარჯვის, წუნის, დანაკარგებისა და უნაყოფო ხარჯების მიზეზების გამოვლინება;

— სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების ფაქტიური ოდენობის შესაბამისობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებთან;

— ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში აღრიცხვის პროგრესული ფორმების დანერგვის სამუშაოების მდგომარეობა;

— პირველადი აღრიცხვის, საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების ორგანიზაცია, წარმოების სისწორე და უტყუარობა;

— პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა, ზემდგომ ორგანოთა ბრძანებების, გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა შესრულება, სოციალისტური კანონიერების დაცვა, მშრომელთა წერილების (განცხადებებისა და საჩივრების) განხილვის მდგომარეობა, აგრეთვე წინა რევიზიებისა და შემოწმებათა შედეგების საფუძველზე მიღებულ წინადადებათა შესრულება.

გარდა ამისა შემოწმდება ის საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებათა ინსტრუქციებითა და ნორმატიული დოკუმენტებით.

9. რევიზიებისა და შემოწმებების დროს რევიზორს უფლება აქვს:

— შეამოწმოს ფულადი დოკუმენტები, საბუღალტრო აღრიცხვის რეესტრი, ანგარიშები, ხარჯთაღრიცხვები, გეგმები და სხვა საჭირო დოკუმენტები, ნაღდი ფული, ფასიანი ქაღალდები და მატერიალური ფასეულობანი;

— დანიშნოს და ჩაატაროს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მთლიანი ან ნაწილობრივი ინვენტარიზაცია; დალუქოს საჭიროების შემთხვევაში სალარო და სალაროს სადგომი, მატერიალური და სასაქონლო საწყობები, საკუჭნაოები, არქივები, დაათვალიეროს საწარმოო სადგომები, ტერიტორია, მოწყობილობა, ნაგებობანი;

— ჩაატაროს შესრულებულ სამუშაოთა საკონტროლო აზომვა, ნედლეულისა და მასალების საკონტროლო შემოწმება წარმოებაში, ნედლეულის, მასალებისა და მზა პროდუქციის საკონტროლო ანალიზები იმ მიზნით, რომ დაადგინოს, თუ რამდენად სწორად არის დაწესებული ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები, როგორია მათი ფაქტიური დანახარჯები, სწორად არის თუ არა ისინი ჩამოწერილი საწარმოში, მთლიანად არის თუ არა აღრიცხული მზა პროდუქცია და რამდენად სწორია ბუნებრივი კლების ნორმები მატერიალურ ფასეულობათა შენახვისა და ტრანსპორტირების დროს;

— შესაბამის ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით მონაწილეობა მიიღებინოს სათანადო სპეციალისტებს პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის, ტექნოლოგიური რეჟიმისა და წარმოების ორგანიზაციის სხვა საკითხების შემოწმებაში, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ფაქტიური დანახარჯების, შენობა-ნაგებობათა მდგომარეობის შემოწმებაში;

— სარევიზიო საწარმოს ხელმძღვანელებთან შეთანხმებით მონაწილეობა მიიღებინოს მის მუშაკებს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მთლიანი ან ნაწილობრივი ინვენტარიზაციის მოწყობის დასაჩქარებლად დოკუმენტების პირის გადაღებაში, არქივის დოკუმენტების მოძებნაში და ა. შ.;

— მიიღოს საკრედიტო დაწესებულებებისაგან საჭირო ცნობები ანგარიშების მდგომარეობის, მათი ოპერაციების და სხვა საკითხებზე, ცნობები და სარევიზიო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტების პირები;

— მიიღოს სხვა საწარმოებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან ცნობები და სარევიზიო საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან წარმოებული ოპერაციებისა და ანგარიშსწორების დოკუმენტების პირები;

— მოაწყოს სარევიზიო ობიექტისა და მიმწოდებელი, საიჯარო და სხვა ორგანიზაციათა დოკუმენტებისა და საბუღალტრო ჩანაწერების შემხვედრი შემოწმება; იმ შემთხვევებში, როცა შემხვედრი შემოწმებანი ტარდება რესპუბლიკის სხვა ქალაქების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიმართოს ამ საკითხზე უშუალოდ საუწყებო კონტროლის შესაბამის ორგანოებს, რომლებიც მოვალენი არიან უზრუნველყონ საჭირო შემოწმებათა ჩატარება მიღებული პროგრამის მიხედვით და შეატყობინონ ამ შემოწმებათა შედეგები;

— დანაშაულებათა გამოვლინების და სხვა შემთხვევებში დადგენილი წესით ჩამოართვას დოკუმენტების ორიგინალები, თუ მათი დაცვა-შენახვა სარევიზიო ორგანიზაციაში არ არის გარანტირებული, აგრეთვე ფიქციური დოკუმენტებისა და ჩადენილი სიყალბის გამოვლინების დროს;

— რევიზიებისა და შემოწმებათა პროცესში გამოვლინებული გაფლანგვის, დატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედებათა შემთხვევების დროს დააყენოს სარევიზიო ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინაშე დამნაშავე პირთა თანამდებობიდან მოხსნის ან განთავისუფლების საკითხი; საჭირო შემთხვევაში შეადგინოს შუალედური აქტი და ზემდგომ ორგანოსაგან თანხმობის მიღებამდე გადასცეს მასალები საგამომძიებლო ორგანოებს, ხოლო დიდძალი გაფლანგვისა და დატაცების გამოვლინებისას — დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებს და სამინისტროსა დ უწყების ხელმძღვანელობას;

— მიიღოს თანამდებობრივ პირთაგან წერილობითი ახსნა-განმარტებანი და საჭირო ცნობები იმ საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება რევიზიებისა და შემოწმებების დროს;

10. რევიზორი მოვალეა:

— განუხრელად დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები, გადაჭრით ებრძოლოს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს, სახელმწიფო სახსრების უკანონო ხარჯვას, უყაირათობას, მფლანგველობას, აგრეთვე ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დატაცებას;

— იცოდეს და სწორად იყენებდეს რევიზიებისა და შემოწმებათა ჩატარების დროს მოქმედ კანონმდებლობას და საუწყებო ინსტრუქციებს სახალხო მეურნეობის მოცემული დარგის მიხედვით;

— მხედველობაში მიიღოს, რომ რევიზიის ჩატარებამ არ უნდა დაარღვიოს შესამოწმებელი საწარმოს ნორმალური საქმიანობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიების ჩატარებისას ამის შესახებ შეატყობინოს სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებს;

— რევიზიის მიმდინარეობის დროს მიიღოს სარევიზიო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ერთად ზომები გამოვლინებულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— სისტემატური კონტროლი გაუწიოს იმ მითითებათა და გადაწყვეტილებათა შესრულებას, რომლებიც მიღებულია რევიზიის შედეგების გამო; იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ არ არის მიღებული საჭირო ზომები რევიზიებისა და შემოწმებათა შედეგად გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრისათვის, შეატყობინოს ამის შესახებ ხელმძღვანელებს, რომლებმაც დანიშნეს რევიზია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სახალხო კონტროლის ორგანოებს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო ორგანოებს.

11. რევიზიისა და შემოწმების შედეგები ფორმდება აქტით, რომელსაც ხელს აწერს სარევიზიო ბრიგადის ხელმძღვანელი ან რევიზიის ჩამტარებელი პირი, და სავალდებულო წესით, თუნდაც არ ეთანხმებოდნენ აქტს, — სარევიზიო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — სხვა თანამდებობრივი პირი. უთანხმოების შემთხვევაში აღნიშნული თანამდებობრივი პირები გამოსთქვამენ თავიანთ უთანხმოებას, რომელთა გამო რევიზიის ჩამტარებლებმა უნდა მისცენ თავიანთი დასკვნა. ერთდროულად აქტს დაერთვის სარევიზიო ობიექტის ხელმძღვანელის წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მითითებული იქნება მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ნაკლოვანებანი და დარღვევანი, და აღინიშნება მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი.

სალაროების, ნედლეულისა და მასალების საკონტროლო აზომვისა და წარმოებაში გამოცდის, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების აზომვისა და შემხვედრი შემოწმების შედეგების მიხედვით შედგება ცალკე აქტები, რომლებსაც ხელს აწერენ რევიზიის ჩამტარებელი და შესაბამისი თანამდებობრივი პირები, ამასთან ეს უკანასკნელნი აქტებს დაურთავენ წერილობით ახსნა-განმარტებებს ამ შემოწმებათა შედეგებზე.

12. ხელმძღვანელი, რომელმაც დანიშნა რევიზია, განიხილავს მისი შედეგების მასალებს არა უგვიანეს 15-20 დღისა (იმ ვადების მიხედვით, რაც დადგენილია დარგობრივი ინსტრუქციით) და მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, აგრეთვე ზომების მიღება, რათა შემდგომ თავიდან იქნეს აცილებული ნაკლოვანებათა და დარღვევათა წარმოშობა.

13. სარევიზიო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია ზემდგომი ორგანიზაციის მიერ დადგენილ ვადაში მიიღოს ზომები რევიზიის შედეგად გამოვლინებულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

14. საჭიროების შემთხვევაში რევიზიის მასალები გადაეცემა სახალხო კონტროლის შესაბამის კომიტეტებს იმ თანამდებობრივ პირებზე დარიცხვის დასადებად, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს.

15. რევიზიებისა და შემოწმების შედეგები აუცილებლად უნდა გახდეს ცნობილი და შეტანილ იქნეს განსახილველად საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო თათბირებსა ან მუშაკთა კრებებზე.

16. იმ შემთხვევაში, როცა რევიზიის მასალების მიხედვით საჭიროა მუშაობის დადებითი გამოცდილების გამოყენება და მისი გავრცელება სხვა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, რევიზორები ამის შესახებ წერილობით მოახსენებენ ხელმძღვანელს, რომელმაც რევიზია დანიშნა.

17. თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ამ არაკეთილსინდისიერი შესრულებისათვის საუწყებო კონტროლის მუშაკები პასუხს აგებენ კანონით დადგენილი წესით.

18. საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მუშაკებს ეძლევათ მოწმობა, რომელსაც ხელს აწერს სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელი. მოწმობის ფორმა შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

19. საუწყებო კონტროლის ორგანოების მუშაობისადმი კონტროლს და მათთვის მეთოდური დახმარების გაწევას რევიზიისა და შემოწმების ორგანიზაციის დარგში ახორციელებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომელთა დაქვემდებარებაშიაც არიან საუწყებო კონტროლის ქვედანაყოფები.

---

104 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 ნოემბრის № 557 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს სისტემის საგაზო მეურნეობის სახელმწიფო ორგანიზაციებში სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 ნოემბრის № 555 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 ნოემბრის № 557 დადგენილების „დ“ პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 23 ოქტომბერი, № 552.

105 საქართველოს სს რესპუბლიკაში ბოსტნეულის შესყიდვის ახალი ფასების დაწესების შესახებ

ბოსტნეულის შესყიდვის ფასების სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს წინადადება და დაწესდეს, დაწყებული 1973 წლის მოსავლიდან, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის ბოსტნეულის შესყიდვის ახალი ფასები დანართის თანახმად.

2. ბოსტნეულის შესყიდვა მოსახლეობისაგან მოხდეს საცალო ფასებში, სავაჭრო ფასჩამოჭრებისა და ბოსტნეულის დამზადება-რეალიზაციის სხვა ხარჯების გამოქვითვით.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვბოსტანს“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით შეიმუშაოს და დაინტერესებულ ორგანიზაციებს აცნობოს მოსახლეობისაგან შესასყიდი ბოსტნეულის შესყიდვის ფასები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ბოსტნეულის შესყიდვის ახალი ფასები კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის, აგრეთვე მოსახლეობისაგან ბოსტნეულის შესყიდვის წესი შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 მაისის № 311 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ძირითად სახეობათა ბოსტნეულის ახალი შესასყიდი ფასების დაწესების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ჟიჟნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 26 ოქტომბერი, № 554.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 26 ოქტომბრის № 554
დადგენილების დანართი

ბოსტნეულის შესყიდვის ფასები

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის

(მანეთობით ტონაში)

კულტურათა დასახელება და ფასების მოქმედების ვადები	შესყიდვის ფასი
1. თავთეთრა კომბოსტო	
იანვარი, თებერვალი, მარტი	140
აპრილი, მაისი	200
ივნისი	150
ივლისი, აგვისტო, სექტემბერი	70
ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი	60
2. ადგილობრივი ჯიშების კიტრი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი	2000
ივნისი	500
ივლისი, აგვისტო	200
სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი	300
3. ნეჟინის კიტრი	
ზომით 70 მმ-მდე მთელ სეზონში	400
„ 71-დან 90 მმ-მდე მთელ სეზონში	300
„ 90 მმ-ზე მეტი მთელ სეზონში	200
4. წითელი პამიდორი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი	3000
ივნისი	400
ივლისი	180
აგვისტო, სექტემბერი	140
ოქტომბერი, ნოემბერი	250
5. მწვანე პამიდორი	
მთელ სეზონში	60
6. თავიანი ხახვი	
მთელ სეზონში	300
7. ახალი თავიანი ხახვი	
დამზადების დაწყებიდან 1 აგვისტომდე	150
8. მწვანე ხახვი	
იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ნოემბერი, დეკემბერი	200
მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი	100
9. უფოჩო სტაფილო	
მთელ სეზონში	100
10. სუფრის ჭარხალი უფოჩო	
მთელ სეზონში	40
11. ბადრიჯანი	
ივნისი, ივლისი	140
დანარჩენი თვეები	60
12. წიწაკა მწარე მშრალი	
მთელ სეზონში	1500
13. წიწაკა წითელი მწვანე	
მთელ სეზონში	300
14. ბულგარული ტკბილი წიწაკა	
მთელ სეზონში	200
15. ისპანახი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	150
დანარჩენი თვეები	60

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურათა დასახელება და ფასების მოქმედების ვადები	შესყიდვის ფასი
16. თვის ბოლოკი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	250
დანარჩენი თვეები	200
17. წითელი ბოლოკი (ჩინური)	
იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი	50
18. ყაბაყი	
მთელ სეზონში	80
19. პარკი ლობიო (ბურული, „ჩიტისკვერცხა“ და სხვა საკონსერვო ჯიშები)	
მთელ სეზონში	300
20. დანარჩენი ჯიშების ლობიო	
მთელ სეზონში	200
21. მწვანე ბარდა	
მთელ სეზონში	400
22. ყვავილოვანი კომბოსტო	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	400
აპრილი	300
მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი	250
ოქტომბერი, ნოემბერი	300
23. ქინძი	
იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ნოემბერი, დეკემბერ	1000
დანარჩენი თვეები	300
24. ოხრახუში	
იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ნოემბერი, დეკემბერ	1500
მაისი, სექტემბერი, ოქტომბერი	1000
დანარჩენი თვეები	300
25. ნიახური	
იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ნოემბერი, დეკემბერ	1000
მაისი, სექტემბერი, ოქტომბერი	500
დანარჩენი თვეები	400
26. წიწმატი	
იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	500
დანარჩენი თვეები	150
27. სიმინდი ტაროიბში რძისებრი სიმწიფისა	
მთელ სეზონში	60
28. ფოჩიანი ახალი ნიორი	
მთელ სეზონში	150
29. თავიანი ნიორი	
1 სექტემბრამდე	500
სექტემბერი, ოქტომბერი	600
დანარჩენი თვეები	800
30. ახალი ნიორი უფოჩო	
დამზადების დაწყებიდან 1 სექტემბრამდე	300
31. ფოჩიანი სტაფილო (ჯონებად)	
დამზადების დაწყებიდან	200
32. სუფრის ჭარხალი ფოჩიანი	
მთელ სეზონში	80
33. თალგამი	
მთელ სეზონში	200
34. ძირთეთრა	
მთელ სეზონში	200
35. ჯამა	
მთელ სეზონში	300
36. პატისონი	
მთელ სეზონში	100
37. ქონდარი	
მთელ სეზონში	300

კულტურათა დასახელება და ფასების მოქმედების ვადები	შესყიდვის ფასი
38. რეპანი	
მთელ სეზონში	300
39. მჟაუნა	
მთელ სეზონში	400
40. კოლრაბი	
მთელ სეზონში	70
41. მწვანე პიტნა	
მთელ სეზონში	300
42. სალათა	
მთელ სეზონში	250
43. ტარხუნა	
მთელ სეზონში	700
44. პრასა	
იანვარი, თებერვალი, ნოემბერი, დეკემბერი	500
მარტი, აპრილი, ოქტომბერი	400
დანარჩენი თვეები	300
45. საზამთრო	
1 აგვისტომდე	150
1 აგვისტოდან	80
46. გოგრა	
მთელ სეზონში	70
47. ნესვი	
1 აგვისტომდე	250
1 აგვისტოდან	150

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ჯ. ძიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

106 მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილების (ბიუროს), მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილების (ბიუროს), მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ.თბილისი,1972 წლის 31 ოქტომბერი, № 560.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 31 ოქტომბრის № 560
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილების (ბიუროს), მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სამართლებრივი მუშაობის წარმოებისათვის, ამ მუშაობის მოცულობის, ხასიათისა და სირთულის კვალობაზე, როგორც წესი, იქმნება დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფად იურიდიული განყოფილება (ბიურო) ან მთავარი იურისკონსულტის, უფროსი იურისკონსულტის, იურისკონსულტის თანამდებობანი*.

2. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილების, იურისკონსულტის ძირითადი ამოცანებია:

ა) განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობაში;

ბ) აქტიურად გამოიყენოს სამართლებრივი საშუალებანი სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის, უყაირათობასთან ბრძოლისათვის, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის;

გ) სამართლებრივი საშუალებებით უზრუნველყოს სოციალისტური საკუთრების დაცვა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება, დავალებათა, მიწოდების ვალდებულებათა, კაპიტალური მშენებლობის საიჯარო ხელშეკრულებითა და სხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

დ) დაიცვას საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებანი და კანონიერი ინტერესები;

ე) გასწიოს საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა.

3. იურიდიული განყოფილების მუშაკებმა, იურისკონსულტმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია: სახელმწიფო, საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, აგრეთვე ბრძოლის ორგანიზაცია დატაცების, მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვების, უნაყოფო ხარჯების, სამეურნეო, შრომის, საბინაო და სხვა კანონმდებლობის, საბჭოთა და საკოლმეურნეო დემოკრატიის ნორმების დარღვევათა წინააღმდეგ.

4. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილების გამგის, იურისკონსულტის დანიშვნა თანამდებობაზე და განთავისუფლება ხდება დადგენილი წესით.

5. იურიდიული განყოფილების გამგის, იურისკონსულტის თანამდებობებზე დაინიშნებიან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირები.

---

*) შემდგომ შესაბამისად ნახსენები იქნება ტერმინები: „იურიდიული განყოფილება", „იურისკონსულტი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამონაკლის შემთხვევებში იურისკონსულტის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნონ უმაღლესი იურიდიული განათლების არამქონე პირები, თუ მათ აქვთ იურიდიული სპეციალობის მიხედვით მუშაობის სულ მცირე 3 წლის სტაჟი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სწავლობენ უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების უკანასკნელ კურსებზე.

6. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილება, იურისკონსულტი:

ა) ამოწმებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტში შეტანილ გადაწყვეტილებათა, განკარგულებათა და სამართლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტთა პროექტების შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან, აგრეთვე ვიზას აძლევს მათ;

ბ) მონაწილეობს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების მიერ სოციალისტური კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში. მონაწილეობას იღებს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განსახილველი სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტების მომზადებაში;

გ) ამზადებს წინადადებებს ქვემდგომი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა შესაცვლელად, შესაჩერებლად და გასაუქმებლად, რომლებიც არ შეესაბამებიან კანონს;

დ) ამზადებს დამოუკიდებლად ან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებთან (სამმართველოებთან) ერთად წინადადებებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა შესაცვლელად ან ფაქტიურად ძალადაკარგულ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა გასაუქმებლად;

ე) იურიდიულ დახმარებას უწევს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუდმივ კომისიებს, ადმინისტრაციულ კომისიებს, სამეთვალყურეო კომისიებს, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებსა და სხვა კომისიებს, რომლებიც შექმნილია საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აგრეთვე საბჭოს დეპუტატებს და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებს, რომლებიც მუშაობენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელობით;

ვ) კონსულტაციებს უწევს სამართლებრივ საკითხებზე აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაკებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა იურისკონსულტებს, აგრეთვე ქვემდგომი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაკებს; აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით იძლევა დასკვნებს სამართლებრივ საკითხებზე;

ზ) ეწევა აღმასრულებელ კომიტეტში შემოსული და მშრომელთა დეპუტატების საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების სისტემატიზებული აღრიცხვისა და შენახვის ორგანიზა-

ციას; იღებს ზომებს, რათა გაუმჯობესდეს ქვემდგომი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იურიდიული განყოფილებების, იურისკონსულტების უზრუნველყოფა საკანონმდებლო-საცნობარო მასალებით;

თ) ეწევა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებთან და სამმართველოებთან ერთად აღმასრულებელი კომიტეტის აპარატის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაკების მიერ იმ ნორმატიული აქტების შესწავლის ორგანიზაციას, რომლებიც შეეხება მათს საქმიანობას;

ი) მეთოდურ დახმარებას უწევს ქვემდგომი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იურიდიულ განყოფილებებს, იურისკონსულტებს სამართლებრივი მუშაობის განხორციელებაში;

კ) დადგენილი წესით გამოდის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ინტერესების დამცველად სასამართლოში, არბიტრაჟში, აგრეთვე სხვა ორგანოებში სამართლებრივი საკითხების განხილვის დროს.

7. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიულ განყოფილებას, იურისკონსულტს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს ქვემდგომი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში კანონიერების დაცვა;

ბ) მიიღოს თანამდებობრივ პირთაგან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში დადგენილი წესის მიხედვით დოკუმენტები, ცნობები, გაანგარიშებები და სხვა მასალები, რაც საჭიროა თავისი მოვალეობის შესასრულებლად;

გ) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების (სამმართველოს) ხელმძღვანელის თანხმობით მონაწილეობა მიაღებინოს მუშაკებს ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადებაში, აგრეთვე იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებსაც ატარებს იურიდიული განყოფილება, იურისკონსულტი მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესაბამისად.

8. იურიდიული განყოფილების გამგე, იურისკონსულტი მონაწილეობას იღებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებში იმ საკითხების განხილვისას, რომლებიც დაკავშირებულია მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკასთან და სამართლებრივი მუშაობის სხვა უბნებთან.

9. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილების გამგეს, იურისკონსულტს ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამებოდეს მის მიერ ვიზირებული ბრძანებათა, ინსტრუქციათა, დებულებათა, დადგენილებათა, გადაწყვეტილებათა, განკარგულებათა და სამართლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტთა პროექტები.

10. იურიდიული განყოფილების გამგე, იურისკონსულტი, რომელიც მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების (სამმართველოს) ან მისი თანამდებობრივი პირების მუშაობაში აღმოაჩენს კანონიერების დარღვევას, ვალდებულია მოახსენოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ამ დარღვევათა შესახებ, მათი აღმოფხვრის საჭირო ზომების მისაღებად.

11. იმ შემთხვევაში, თუ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობისათვის ხელმოსაწერად წარსადგენი ბრძანებების, ინსტრუქციებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების პროექტები არ შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას, იურიდიული განყოფილების გამგე, იურისკონსულტი ამ დოკუმენტების პროექტებზე ვიზის ნიუცემლად იძლევა სათანადო დასკვნას — წინადადებებს, რათა კანონიერი წესით გადაწყდეს განსახილველი საკითხები.

თუ ხელმძღვანელი ხელს მოაწერს აღნიშნულ დოკუმენტებს იურიდიული განყოფილების გამგის, იურისკონსულტის დასკვნის საწინააღმდეგოდ, ეს უკანასკნელი აცნობებს ამის შესახებ ზემდგომ ორგანიზაციას.

12. დაუშვებელია მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილებისათვის, იურისკონსულტისათვის იმ მოვალეობათა დაკისრება, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ დებულებით და არ შეეხება სამართლებრივ მუშაობას.

13. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან უზრუნველყონ იურიდიული განყოფილება, იურისკონსულტი საკანონმდებლო-საცნობარო მასალებით, კრებულებითა და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებით სამართლებრივ საკითხებზე, აგრეთვე საჭირო იურიდიული ლიტერატურით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი – 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 за 1972 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/II-73 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108 1/16.
საბეჭდი თაბახი 8,5 სააღრიცხვო თაბახი 8,5

ოფსეტური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა № 1231 უე 05300 ტირაჟი 2100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტ "ბა
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.